# ხელშეკრულება ფიზიკური პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ბანკი (სს „თიბისი ბანკი“, საიდენტიფიკაციო ნომერი: 204854595; საბანკო ლიცენზიის № 85; საზედამხედველო ორგანო: „საქართველოს ეროვნული ბანკი“; მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქუჩა № 2) კლიენტს გაუხსნის ანგარიშ(ებ)ს, აწარმოებს მის საბანკო ოპერაციებს და გაუწევს ამ ხელშეკრულებაში აღწერილ მომსახურებას ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და წესებით.

1.2 ამ ხელშეკრულებაში აღწერილ მომსახურებათა მისაღებად კლიენტი ბანკს მიმართავს შესაბამისი წერილობითი / ელექტრონული (მათ შორის ბანკის დისტანციური არხ(ებ)ის საშუალებით დაფიქსირებული) განაცხადით ან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული / ბანკის მიერ კლიენტისთვის შეთავაზებული / ბანკსა და კლიენტს შორის შეთანხმებული სხვა ფორმით, რომლითაც ის იმავდროულად ადასტურებს, რომ დეტალურად იცნობს ამ ხელშეკრულების ყველა პირობას (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებას და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ამ ხელშეკრულებას. ბანკი უფლებამოსილია, გადაწყვეტილების მისაღებად კლიენტს მოსთხოვოს ნებისმიერი დამატებითი ინფორმაციისა და/ან დოკუმენტაციის წარდგენა. ბანკი განიხილავს კლიენტის განაცხადს და დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, დაიწყებს კლიენტისთვის განაცხადში მითითებული მომსახურების გაწევას განაცხადის მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა.

1.2.1 ბანკი უფლებამოსილია, კლიენტს უარი განუცხადოს მომსახურების გაწევაზე და/ან საბანკო ოპერაცი(ებ)ის/ტრანზაქცი(ებ)ის განხორციელებაზე უარის მიზეზ(ებ)ის განმარტების გარეშე. კლიენტის მიერ განაცხადის შევსება/წარდგენა, აგრეთვე, ბანკისათვის დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა არ წარმოშობს ბანკის ვალდებულებას, გაუწიოს კლიენტს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ან რომელიმე მომსახურება და/ან დაადასტუროს/შეასრულოს კლიენტის მიერ განხორციელებული / ინიცირებული საბანკო ოპერაცია/ტრანზაქცია.

1.3 ანგარიშ(ებ)ი იხსნება კლიენტის განაცხადისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული აუცილებელი დოკუმენტების საფუძველზე (ბანკისთვის წარდგენის შემდეგ), რომელთა უტყუარობაზეც პასუხისმგებელია კლიენტი.

1.4 ბანკის მიერ დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად ანგარიშ(ებ)ი შესაძლებელია გაიხსნას დისტანციურად ანუ სატელეფონო, ანგარიშის გახსნის განაცხადზე ხელმოწერის/SMS შეტყობინების დადასტურების, ინტერნეტ-ბანკის, სხვადასხვა დისტანციური/ელექტრონული საკომუნიკაციო არხების ან/და კომუნიკაციის სხვა საშუალებით გაკეთებული განაცხადის საფუძველზე იმ შემთხვევაში, როდესაც კლიენტს უკვე აქვს ანგარიში ბანკში. შესაბამისი დოკუმენტების არსებობამდე (ბანკისთვის წარდგენამდე) დისტანციურად გახსნილ ანგარიშზე შესაძლებელია მხოლოდ ჩარიცხვის ოპერაციების განხორციელება, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

1.5 „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2024 წლის პირველი იანვრიდან, ყველა დეპოზიტორის დეპოზიტზე/ანგარიშზე არსებული თანხა, დეპოზიტების/ანგარიშების რაოდენობის მიუხედავად, თითოეულ კომერციულ ბანკში და მიკრობანკში დაზღვეულია და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურდება 30 000 ლარის ფარგლებში. კომერციულ ბანკში და მიკრობანკში ყველა დეპოზიტორის ყველა ანგარიშზე არსებული თანხა ავტომატურად დაზღვეულია დამატებითი საზღაურის გარეშე. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ვებგვერდზე: www.diagency.ge.

1.6 გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ გვერდსა – www.nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე – 032 2 406 406.

1.7 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების / პროდუქტების პირობების/ინფორმაციის კლიენტისთვის მიწოდება და/ან კლიენტთან კომუნიკაცია ხორციელდება ქართულ ენაზე, თუ მხარეები დამატებით არ შეთანხმდებიან სხვა ენაზე ურთიერთობის განხორციელების თაობაზე.

## 2. ანგარიშზე ფულადი სახსრების შეტანა, ჩარიცხვა და სხვა საბანო ოპერაციების წარმოება

2.1 კლიენტის ანგარიშზე ფულადი სახსრები შეიძლება ჩაირიცხოს როგორც ნაღდი, ისე უნაღდო წესით.

2.2 იმ შემთხვევაში, თუ სხვა ბანკის მეშვეობით კლიენტის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის საბუთში აღნიშნული საიდენტიფიკაციო მონაცემები სრულად არ დაემთხვევა ბანკის ხელთ არსებულ ინფორმაციას კლიენტის შესახებ, ბანკი მიღებულ თანხას ჩარიცხავს “გაურკვეველი თანხების ანგარიშზე”, აწარმოებს აუცილებელ გამოკვლევას თანხის მიმღების დასადგენად და მონაცემებს შორის შეუსაბამობის გამოსწორების შემთხვევაში თანხას ჩარიცხავს კლიენტის ანგარიშზე, ხოლო გამოუსწორებლობის შემთხვევაში თანხას დაუბრუნებს გადამხდელს.

2.3 კლიენტი ვალდებულია მის ანგარიშზე თანხის შეცდომით ჩარიცხვის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე დაუყოვნებლივ შეატყობინოს და გადასცეს ბანკს შეცდომით ჩარიცხული თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში კლიენტი პასუხს აგებს ამ ხელშეკრულებისა და კანონმდებლობის შესაბამისად.

2.4 კლიენტის ანგარიშებზე შეტანილი ან/და ჩარიცხული თანხ(ებ)ის ასახვას, კლიენტის ანგარიშიდან თანხ(ებ)ის გადარიცხვას ან კლიენტის მიერ ნაღდი ანგარიშსწორების წესით ბანკში შეტანილი თანხ(ებ)ის მიმღების ანგარიშზე ასახვას ბანკი უზრუნველყოფს შესაბამისი დავალების მიღებიდან არაუგვიანეს მეორე/მომდევნო საბანკო დღეს.

2.5 კლიენტის მიერ SMS კოდის საშუალებით დადასტურებული საბანკო ოპერაციების წარმოების წესი განისაზღვრება ამ ხელშეკრულების მე-13 მუხლით.

2.6 ბანკი უფლებამოსილია არ შეასრულოს კლიენტის დავალება და დავალების შეუსრულებლობის შესახებ ნებისმიერი ფორმით შეატყობინოს კლიენტს, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, თუ:

2.6.1 ვერ ხერხდება კლიენტის სრულფასოვანი იდენტიფიკაცია;

2.6.2 დავალება შედგენილი ან წარდგენილია ბანკში დადგენილი წესის დარღვევით ან შეიცავს არაზუსტ ინფორმაციას (მითითებებს);

2.6.3 დავალებაში აღნიშნული თანხა აღემატება კლიენტის მიერ ბანკისთვის გადაცემულ თანხას და/ან ბანკის მიერ დადგენილ ლიმიტებს;

2.6.4 ბანკს გაუჩნდა ეჭვი კანონსაწინააღმდეგო ოპერაციის განხორციელების მცდელობის შესახებ;

2.6.5 აღნიშნული გათვალისწინებულია კანონმდებლობით.

## 3. ანგარიშიდან ფულადი სახსრების ჩამოწერა

3.1 ბანკის მიერ ანგარიშებიდან ფულადი სახსრების ჩამოწერა, როგორც წესი, ხორციელდება კლიენტის თანხმობის, ნებართვის, დავალების ან მოთხოვნის საფუძველზე, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

3.2 კლიენტის ანგარიშებიდან ბანკის მიერ უაქცეპტო წესით (კლიენტის შემდგომი თანხმობის გარეშე) თანხების ჩამოწერა შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში:

3.2.1 ბანკის მოქმედი ტარიფების შესაბამისად მომსახურების საფასურის (საკომისიოს) ან/და პირგასამტეხლოს გადასახდელად;

3.2.2 შეცდომით ან/და კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით ჩარიცხული ან/და საეჭვო თანხ(ებ)ის უკან დასაბრუნებლად;

3.2.3 ბანკის წინაშე არსებული ნებისმიერი სახის დავალიანების დასაფარავად ან ვალდებულების შესასრულებლად (იმ შემთხვევაში, თუ დავალიანება ან ვალდებულება დაფიქსირებულია ეროვნული ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში, ეკვივალენტი დგინდება თანხის ჩამოწერის მომენტისათვის ბანკის მიერ დადგენილი კომერციული კურსით), ამასთან კლიენტი აცნობიერებს, რომ ბანკი არ არის ვალდებული კლიენტის დავალების გარეშე ჩამოწეროს თანხები კლიენტის ანგარიშ(ებ)იდან კლიენტის რომელიმე ვალდებულების შესრულების მიზნით;

3.2.4 მოქმედი კანონმდებლობით ან/და კლიენტსა და ბანკს შორის დადებული ხელშეკრულებით, შეთანხმებით ან/და სხვა დოკუმენტით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში (მაგალითად საინკასო დავალების არსებობისას).

3.3 კლიენტის მიერ ბანკისთვის მიცემული დავალების გაუქმება შეიძლება ბანკთან შეთანხმებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული დავალება ჯერ არ შესრულებულა და მისი გაუქმება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, ან იმ ვალდებულების არსს, რომლის შესასრულებლადაც გაიცა დავალება.

3.4 ბანკი უფლებამოსილია არ შეასრულოს კლიენტის დავალება და დავალების შეუსრულებლობის შესახებ ნებისმიერი ფორმით შეატყობინოს კლიენტს, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, თუ:

3.4.1 ვერ ხერხდება კლიენტის სრულფასოვანი იდენტიფიკაცია;

3.4.2 დავალება შედგენილი ან წარდგენილია ბანკში დადგენილი წესის დარღვევით ან შეიცავს არაზუსტ ინფორმაციას (მითითებებს);

3.4.3 დავალებაში აღნიშნული თანხა აღემატება ანგარიშზე არსებულ ხელმისაწვდომ თანხას ან ბანკის მიერ დადგენილ ლიმიტებს;

3.4.4 ბანკს გაუჩნდა ეჭვი კანონსაწინააღმდეგო ოპერაციის განხორციელების მცდელობის შესახებ;

3.4.5 აღნიშნული გათვალისწინებულია კანონმდებლობით ან კლიენტს ბანკის მიმართ გააჩნია ფულადი ვალდებულება (დავალიანება).

3.5 ანგარიშიდან ფულადი სახსრების გასატანად (გასაცემად), როგორც წესი, გამოიყენება სალაროს გასავლის ორდერები (როგორც სტანდარტული, ისე სპეციალური).

3.6 კლიენტს უფლება აქვს ანგარიშიდან ფულადი სახსრების გასატანად გამოიყენოს ბანკისგან წინასწარ მიღებული სპეციალური ფორმის სალაროს გასავლის ორდერები (შემდგომში "სპეციალური ორდერები"), რომელთა შევსება ხდება კლიენტის მიერ.

3.7 კლიენტი ვალდებულია:

3.7.1 გაუფრთხილდეს სპეციალურ ორდერებს;

3.7.2 არ დაუშვას მათი შევსების გარეშე გადაცემა ნებისმიერი მესამე პირისთვის;

3.7.3 დაიცვას სპეციალური ორდერის შევსების წესები;

3.7.4 დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს სპეციალური ორდერ(ებ)ის დაკარგვის შესახებ.

3.8 სპეციალური ორდერის საფუძველზე ანგარიშიდან თანხის გატანა დასაშვებია სპეციალური ორდერის კლიენტის მიერ შედგენიდან (ხელმოწერიდან) 180 (ას ოთხმოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

3.9 ბანკს უფლება აქვს არ გასცეს თანხა, თუ სპეციალურ ორდერზე დაფიქსირებული ხელმოწერა არ ედრება კლიენტის ხელმოწერის ნიმუშს.

3.10 ამ ხელშეკრულებით კლიენტი ბანკს ანიჭებს უფლებამოსილებას კლიენტის დავალებით ოპერაციების შესრულებისას, საჭიროების შემთხვევაში, კლიენტის მიერ დამატებითი დავალების ბანკისთვის წარდგენის გარეშე განახორციელოს თანხების კონვერტაცია ან/და კლიენტის ანგარიშებს შორის თანხების გადარიცხვა.

3.11 სპეციალური ორდერის შევსების წესების დარღვევით შევსებული სპეციალური ორდერი ითვლება არასწორად შევსებულად. სპეციალური ორდერის არასწორად შევსების ან სპეციალური ორდერის ტექსტში რაიმე ცვლილების შეტანის შემთხვევაში, სპეციალური ორდერი ითვლება მალადაკარგულად და ბანკს უფლება აქვს არ შეასრულოს კლიენტის ან სპეციალური ორდერის წარმომდგენის მოთხოვნა თანხის განაღდების შესახებ. იგივე წესი გამოიყენება, თუ სპეციალური ორდერი, ბანკის შეფასებით, დაზიანებულია.

## 4. საფასური საბანკო მომსახურებისთვის

4.1 კლიენტისა და ბანკის ფინანსური ურთიერთობა წესრიგდება ბანკის ტარიფებითა და ბანკსა და კლიენტს შორის დადებული ხელშეკრულებებით. ანგარიშის წარმოებისათვის, ამ ანგარიშიდან განხორციელებული ოპერაციებისათვის და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისთვის კლიენტი ბანკს უხდის ოპერაციის შესრულების ან მომსახურების გაწევის დროისათვის ბანკის მიერ დადგენილი და მოქმედი ტარიფების შესაბამისად განსაზღვრულ თანხას (მომსახურების საფასურს).

4.2 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე მომსახურების შეწყვეტის შემთხვევაში კლიენტს არ დაუბრუნდება მის მიერ უკვე გადახდილი მომსახურების საფასური (საკომისიო).

4.3 ბანკს უფლება აქვს შესთავაზოს კლიენტს სატარიფო ნაკრების გამოყენება, რაც გულისხმობს ერთდროულად რამდენიმე საბანკო მომსახურებით და შეღავათიანი ტარიფებით სარგებლობის უფლების მოპოვებას ფიქსირებული საკომისიოს გადახდის სანაცვლოდ. სატარიფო ნაკრებზე რეგისტრაცია ხდება კლიენტის მიერ სპეციალური განაცხადის შევსებით. შევსებული განაცხადი სატარიფო ნაკრების შეძენის შესახებ ჩაითვლება კლიენტის თანხმობად სატარიფო ნაკრებში ჩამოთვლილი მომსახურებებით სარგებლობაზე და აუცილებელი აღარ იქნება თითოეული მომსახურების მისაღებად ამ ხელშეკრულების 1.2 პუნქტში აღნიშნული განაცხადის ბანკისთვის წარდგენა. სხვადასხვა მიზეზით სატარიფო ნაკრების გაუქმების შემთხვევაში, უქმდება ყველა ის შეღავათი და დამატებითი სარგებელი, რაც დაკავშირებული იყო სატარიფო ნაკრებით სარგებლობასთან (მათ შორის ამა თუ იმ ანაბარზე რიცხული დამატებითი სარგებელი).

4.3.1 სატარიფო ნაკრების საკომისიოს 6 (ექვსი) თვის გადაუხდელობის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია გააუქმოს სატარიფო ნაკრები, სატარიფო ნაკრებში შემავალი ბარათები, ხოლო სატარიფო ნაკრებში შემავალი სხვა პროდუქტ(ებ)ის/მომსახურებ(ებ)ის ტარიფები შეცვალოს ბანკში მოქმედი შესაბამისი პროდუქტის/მომსახურების სტანდარტული ტარიფ(ებ)ის ოდენობამდე.

4.3.2 ბანკი უფლებამოსილია არ დააკმაყოფილოს კლიენტის მოთხოვნა სატარიფო ნაკრების გაუქმებასთან დაკავშირებით, თუ კლიენტი სრულად არ შეასრულებს/დაფარავს სატარიფო ნაკრებით, მათ შორის სატარიფო ნაკრების განაცხადით გათვალისწინებული პროდუქტ(ებ)ით/მომსახურებით სარგებლობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს/დავალიანებას

## 5. მხარეთა ვალდებულებები

5.1 <u>კლიენტი ვალდებულია:</u>

5.1.1 დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს მის მიერ ბანკისთვის წარდგენილ დოკუმენტებსა და მიწოდებულ ინფორმაციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, ასევე წერილობით შეატყობინოს ბანკს იმ პირების შეცვლის შესახებ, რომლებიც უფლებამოსილნი არიან განკარგონ ანგარიში, ან მიიღონ ინფორმაცია ანგარიშის მდგომარეობის შესახებ და შეტყობინებას დაურთოს შესაბამისი დოკუმენტები. ცვლილებების შესახებ შეტყობინებისა და შესაბამისი საბუთების მიღებამდე ბანკის მიერ ოპერაციები სრულდება ადრე წარდგენილი საბუთებისა და ხელმოწერის ნიმუშის საფუძველზე.

5.1.2 დაუყოვნებლივ წერილობით, ინტერნეტ-ბანკის მეშვეობით ან ბანკის სატელეფონო სერვისცენტრთან დაკავშირებით (ნომერზე +99532 2272727) შეატყობინოს ბანკს მისამართის, ტელეფონის ნომრის, ელექტრონული ფოსტის მისამართის ან/და სხვა საკონტაქტო მონაცემების შეცვლის შესახებ;

5.1.3 ყოველი ახალი ანგარიშის გახსნის განაცხადთან ერთად ბანკს წარუდგინოს ბანკის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტები კლიენტის საგადასახადო/სამეწარმეო სტატუსის შესაბამისად;

5.1.4 ბანკის მიერ მისთვის გახსნილი ანგარიშები სამეწარმეო მიზნებისთვის გამოიყენოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ექნება შესაბამისი საგადასახადო/სამეწარმეო სტატუსი. წინააღმდეგ შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია არ გამოიყენოს თავისი ანგარიშები სამეწარმეო საქმიანობისთვის;

5.1.5 მოთხოვნისთანავე მიაწოდოს ბანკს საბანკო ოპერაციებთან / კლიენტთან დაკავშირებული ყველა საბუთი და ინფორმაცია;

5.1.6 დაიცვას ამ ხელშეკრულების პირობები;

5.1.7 დაიცვას ბანკის მიერ გავრცელებულ საინფორმაციო მასალაში აღწერილი პროცედურები;

5.1.8 დროულად გადაიხადოს მომსახურების საფასური (საკომისიო);

5.1.9 ბანკის მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) კალენდარული დღისა ხელი მოაწეროს და გადასცეს ბანკს ამ უკანასკნელისთვის ამ ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებ(ებ)ის განხორციელებისთვის ან ამ ხელშეკრულებით კლიენტისთვის დაკისრებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებისთვის საჭირო ნებისმიერი საბუთი;

5.1.10 სრულად აანაზღაუროს ამ ხელშეკრულების და მის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების დადებასთან, დამოწმებასთან, რეგისტრაციასთან, შესრულებასთან და გაუქმებასთან დაკავშირებული ან/და კლიენტის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის გამო ბანკის მიერ გაწეული (მათ შორის კლიენტისთვის შეტყობინების გაგზავნასთან დაკავშირებული) ყველა და ნებისმიერი ხარჯი.

5.1.11 ბანკთან ურთიერთობისას იმოქმედოს თანამშრომელთა დისკრიმინაციის, ძალადობისა და შევიწროებისაგან დაცვის შესახებ ბანკის პოლიტიკის (https://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/employee-protection-policy) წესების შესაბამისად.

5.2 კლიენტისთვის ცნობილია იმ შესაძლო შედეგების შესახებ, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს კლიენტის მხრიდან მცდარი, არაზუსტი, არასრულყოფილი, საფუძველს მოკლებული ინფორმაციის მიწოდების გამო.

5.3 <u>ბანკი ვალდებულია:</u>

5.3.1 მოთხოვნის შესაბამისად მიაწოდოს კლიენტს ინფორმაცია ანგარიშის მდგომარეობის შესახებ;

5.3.2 შეასრულოს კლიენტის დავალებები ამ ხელშეკრულებისა და კანონმდებლობის შესაბამისად;

5.3.3 დაიცვას ამ ხელშეკრულების პირობები.

5.4 კლიენტს ეკრძალება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე მომსახურების გამოყენება უკანონო მიზნით, მათ შორის იმ საქონლის ან მომსახურების შესაძენად, რომლის შეძენაც აკრძალულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

5.5 ბანკი არ არის ვალდებული კლიენტს მიაწოდოს ინფორმაცია კლიენტისთვის სასარგებლო ცვლილებების შესახებ.

5.6 ანგარიშის გახსნის განაცხადზე ხელმოწერით/SMS შეტყობინების დადასტურებით, კლიენტი ადასტურებს, რომ განაცხადში მოცემული ინფორმაცია არის ზუსტი და უტყუარი და სრულად შეესაბამება ანგარიშის მფლობელის/ბარათის მფლობელის ნებას;

5.7 ანგარიშის გახსნის განაცხადზე ხელმოწერით/SMS შეტყობინების დადასტურებით, კლიენტი თანახმაა, ბანკმა გაუხსნას საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ან/და მოთხოვნამდე ანაბრის (სადეპოზიტო) ანგარიში (ნებისმიერ ვალუტაში) საანაბრო ანგარიშზე თანხის გადარიცხვის, საანაბრო ანგარიშიდან თანხის ჩარიცხვის ან/და კრედიტის დაფარვის (მომსახურების) მიზნით, რაც ნიშნავს იმას, რომ ანგარიშის გახსნის განაცხადზე ხელმოწერით/SMS შეტყობინების დადასტურებით კლიენტი თანხმობას აცხადებს შესაბამის ანგარიშთან დაკავშირებულ ყველა პირობაზე, მათ შორის სტანდარტულ ტარიფებზე;

5.8 **გადასახადების თავიდან არიდების ხელშეწყობის აღკვეთის პოლიტიკა**

5.8.1 "მხარეები" აცხადებენ და იძლევიან გარანტიას, რომ:

5.8.1.1 თითოეული მათგანი ასევე, მათთან დაკავშირებული პირები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ კეთილსინდისიერად და მართლზომიერად, ეთიკის მაღალი სტანდარტების დაცვით. მხარეებს გააჩნიათ ნულოვანი ტოლერანტობა კორუფციის, საგადასახადო თაღლითობის, გადასახადებისგან თავის არიდებისა და ნებისმიერი სხვა სახის დანაშაულებრივი ქმედებების მიმართ და აღნიშნულ საკითხებს უწევენ მუდმივ კონტროლს.

5.8.1.2 „მხარეები", ასევე მათთან დაკავშირებული პირები: უფლებამოსილი პირები, წარმომადგენლები, არ მიიღებენ მონაწილეობას იმგვარ ქმედებებში, რაც გულისხმობს კორუფციის, საგადასახადო თაღლითობის, გადასახადებისგან თავის არიდების ხელშეწყობას (პირდაპირ ან ირიბად) ნებისმიერი ფორმით.

5.8.1.3 თითოეული მათგანი, ასევე, მათთან დაკავშირებული პირები არ ყოფილან ცნობილი დამნაშავედ ან/და ბრალდებული კორუფციის, საგადასახადო თაღლითობის, გადასახადებისგან თავის არიდების ან ხელშეწყობის კუთხით.

5.8.1.4 ნებისმიერი ზემოაღნიშნული დებულების დარღვევამ შესაძლებელია გამოიწვიოს როგორც ამ, ისე მხარეებს შორის აქამდე გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების შეწყვეტა. ამასთან, ამგვარი შეწყვეტა არ გამორიცხავს დამრღვევი მხარის ან/და მისი უფლებამოსილი პირის, წარმომადგენლის, ან მასთან დაკავშირებული პირის პასუხისმგებლობას და შესაბამის სანქციებს, რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით (მათ შორის შესაძლო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასაც). ამასთანავე, მხარეები ადასტურებენ, რომ მხარის პასუხისმგებლობას არ გამოიწვევს უფლებამოსილი პირის, ან მასთან დაკავშირებული პირის ქმედება, თუკი ეს პირი არ მოქმედებდა მხარის სახელითა და დავალებით.

5.8.1.5 აღნიშნული განცხადებები და გარანტიები ძალაშია მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულების ან/და აქამდე გაფორმებული ყველა სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, მიუხედავად ასეთი ხელშეკრულებ(ებ)ის სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტისა.

5.8.1.6 ნებისმიერი მხარე დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მეორე მხარეს ყველა იმ გარემოებ(ებ)ის შესახებ, რომელიც შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს ან/და გამოიწვიოს წინამდებარე გარანტიების დარღვევა; ასევე, ნებისმიერი ისეთი გარემოების დაწყების ან დადგომის შესახებ, რითაც საფრთხე შეექმნება ხელშეკრულებ(ებ)ით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას.

## 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულყოფილად და დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

6.2 ბანკი პასუხისმგებელია კლიენტის წინაშე საბანკო ოპერაციების ზუსტად და დროულად განხორციელებისთვის. ბანკის მიერ საბანკო ოპერაციების განხორციელების ვადების დარღვევისთვის ბანკი იხდის პირგასამტეხლოს შესაბამისი თანხის 0.5%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული საბანკო დღისთვის, ან კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.3 ამ ხელშეკრულების 2.3 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის / ბანკის მიერ კლიენტის ინფორმირებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში შეცდომით ჩარიცხული თანხის კლიენტის მიერ დაუბრუნებლობის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებული იქნება გადაუხადოს ბანკს პირგასამტეხლო ამ ხელშეკრულების 2.3 პუნქტის საფუძველზე ბანკისთვის გადასაცემი თანხის 0,05%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

6.4 პირგასამტეხლოს გადახდა დამრღვევს არ ათავისუფლებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

6.5 <u>ბანკი არ არის პასუხისმგებელი:</u>

6.5.1 ვალდებულების შეუსრულებლობისათვის (მათ შორის კლიენტის მიერ განხორციელებულ საერთაშორისო გადარიცხვებთან დაკავშირებით) თუ:

6.5.1.1 ეს გამოწვეულია კლიენტის "საგადახდო დავალებაში" ან სხვა რომელიმე საბუთში აღნიშნული მიმღები ან/და შუამავალი ბანკის ნებისმიერი ქმედებით ან/და შეცდომით ან/და ბანკისაგან დამოუკიდებელი ნებისმიერი სხვა მიზეზით;

6.5.1.2 იმ სახელმწიფოზე, რომლის ტერიტორიაზეც მოქმედებს თანხის მიმღების (ადრესატის) მომსახურე ბანკი, ვრცელდება ემბარგო ან/და სხვა რაიმე შეზღუდვა, რაც აფერხებს ადრესატის მიერ თანხის მიღებას;

6.5.1.3 საკორესპოდენტო ბანკი (რომლის მეშვეობითაც სრულდება გადარიცხვა) უარს განაცხადებს ოპერაციის შესრულებაზე ან/და მოხდება გადასარიცხი თანხის დაკავება/ბლოკირება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის ან/და სხვა მიზნით.

6.5.2 შედეგებზე, რომლებიც გამოწვეულია:

6.5.2.1 კლიენტის დავალებით ოპერაციის განხორციელებით;

6.5.2.2 კლიენტის ან სხვა პირის კუთვნილი კომპიუტერის, ტელეფონის აპარატის ან/და სხვა მოწყობილობისა თუ აღჭურვილობის (მათი რომელიმე ნაწილის ან/და აქსესუარის) ან/და პროგრამული უზრუნველყოფის გაუმართაობით;

6.5.2.3 ტელეკომუნიკაციების ოპერატორის, ინტერნეტ-პროვაიდერის ან/და ნებისმიერი სხვა პირის მიზეზით;

6.5.2.4 კლიენტის მიერ განაცხადის ან/და განცხადების არასწორი ან არასრულყოფილი შევსებით;

6.5.2.5 კლიენტის მიერ ბანკისთვის მიწოდებული ინფორმაციის უსწორობით ან/და უზუსტობით;

6.5.2.6 კლიენტის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით;

6.5.2.7 კლიენტისთვის ამ ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებების კლიენტის მიერ გამოუყენებლობით.

6.5.2.8 ბანკის მიერ გაცემული რეკომენდაციების კლიენტის მიერ შეუსრულებლობით.

6.6 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, თუ ეს გარემოებები გამოწვეულია დაუძლეველი (გადაულახავი) ძალის პირდაპირი ზემოქმედებით, კერძოდ: წყალდიდობით, მიწისძვრით, ხანძრით, გაფიცვით, სამხედრო მოქმედებით, ბლოკადით, სახელმწიფო ორგანოების აქტით ან ქმედებით და სხვა (ფორს-მაჟორული გარემოებები). ფორს-მაჟორული გარემოების დადგომისას მხარეები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ შეატყობინონ ამის შესახებ მეორე მხარეს. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოებების ლიკვიდაციამდე.

## 7. ინფორმაცია კლიენტის შესახებ და პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული საკითხები

7.1 კლიენტი აცხადებს, რომ ის არ მოქმედებს სხვა (მესამე) პირის დავალებით და არ აქვს ურთიერთობა ფიქტიურ ბანკთან („შელ ბანკთან“) ან/და მის მიერ ამ ხელშეკრულების 1.2 პუნქტში აღნიშნული განაცხადის ბანკის მიერ მიღების მომენტში ბანკისთვის მიწოდებული ინფორმაცია (მათ შორის სამეწარმეო საქმიანობისა და მისი, როგორც გადასახადის გადამხდელის, სტატუსის შესახებ) არის უტყუარი, ზუსტი, სრული და ამომწურავი. კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს მისი საიდენტიფიკაციო მონაცემების, საკონტაქტო ინფორმაციის, სტატუსის ან საქმიანობის სახის ნებისმიერი ცვლილების შესახებ.

7.1.1 კლიენტი აცხადებს და ადასტურებს, რომ:

7.1.1.1 აქვს ამ ხელშეკრულების დადებისა და შესრულებისათვის საჭირო უფლებაუნარიანობა;

7.1.1.2 არ მონაწილეობს არც ერთ სასამართლო პროცესში (მოსარჩელის, მოპასუხის ან მესამე პირის სახით), რითაც საფრთხეს უქმნის კლიენტის ვალდებულებების შესრულებას, კლიენტის ქონებას ან/და აქტივებს;

7.1.1.3 უარს არ იტყვის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე, ასევე არ გადასცემს თავის ვალდებულებებს მესამე პირს. ამასთან, ეს დებულება არ გულისხმობს დათქმას, რომ კლიენტმა/მსესხებელმა პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულებები და არ გამორიცხავს ბანკის უფლებას, მიიღოს მესამე პირისგან შემოთავაზებული შესრულება და ამ მიზნებისთვის კლიენტი/მსესხებელი აცხადებს თანხმობას, რომ ბანკმა მესამე პირს გადასცეს ინფორმაცია კლიენტის/მსესხებლის მიმდინარე დავალიანების/გადასახდელების შესახებ;

7.1.1.4 ამ ხელშეკრულების დადებისას, იგი არ იმყოფება შეცდომის, მოტყუების, მის წინააღმდეგ გამოყენებული ძალადობის ან მუქარის გავლენის ქვეშ;

7.1.1.5 მისთვის ცნობილია, რომ ბანკისათვის ყალბი ან/და არასწორი (სინამდვილესთან შეუსაბამო) ინფორმაციის/ცნობ(ებ)ის მიწოდება არის დანაშაული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით და წარმოადგენს საკმარის საფუძველს ამ ხელშეკრულების მოქმედების შესაწყვეტად.

7.1.1.6 კლიენტი ან/და მასთან აფილირებული პირ(ებ)ი (რაც ამ პუნქტის მიზნებიდან გამომდინარე, მათ შორის წარმოადგენს ნებისმიერ პირს, რომელსაც ბანკის შეფასებით, მათ შორის სანქციის მიზნიდან გამომდინარე, საქმიანი, ნათესაური თუ სხვა ტიპის მჭიდრო კავშირიდან გამომდინარე შესაძლოა გავლენა ჰქონდეს პირზე ან მის გადაწყვეტილებებზე, პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობდეს ან/და აკონტროლებდეს მას) ამ ხელშეკრულების ხელმოწერამდე ან/და მისი მოქმედების განმავლობაში ნებისმიერი დროს:

7.1.1.6.1 არ არიან/იქნებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) ან/და ევროკავშირის ან/და გაერთიანებული სამეფოს ან/და ამერიკის შეერთებული შტატების ან/და საქართველოს ან/და რომელიმე სხვა სახელმწიფოს ან/და საერთაშორისო ორგანიზაციის (შემდგომში ერთად ან ცალ-ცალკე „უფლებამოსილი პირ(ებ)ი“) მიერ სანქცირებულ პირთა სიაში (შემდგომში „სანქცირებულ პირთა სია“), ან/და მათ მიმართ არ მოქმედებს/იმოქმედებს სანქცია (ამ პუნქტის მიზნებისთვის სანქცია მათ შორის მოიცავს უფლებამოსილი პირების მიერ განსაზღვრულ შეზღუდვას, პოლიტიკას, აკრძალვას, ან სხვა სახის მითითებას);

7.1.1.6.2 არ არიან/იქნებიან იმ სახელმწიფოს რეზიდენტები, რომელზეც უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ ვრცელდება სრული სავაჭრო სანქციები/შეზღუდვები;

7.1.1.6.3 პირდაპირ ან/და ირიბად, მათ შორის სხვა პირ(ებ)ის მეშვეობით არ დაუდიათ/დადებენ ნებისმიერ გარიგებას (მათ შორის ხელს არ შეუწყობენ გარიგების დადებას) ნებისმიერ პირთან ან/და გაერთიანებასთან, რომელიც შეყვანილია/შეყვანილ იქნება სანქცირებულ პირთა სიაში/მასზე გავრცელებული იქნება სანქცია ან/და რომელიც არის იმ სახელმწიფოს რეზიდენტი ან/და საქმიანობს ტერიტორიაზე, რომელზეც ვრცელდება სრული სავაჭრო სანქციები/შეზღუდვები;

7.1.1.6.4 პირდაპირ ან/და ირიბად, მათ შორის სხვა პირ(ებ)ის მეშვეობით არ დაუდია/დადებს ნებისმიერ გარიგებას (მათ შორის ხელს არ შეუწყობს გარიგების დადებას) ისეთ მხარესთან/ქონებასთან/აქტივთან/პროდუქციასთან/მომსახურებასთან დაკავშირებით, რომელზეც ვრცელდება სრული ან/და მიზნობრივი ან/და სექტორული სანქციები/შეზღუდვები.

7.2 ბანკი ვალდებულია დაიცვას კლიენტის პერსონალური მონაცემები, კლიენტთან დაკავშირებული საბანკო ოპერაციების და ანგარიშების შესახებ ინფორმაციის საიდუმლოება (კონფიდენციალობა), რომელიც მისთვის ცნობილი გახდა კლიენტთან საქმიანი ურთიერთობისას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ან თუ საქმე ეხება ჩვეულებრივ საბანკო ინფორმაციას, რომლის გამჟღავნებითაც არ ილახება კლიენტის ინტერესები (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 863-ე მუხლის შესაბამისად). ბანკის მიერ კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ძალაშია ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შემდეგაც.

7.3 ბანკი პასუხს არ აგებს კლიენტის მიერ ბანკისთვის მიწოდებული საკონტაქტო ინფორმაციის შესაბამისად გაგზავნილი შეტყობინების სხვა პირის მიერ მიღებით გამოწვეულ შედეგ(ებ)ზე.

7.4 კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ ბანკი უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით, კლიენტისათვის საბანკო მომსახურების ეფექტური და შეუფერხებელი გაწევის მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად სსიპ - სახელმწიფო

სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან საჭირო მოცულობით, მიიღოს ბანკისთვის აუცილებელი, კლიენტის პერსონალური მონაცემები.

7.5 კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ ბანკი უფლებამოსილია კლიენტის ნებისმიერი განაცხადი, ასევე კლიენტთან დადებულ გარიგებებთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტაცია (მათ შორის პერსონალური ინფორმაცია) შენახვის მიზნით გადასცეს სახელმწიფო არქივს ან ამ პროფილის კომერციულ ორგანიზაციას, რომელიც უზრუნველყოფს მიწოდებული დოკუმენტაციის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით დაარქივებასა და უსაფრთხო პირობებში შენახვას კონფიდენციალობის წესების სრული დაცვით.

7.6 კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ ბანკისგან მისთვის მომსახურების გაწევის გამარტივების მიზნით, სწრაფი გადახდის ტერმინალის საშუალებით, პირადი ნომრით ან უკონტაქტო პლასტიკური ბარათით იდენტიფიკაციის საფუძველზე, მიიღოს შეზღუდული ინფორმაცია კლიენტის საბანკო პროდუტებზე, სესხ(ებ)ის მიმდინარე (ყოველთვიურ) დავალიანებაზე, მთლიანი სასესხო დავალიანების ჩვენების გარეშე, ასევე ანგარიშ(ებ)ის/პლასტიკური ბარათ(ებ)ის შესახებ ინფორმაცია, ანგარიშ(ებ)ის/პლასტიკური ბარათ(ებ)ის ნომრ(ებ)ის ბოლო 4 ციფრის ჩვენებით, ანგარიშ(ებ)ზე არსებული ნაშთ(ებ)ის ჩვენების გარეშე.

7.7 კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ ბანკისგან მისთვის მომსახურების გაწევის გამარტივების მიზნით, სწრაფი გადახდის ტერმინალების საშუალებით კლიენტის პლასტიკური ბარათისა და/ან პინ კოდით იდენტიფიკაციის საფუძველზე, მიიღოს ინფორმაცია კლიენტის საბანკო პროდუტებზე, სესხ(ებ)ის მიმდინარე დავალიანებაზე, მთლიან სასესხო დავალიანებაზე, ასევე ანგარიშ(ებ)ისა და პლასტიკური ბარათ(ებ)ის და მათზე არსებული ნაშთ(ებ)ის შესახებ, მოახდინოს გადარიცხვები საკუთარ ანგარიშებს შორის და სხვადასხვა სერვისების გადასახდელად, ასევე მიიღოს ინფორმაცია ბანკის მიერ კლიენტისთვის გაკეთებულ შეთავაზებებზე (მათ შორის საკრედიტო პროდუქტებზე) და სურვილისამებრ მოახდინოს შეთავაზებების მიღება (დადასტურება) ბანკის მიერ დადგენილი პროცედურების სრულყოფილად გავლის შემდგომ. შეთავაზებული საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტის მიღებამდე, კლიენტის იდენტიფიკაციისთვის შესაძლოა ბანკმა საკუთარი შეხედულებისამებრ დააწესოს დამატებითი მექანიზმები (მოთხოვნები), რომლის დაუცველობის შემთხვევაში, კლიენტი ვერ მოახდენს შეთავაზებული საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტის მიღებას (დადასტურებას).

7.8 კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ ბანკისგან მისთვის მომსახურების გაწევის გამარტივების მიზნით, ბანკომატის საშუალებით კლიენტის პლასტიკური ბარათისა და/ან პინ კოდით იდენტიფიკაციის საფუძველზე, მიიღოს ინფორმაცია ბანკის მიერ კლიენტისთვის გაკეთებულ შეთავაზებებზე (მათ შორის საკრედიტო პროდუქტებზე) და სურვილისამებრ მოახდინოს შეთავაზებების მიღება (დადასტურება) ბანკის მიერ დადგენილი პროცედურების სრულყოფილად გავლის შემდგომ. შეთავაზებული საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტის მიღებამდე, კლიენტის იდენტიფიკაციისთვის შესაძლოა ბანკმა საკუთარი შეხედულებისამებრ დააწესოს დამატებითი მექანიზმები (მოთხოვნები), რომლის დაუცველობის შემთხვევაში, კლიენტი ვერ მოახდენს შეთავაზებული საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტის მიღებას (დადასტურებას).

7.9 ბანკი პასუხს არ აგებს მესამე პირის მიერ სწრაფი გადახდის აპარატების / ბანკომატების მეშვეობით, კლიენტის იდენტიფიცირებისთვის აუცილებელი ინფორმაციის (პირადი ნომერი და დაბადების თარიღი ან პლასტიკური ბარათი და/ან პინ კოდი) სწრაფი გადახდის ტერმინალში / ბანკომატში შეყვანით, კლიენტის შესახებ ინფორმაციის მოპოვებაზე.

7.10 კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ ბანკი უფლებამოსილია:

7.10.1 კლიენტის მიერ ბანკის წინაშე ნაკისრი რომელიმე ვალდებულების დროულად ან/და ჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში, პრობლემური აქტივ(ებ)ის მართვის მიზნით, ბანკთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ პრობლემური აქტივების მართვის კომპანიას, გადასცეს კლიენტის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია და კლიენტთან გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც თავის მხრივ კისრულობს ვალდებულებას, დაიცვას ბანკის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა;

7.10.2 ბანკის აუდიტორებს, კონსულტანტებს, მრჩეველებს, საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებს/ორგანიზაციებს/კომპანიებს/კორპორაციებს და სხვა მსგავსი კატეგორიის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს (შემდგომში ერთობლივად ხსენებული, როგორც კონტრაქტორი პირი), საჭიროების შესაბამისად / კონტრაქტორ პირთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის/პირობ(ებ)ის ფარგლებში და/ან კონტრაქტორი პირის მოთხოვნის შემთხვევაში, მათ შორის კონტრაქტორი პირის მიერ ბანკის და/ან ბანკის კლიენტების აუდიტის/შეფასების/შემოწმების/ანალიზის მიზნით, გადასცეს კლიენტის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია/მონაცემი და კლიენტთან გაფორმებული ნებისმიერი გარიგება, მათ შორის გადასცეს კლიენტთან, როგორც მსესხებელთან, თავდებთან, დამგირავებელთან, იპოთეკის საგნის მესაკუთრესთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია/მონაცემი და/ან მასთან/მათთან გაფორმებული ნებისმიერი გარიგება (მათ შორის იმ შემთხვევაშიც თუ მსესხებელი და დამგირავებელი, იპოთეკის საგნის მესაკუთრე სხვადასხვა პირია). კონტრაქტორი პირი განახორციელებს აღნიშნული მონაცემების/ინფორმაციის/გარიგების დამუშავებას ბანკთან / კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულების მიზნებისთვის. კონტრაქტორი პირი, თავის მხრივ, კისრულობს ვალდებულებას, დაიცვას ბანკის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა.

7.10.3 კლიენტისთვის სხვადასხვა მომსახურების / პროდუქტების (მათ შორის სადაზღვევო, საშემფასებლო, აზომვითი პროდუქტების/მომსახურების) შეთავაზებისა და გაწევისათვის აუცილებელი ინფორმაცია (მათ შორის კლიენტის პერსონალური მონაცემები), გადასცეს სს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაოს" (ს/კ 205023856), სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგს" (ს/კ 204426674), სს „სადაზღვევო კომპანია უნისონს" (ს/კ 404393152) და/ან TBC Bank Group PLC (#10029943) ჯგუფის წევრ კომპანიებს, მათ შორის სს „თიბისი დაზღვევას" (ს/კ 405042804), შპს „თინეთს" (ს/კ 402116474), შპს „მარჯანიშვილი 7-ს" (ს/კ 402168998), სს „სფეის ინტერნეიშენალს" (ს/კ 402178442) ან/და შპს „თიბისი კაპიტალს" (ს/კ 204929961), რომლებიც, თავის მხრივ, კისრულობენ ვალდებულებას, დაიცვან ბანკის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა.

7.10.4 დისტანციური საბანკო/საგადახდო მომსახურების არხების/საგადახდო ინსტრუმენტების საშუალებებით (ბანკომატი, სწრაფი გადახდის ტერმინალი და სხვ.) კლიენტისათვის საბანკო/საგადახდო მომსახურების გაწევისთვის (მათ შორის სხვადასხვა საბანკო/საკრედიტო პროდუქტ(ებ)ის შეთავაზებისათვის / მათი დადასტურებისთვის) აუცილებელი ინფორმაცია (მ.შ. კლიენტის პერსონალური მონაცემები), მიაწოდოს მესამე პირებს (რომლებიც ზემოხსენებული მომსახურების მიწოდებისთვის/გაწევისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, ახორციელებენ პირთა იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციას), მათ შორის საგადახდო მომსახურების პროვაიდერ(ებ)ს, რომლებიც, თავის მხრივ, კისრულობენ ვალდებულებას, დაიცვან ბანკის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა.

7.10.5 კლიენტთან კომუნიკაციის გამარტივების, ეფექტურად და დროულად განხორციელების მიზნით, კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე, კლიენტის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია (როგორც პერსონალური მონაცემები, ასევე საბანკო საიდუმლოების შემცველი (კონფიდენციალური) ინფორმაცია), შეუზღუდავად, ნებისმიერი მოცულობით (კონკრეტული საჭიროების შესაბამისად) გადასცეს შპს „საქართველოს ფოსტას" ან/და სხვა საკურიერო/საფოსტო მომსახურების გამწევ კომპანიას/კომპანიებს, რომელიც/რომლებიც თავის მხრივ კისრულობს/კისრულობენ ვალდებულებას, დაიცვას/დაიცვან ბანკის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა და უზრუნველყოს/უზრუნველყონ ბანკის გზავნილის მიწოდება ადრესატისთვის.

7.10.6 კლიენტისთვის ეფექტური და სწრაფი საბანკო მომსახურების გაწევის მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად აუცილებელი კლიენტის პერსონალური მონაცემები საჭირო მოცულობით გადასცეს შესაბამისი რეპუტაციის მქონე კვლევით კომპანიებს, რომლებიც თავის მხრივ კისრულობენ ვალდებულებას, დაიცვან ბანკის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა.

7.11 კლიენტი ბანკს ათავისუფლებს ამ ხელშეკრულების 7.4 - 7.5 და 7.10 პუნქტების საფუძველზე მიღებული/გაცემული ინფორმაციის საიდუმლოების დაცვის ვალდებულებისგან და აცხადებს უარს ზემოხსენებულ პუნქტებში აღწერილი ინფორმაციის ბანკის მიერ გამჟღავნებით ან მესამე პირ(ებ)ისთვის გადაცემით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე.

7.12 მხარეები თანხმდებიან, რომ სხვადასხვა დისტანციური საბანკო მომსახურების არხების / ელექტრონული / ციფრული საკომუნიკაციო არხების საშუალებებით (ბანკომატი, სწრაფი გადახდის ტერმინალი, ინტერნეტ ბანკი, მობაილ ბანკი, www.tbccredit.ge, სატელეფონო სერვისცენტრი, კლიენტის მობილური ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი SMS კოდით (მოკლე ტექსტური შეტყობინებით) და სხვ.) კლიენტის მიერ გაცხადებულ თანხმობას მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით (მათ შორის სსგს-ს, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს, შემოსავლების სამსახურის და სხვა ბაზებში დაცული პირის პერსონალური მონაცემების ბანკის მიერ მიღებასთან და დამუშავებასთან დაკავშირებული თანხმობა) გააჩნია წერილობითი ფორმით შესრულებული, ქაღალდზე დაბეჭდილი, კლიენტის მიერ ხელმოწერით დადასტურებული საბუთის ტოლფასი იურიდიული ძალა.

7.13 კლიენტი ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია ბანკის ვებგვერდზე https://www.tbcbank.ge/web/documents/10184/476942/PRIVACY+POLICY+GEO განთავსებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა", რომელიც მოიცავს პირის პერსონალურ მონაცემებთან / კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული საკითხებს.

7.14 კლიენტი აცხადებს და ადასტურებს, რომ გაცნობილია ბანკის ვებგვერდზე განთავსებულ თანამშრომელთა დისკრიმინაციის, ძალადობისა და შევიწროებისაგან დაცვის შესახებ ბანკის პოლიტიკას (https://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/employee-protection-policy), ეთანხმება სრულად და აცნობიერებს ამ პოლიტიკის დარღვევისათვის წინამდებარე ხელშეკრულების მე-17 მუხლით გათვალისწინებულ შესაძლო სამართლებრივ შედეგებს.

7.15 **კლიენტი აცხადებს და ადასტურებს, რომ ბანკი უფლებამოსილია პირდაპირი მარკეტინგის მიზნით დაამუშავოს კლიენტის პერსონალური მონაცემ(ებ)ი (მათ შორის, მაიდენტიფიცირებელი, ფინანსური, საკონტაქტო და სხვა) „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის" (https://www.tbcbank.ge/web/documents/10184/476942/PRIVACY+POLICY+GEO) შესაბამისად. ამავდროულად, კლიენტს უფლება აქვს მოითხოვოს შეთავაზებ(ებ)ის მიღების შეწყვეტა იმავე ფორმით/არხით, რომლითაც იღებს შეთავაზებას/ებს. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული თანხმობა მოქმედებს უვადოდ (მის გაუქმებამდე), ხოლო თანხმობის გაუქმების შემთხვევაში, კლიენტი ვეღარ მიიღებს მასზე მორგებულ შეთავაზებას/ებს მომსახურების და/ან პროდუქტ(ებ)ით სარგებლობასთან დაკავშირებით. კლიენტის მიერ წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული თანხმობის გაუქმების შემთხვევაში, პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემების დამუშავება შეწყდება შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.**

## 8. ხელშეკრულების მოქმედება და სხვა პირობები

8.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის ამ ხელშეკრულების 1.2 პუნქტში აღნიშნული განაცხადის მიღების ბანკის მიერ დადასტურების მომენტიდან და იმოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.

8.2 კლიენტს უფლება აქვს ნებისმიერ დროს დახუროს ანგარიში ან შეწყვიტოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ან ყველა სახის მომსახურებით სარგებლობა ანგარიშის დახურვამდე ან მომსახურებით სარგებლობის შეწყვეტამდე 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე ბანკისთვის წერილობითი შეტყობინების გადაცემის მეშვეობით. ამ შემთხვევაში კლიენტი ვალდებული იქნება ანგარიშის დახურვის ან/და მომსახურებით სარგებლობის შეწყვეტის შესახებ წერილობითი შეტყობინების ბანკისთვის გადაცემიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა გადაუხადოს ბანკს შესაბამის ანგარიშთან ან/და მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა საკომისიო და სხვა სახის გადასახდელი.

8.2.1 კლიენტი ვალდებულია ხელშეკრულების შეწყვეტამდე უზრუნველყოს ანგარიშ(ებ)ზე არსებული ნაშთ(ებ)ის ანგარიშ(ებ)იდან სრულად გატანა და/ან აცნობოს ბანკს სხვა კომერიცულ ბანკში არსებული ალტერნატიული საბანკო რეკვიზიტების შესახებ რომელზეც ბანკი შეძლებს კლიენტის ანგარიშზე არსებული ნაშთის გადარიცხვას. ხოლო, კლიენტის მიერ ამ პუნქტით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია: (ა) კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე გადარიცხოს ანგარიშ(ებ)ზე არსებული ნაშთ(ებ)ი კლიენტის სხვა ბანკში ასებულ ანგარიშზე, რომლის რეკვიზიტები ბანკისთვის

ცნობილი გახდა მომსახურების გაწევისას ან საჯარო წყაროდან და/ან (ზ) გადაიტანოს ანგარიშ(ებ)ზე არსებული ნაშთ(ებ)ი ბანკის სატრანზიტო ანგარიშზე და/ან (გ) შეუზღუდოს კლიენტს ანგარიშ(ებ)ზე წვდომა, საბანკო ოპერაციების წარმოება, უარი უთხრას მომსახურების გაწევაზე.

8.3 ბანკს უფლება აქვს ნებისმიერ დროს:

8.3.1 შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება შეწყვეტამდე არანაკლებ 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე კლიენტისთვის შეტყობინებით;

8.3.2 შეცვალოს ამ ხელშეკრულებაში აღწერილი მომსახურების პირობები, მახასიათებლები ან/და საფასური (ბანკის მიერ დადგენილ ტარიფებში ცვლილებების შემთხვევაში), კლიენტს შესთავაზოს ან შეწყვიტოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ან რამდენიმე მომსახურების გაწევა;

8.3.3 დახუროს კლიენტის ანგარიშ(ებ)ი კლიენტის მიერ ბანკთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის, ანგარიშ(ებ)ზე 6 (ექვსი) თვის განმავლობაში ნაშთის არარსებობის ან/და ანგარიშ(ებ)ის მეშვეობით ოპერაციების განუხორციელებლობის შემთხვევაში (ამ პუნქტის მიზნებისთვის ოპერაციის განხორციელებად არ ჩაითვლება ბანკის მომსახურების საფასურის / საკრედიტო პროდუქტ(ებ)თან დაკავშირებული გადასახდელ(ებ)ის გადარიცხვა/ჩამოწერა კლიენტის ანგარიშ(ებ)იდან). ბანკი კლიენტის ანგარიშ(ებ)ს დახურავს იმ შემთხვევაშიც, თუ კლიენტის მიერ განხორციელდება/ინიცირებული იქნება / კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე დაფიქსირდება სანქცირებულ პირთა სიაში შემავალი ქვეყნ(ებ)ის მიერ/ქვეყნ(ებ)ში წარმოებული პროდუქციის შეძენასთან / იმპორტთან / ექსპორტთან / გადაზიდვასთან და/ან სხვა ნებისმიერ ქვეყანაში შეძენილი პროდუქციის სანქცირებულ პირთა სიაში შემავალი ქვეყნ(ებ)ის ტერიტორიის გავლით და/ან სანქცირებულ პირთა სიაში შემავალი ქვეყნ(ებ)ის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალებით (მათ შორის საჰაერო, საზღვაო და სხვ.) პროდუქციის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ტრანზაქციები / ოპერაციები. ბანკში კლიენტს ანგარიში ასევე დაეხურება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. ანგარიშის დახურვის შემთხვევაში კლიენტს დაუბრუნდება შესაბამის ანგარიშზე რიცხული თანხა, რა შემთხვევაშიც ძალაში შევა ხელშეკრულების 8.2.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობა (ბანკის უფლებამოსილება).

8.3.4 კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე, გაუხსნას კლიენტს საანგარიშსწორებო (მიმდინარე, საბარათე, სარეალიზაციო და სხვა მსგავსი) ან/და მოთხოვნამდე ანაბრის (სადეპოზიტო) ანგარიში ნებისმიერ ვალუტაში იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ კლიენტს არ აქვს ასეთი ანგარიში ან/და საჭიროა ასეთი ანგარიშის დამატებით გახსნა (კრედიტის დაფარვის/ვალდებულებ(ებ)ის შესრულების, საანაბრო ანგარიშ(ებ)ზე თანხ(ებ)ის შეტანის/ჩარიცხვის ან/და საანაბრო ანგარიშ(ებ)იდან თანხ(ებ)ის გატანის/გადარიცხვის, საანგარიშსწორებო ანგარიშ(ებ)ზე არსებული ვალუტისაგან განსხვავებული ვალუტის თანხის ჩარიცხვის ოპერაციის, შესაბამისი ვალუტის ანგარიშ(ებ)ზე ასახვის (ჩარიცხვის) და სხვ. მიზნით). ამ შემთხვევაში, ეს ხელშეკრულება ან/და კლიენტის მიერ ხელმოწერილი ნებისმიერი განაცხადი, რომლითაც ის უერთდება ამ ხელშეკრულებას, ჩაითვლება კლიენტის განაცხადად შესაბამისი ანგარიშის გახსნის შესახებ.

8.3.5 მოახდინოს კლიენტის საბანკო ანგარიშ(ებ)ის ბლოკირება - ანგარიშ(ებ)ზე/ანგარიშ(ებ)იდან შეზღუდოს აქტიური ოპერაციები (თანხის შეტანა/გატანა, ჩარიცხვა/გადარიცხვა, კონვერტაცია და სხვ.), ანგარიშ(ებ)ზე/ანგარიშ(ებ)იდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში საბანკო ოპერაციების განუხორციელებლობის შემთხვევაში (ამ პუნქტის მიზნებისთვის, საბანკო ოპერაციის განხორციელებად არ ჩაითვლება ბანკის მომსახურების საფასურის / საკრედიტო პროდუქტ(ებ)თან დაკავშირებული გადასახდელ(ებ)ის გადარიცხვა/ჩამოწერა კლიენტის ანგარიშ(ებ)იდან). ამასთან, საბანკო ანგარიშ(ებ)ის ამ პუნქტით განსაზღვრული საფუძვლით ბლოკირების შემთხვევაში, კლიენტი ვერ შეძლებს საბანკო პროდუქტ(ებ)ის/მომსახურების მიღებას (რეგისტრაციას, სარგებლობას და ა.შ.), ბანკის მიერ წინასწარ განსაზღვრული ქმედებების კლიენტის მხრიდან სრულად განხორციელებამდე (შესრულებამდე). კლიენტის ანგარიშ(ებ)ის ბლოკირებას ბანკი ასევე განახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8.3.6 მოახდინოს კლიენტის საბანკო ანგარიშ(ებ)ის ბლოკირება - ანგარიშ(ებ)ზე/ანგარიშ(ებ)იდან შეზღუდოს აქტიური ოპერაციები (თანხის შეტანა, გატანა, ჩარიცხვა, გადარიცხვა, კონვერტაცია და სხვ.), მათ შორის, შეუზღუდოს კლიენტს ანგარიშზე არსებულ ფულად სახსრებზე (სრულად ან ნაწილობრივ) წვდომა, იმ შემთხვევაში, თუ ბანკი ახორციელებს მოკვლევას, რომელიც გათვალისწინებულია „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონით ან/და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტებით, კლიენტის მიმართ გამოყენებულია შესაბამისი საერთაშორის სანქცია, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ფულადი სახსრები მოპოვებულია შესაძლო დანაშაულებრივი გზით ან/და შესაძლოა გამოყენებულ იქნას კანონსაწინააღმდეგო ქმედებისთვის.

8.3.7 ცალმხრივი გადაწყვეტილების საფუძველზე, კლიენტს შეუზღუდოს ანგარიშ(ებ)ზე/ანგარიშ(ებ)იდან აქტიური ოპერაციები (თანხის შეტანა, გატანა, ჩარიცხვა, გადარიცხვა, კონვერტაცია და სხვ., მათ შორის, შეუზღუდოს კლიენტს ანგარიშზე არსებულ ფულად სახსრებზე (სრულად ან ნაწილობრივ) წვდომა) და/ან დახუროს კლიენტის ანგარიშ(ებ)ი და/ან წინასწარი შეტყობინების გარეშე შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება (მათ შორის ამ ხელშეკრულების შეწყვეტისთვის ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დაცვის გარეშე), ბანკის შიდა პოლიტიკით/პროცესით/დოკუმენტით ბანკის მიერ ცალმხრივად დადგენილ/განსაზღვრულ მოთხოვნებთან/წესებთან კლიენტის/კლიენტის ქმედების შეუთავსებლობის/შეუსაბამობის საფუძვლით/მიზეზით.

8.4 ამ ხელშეკრულების მოქმედება ნებისმიერ დროს შეიძლება შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8.5 ბანკს უფლება აქვს ცვლილებები (დამატებები) შეიტანოს ამ ხელშეკრულების ტექსტში ცვლილების (დამატების) განხორციელებამდე 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე ბანკის ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge ან/და ბანკის ფილიალებისა და სერვისცენტრების შენობებში შესაბამისი ინფორმაციის განთავსების მეშვეობით.

8.6 ამ ხელშეკრულების 8.5 პუნქტში აღწერილ შემთხვევაში კლიენტს უფლება ექნება ბანკის ინტერნეტ-გვერდზე ან/და ბანკის ფილიალებისა და სერვისცენტრების შენობებში ინფორმაციის განთავსებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის გასვლამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება ამ ხელშეკრულების 8.2 პუნქტით გათვალისწინებული წესით. ამ

პუნქტით მინიჭებული უფლების განხორციელების (გამოყენების) შემთხვევაში კლიენტი ვალდებული იქნება ამ ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ წერილობითი შეტობინების ბანკისთვის გადაცემიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა დაუბრუნოს ბანკს ამ ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული ყველა საკრედიტო პროდუქტი (სრულად დაფაროს ყველა საკრედიტო ლიმიტი, ოვერდრაფტი, საბანკო კრედიტი ან/და სხვა საკრედიტო პროდუქტი) და გადაუხადოს ბანკს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა მომსახურებასთან და პროდუქტთან დაკავშირებული საკომისიო, საპროცენტო სარგებელი, პირგასამტეხლო და სხვა გადასახდელი. ამ ხელშეკრულების მოქმედება გაგრძელდება ამ ხელშეკრულებით კლიენტისთვის დაკისრებული ყველა ვალდებულების მთლიანად შესრულებამდე.

8.7 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი არ ისარგებლებს ამ ხელშეკრულების 8.6 პუნქტში აღწერილი უფლებით, ბანკის მიერ შეთავაზებული ცვლილებები (დამატებები) ჩაითვლება კლიენტის მიერ მიღებულად, ხელშეკრულება კი შეცვლილად, შეთავაზებული პირობების შესაბამისად. ბანკს უფლება აქვს ცვლილება, რომელიც არ აუარესებს კლიენტის მდგომარეობას ძალაში შეიყვანოს ინტერნეტ-გვერდზე მისი განთავსებისთანავე.

8.7.1 მხარეები თანხმდებიან, რომ თუ წინამდებარე ან/და მის საფუძველზე გაფორმებული ნებისმიერი დამატებითი ხელშეკრულების პირობების ცვლილებას, ბანკი განახორციელებს კლიენტის სასარგებლოდ, ბანკი არ არის ვალდებული წინასწარ აცნობოს კლიენტს ცვლილების შესახებ.

8.8 ნებისმიერი შეტყობინება ხორციელდება წერილობით, ან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ფორმით. წერილობითი შეტყობინება მხარეს უნდა გადაეცეს შეტყობინების გამგზავნისთვის ცნობილ ბოლო მისამართზე. ბანკს შეუძლია შეტყობინებისთვის გამოიყენოს კომუნიკაციის სხვა საშუალებებიც (მათ შორის ელექტრონული, ციფრული, სატელეფონო და სხვა):

8.8.1 მხარეები თანხმდებიან, რომ მსესხებლის მიერ გაცხადებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე, რომელიც მითითებულია (ა) წინამდებარე ხელშეკრულებაში და/ან (ბ) მსესხებლის მიერ ბანკისათვის მიწოდებულ/წარდგენილ ნებისმიერ დოკუმენტში და/ან (გ) ნებისმიერ საჯარო წყაროში, გაგზავნილი ელექტრონული შეტყობინება, ითვლება მსესხებლისათვის ოფიციალურად ჩაბარებულ შეტყობინებად;

8.8.2 თუ მხარეს შეტყობინება ეგზავნება ელექტრონული ფოსტის მისამართზე, მიღება (მხარისათვის ჩაბარება) უნდა დადასტურდეს შესაბამისი ტექნიკური საშუალების ამონაწერით ან/და შესაბამისი ტექნიკური საშუალებით მოწოდებული დადასტურებით. კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ წინამდებარე ხელშეკრულების 8.8.1 ქვეპუნქტში განსაზღვრულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნილი ელექტრონული შეტყობინება (თუ მიღება (მხარისათვის ჩაბარება) დასტურდება შესაბამისი ტექნიკური საშუალების ამონაწერით ან/და შესაბამისი ტექნიკური საშუალებით მოწოდებული დადასტურებით), მისთვის ჩაბარებულად ითვლება;

8.8.3 შეტყობინება მიღებულად/ჩაბარებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ შეტყობინების გამგზავნ მხარეს შეტყობინება დაუბრუნდება გაგზავნილ მისამართზე შეტყობინების ადრესატის ადგილსამყოფელის არარსებობის გამო, ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე ან თავს აარიდებს მის მიღებას;

8.8.4 შეტყობინება ასევე მიღებულად/ჩაბარებულად ითვლება კანონმდებლობით განსაზღვრული ნებისმიერი ფორმითა და საშულებით გაგზავნისა და ჩაბარების შემთხვევაშიც.

8.9 იმ საკითხების მოწესრიგებისას, რომლებიც ამ ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

8.10 მხარეთა შორის წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა განიხილება 8.16-8.21 პუნქტების შესაბამისად.

8.11 ბანკის ინტერნეტ-გვერდზე განთავსებულ და ბანკის მონაცემთა ბაზებში (კომპიუტერულ პროგრამებში) დაცულ ინფორმაციას, ამ ინფორმაციის ბანკის მიერ დამზადებულ ელექტრონულ ასლებსა და ამონაბეჭდებს, რომლებიც დამოწმებულია ბანკის დირექტორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, აქვთ მტკიცებულებითი ძალა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ურთიერთობებთან დაკავშირებული ფაქტების არსებობა-არარსებობის დადასტურების მიზნებისთვის.

8.12 ამ ხელშეკრულებას ენიჭება უპირატესი ძალა მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით ადრე გაფორმებულ სხვა ხელშეკრულებებთან წინააღმდეგობის შემთხვევაში.

8.13 ამ ხელშეკრულების რომელიმე ნაწილის ბათილობა და/ან მოქმედების შეწყვეტა არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას ან მოქმედების შეწყვეტას.

8.14 კლიენტის მომსახურების პირობები, ტარიფები, საპროცენტო განაკვეთები და ბანკის რეკომენდაციები აღწერილია/მოცემულია ბანკის მიერ გავრცელებულ საინფორმაციო მასალაში (მათ შორის ბუკლეტები, ბროშურები, ბანკის ინტერნეტ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია და სხვა). საინფორმაციო მასალაში მოცემულ ინფორმაციასა და ამ ხელშეკრულების შინაარსს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში გამოიყენება ამ ხელშეკრულების დებულებები.

8.15 ამ ხელშეკრულების ტექსტი განთავსებულია ბანკის ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge, მოთხოვნის შემთხვევაში კლიენტს გადაეცემა ხელმოწერილი ხელშეკრულება.

8.16 მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულებიდან (შეთანხმებიდან) გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, განსახილველად და საბოლოოდ გადასაწყვეტად გადაეცემა სასამართლოს, თუ კლიენტსა და ბანკს შორის ერთი საპროცესო წარმოების ფარგლებში გაერთიანებული დავის საგნ(ებ)ის ჯამური (საერთო) ღირებულება ნაკლებია 7 000 (შვიდი ათასი) ლარზე ან ევივალენტზე უცხოურ ვალუტაში (სარჩელის წარდგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად).

8.17 იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულების, ან მის საფუძველზე გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების/შეთანხმების დადების ადგილია აღმოსავლეთ ან სამხრეთ საქართველოს (შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციული ერთეული) ტერიტორია, მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულებიდან (შეთანხმებიდან) გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა,

განსახილველად და საბოლოოდ გადასაწყვეტად გადაეცემა მუდმივმოქმედ არბიტრაჟს შემდეგი წესით: თუ კლიენტსა და ბანკს შორის ერთი საარბიტრაჟო წარმოების ფარგლებში გაერთიანებული დავის საგნ(ებ)ის ჯამური (საერთო) ღირებულება 1) 7 000 (შვიდი ათასი) ლარიდან 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარამდეა (ან ექვივალენტზე უცხოურ ვალუტაში (სარჩელის წარდგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად)) - შპს „არბიტრაჟის სახლს" (საიდენტიფიკაციო კოდი: 411322359); 2) 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარს (ან ექვივალენტზე უცხოურ ვალუტაში (სარჩელის წარდგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად)) ზემოთ - მუდმივმოქმედ არბიტრაჟს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტს" (საიდენტიფიკაციო კოდი: 205273005). ამასთან, წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საარბიტრაჟო შეთანხმებით, მხარეები ასევე თანხმდებიან, რომ დავის განხილვის ადგილია თბილისი.

8.17.1 იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულების, ან მის საფუძველზე გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების დადების ადგილია დასავლეთ საქართველოს (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია, გურია, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, სამეგრელო, ზემო სვანეთი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა) ტერიტორია, მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულებიდან (შეთანხმებიდან) გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, განსახილველად და საბოლოოდ გადასაწყვეტად გადაეცემა მუდმივმოქმედ არბიტრაჟს - შპს „არბიტრაჟის სახლს" (საიდენტიფიკაციო კოდი: 411322359), თუ კლიენტსა და ბანკს შორის ერთი საარბიტრაჟო წარმოების ფარგლებში გაერთიანებული დავის საგნ(ებ)ის ჯამური (საერთო) ღირებულება მეტია 7 000 (შვიდი ათასი) ლარზე ან მის ექვივალენტზე უცხოურ ვალუტაში (სარჩელის წარდგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად). ამასთან, წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საარბიტრაჟო შეთანხმებით, მხარეები ასევე თანხმდებიან, რომ დავის განხილვის ადგილია ქუთაისი.

8.18 მხარეები თანხმდებიან და ადგენენ საარბიტრაჟო წარმოების წესებს და პროცედურებს ქვემოთ მოყვანილი პირობების (საარბიტრაჟო დათქმა–შეთანხმება) შესაბამისად. საარბიტრაჟო წარმოების წესები და პროცედურები განისაზღვრება მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულების დებულების შესაბამისად, თუ წინამდებარე შეთანხმებით სხვა წესები და პროცედურები არ არის განსაზღვრული ან წინამდებარე შეთანხმება არ ადგენს მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულების დებულებისაგან განსხვავებულ ან/და დამატებით წესებს და პროცედურებს. ამასთან გამოიყენება მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულების დებულების ის რედაქცია, რომელიც მოქმედებს საარბიტრაჟო სარჩელის მიღების თარიღისათვის. საარბიტრაჟო დავ(ებ)ის განხილვის ადგილი არის ქალაქი თბილისი, არბიტრაჟი დავას გადაწყვეტს საქართველოს კანონმდებლობით მოქმედი სამართლის ნორმების შესაბამისად და საარბიტრაჟო განხილვა წარმოებს ქართულ ენაზე. მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულება დავას განიხილავს ერთი არბიტრის შემადგენლობით. თუ დავის საგნის ღირებულება არ აღემატება 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარს ან მის ექვივალენტს საარბიტრაჟო სარჩელის წარდგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად უცხოურ ვალუტაში, არბიტრაჟი დავას განიხილავს მხარეთა ზეპირი მოსმენის გარეშე (საარბიტრაჟო განხილვის ფორმა), მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულების დებულების შესაბამისად. საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე ან განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე, მხარეს შეუძლია შუამდგომლობით მიმართოს მუდმივმოქმედ საარბიტრაჟო დაწესებულებას, ხოლო არბიტრაჟის ფორმირების შემდეგ – არბიტრაჟს, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ. მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულების (ან არბიტრაჟის) მიერ გამოყენებულ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს აქვთ სავალდებულო ძალა და იგი უნდა აღსრულდეს არბიტრაჟის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. მხარეები თანხმდებიან, რომ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება(ებ)ს აქვს (აქვთ) სავალდებულო იურიდიული ძალა მხარის მიერ მის ცნობისა და აღსრულებისათვის სასამართლოსათვის მიმართვის გარეშე. თუ მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულების დებულებით ან/და კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული, არბიტრაჟის გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხების გადაწყვეტის უფლებამოსილება ენიჭება საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარეს. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი გამოტანის მომენტიდან და არ არის აუცილებელი შეიცავდეს სამოტივაციო ნაწილს.

8.19 იმ შემთხვევაში, თუ საარბიტრაჟო სარჩელის (პრეტენზიის) წარდგენის მომენტში, ზემოხსენებული არბიტრაჟი/არბიტრაჟები იქნება ლიკვიდირებული ან მას/მათ შეჩერებული/შეწყვეტილი ექნება ფუნქციონირება, დავა განსახილველად და საბოლოოდ გადასაწყვეტად გადაეცემა სასამართლოს. იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებებით/შეთანხმებებით საარბიტრაჟო დათქმა სხვადასხვაგვარად რეგულირდება, დავის შემთხვევაში, გამოიყენება მხარეთა შორის დადებული უახლესი ხელშეკრულებით/შეთანხმებით გათვალისწინებული საარბიტრაჟო დათქმა.

8.20 იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავა ნებისმიერი მიზეზით დაექვემდებარება სასამართლოს განსჯადობას (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზეზით და სხვ.) და განხილული იქნა სასამართლოს მიერ, მხარეები თანხმდებიან, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268–ე მუხლის $1^1$ ნაწილის შესაბამისად, ამ ხელშეკრულებიდან (შეთანხმებიდან) გამომდინარე დავასთან დაკავშირებული ბანკის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, მიქცეულ იქნეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

8.21 მხარეები თანხმდებიან, რომ კომუნიკაცია მათსა და სასამართლოს ან/და მათსა და საარბიტრაჟო დაწესებულებას ან/და მათსა და არბიტრებს შორის წარმოებს წერილობით, მათ შორის ელექტრონული ფოსტის საშუალებით (ელექტრონული ფორმით). მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი ოფიციალური შეტყობინება, მათ შორის ხელშეკრულებაზე უარის თქმის, ხელშეკრულების მოშლის, ხელშეკრულების შეწყვეტის ან/და ვალდებულების შესრულებისათვის დამატებითი ვადის განსაზღვრის, აგრეთვე საპროცენტო განაკვეთის ბანკის მიერ ცალმხრივად გაზრდის შესახებ განხორციელებულად ჩაითვლება, თუ მხარეს ჩაბარდება წერილობით, მათ შორის ელექტრონული ფორმით წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში

გაფორმებული ხელშეკრულების რეკვიზიტების ნაწილში განსაზღვრულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე. კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ სასამართლომ ან არბიტრაჟმა (არბიტრმა) მისი დაბარება, მისთვის უწყების ჩაბარება, მისთვის სასამართლო ან საარბიტრაჟო საქმისწარმოების დოკუმენტაციების გადაცემა, მისთვის გადაწყვეტილების (განჩინების) / საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ჩაბარება განახორციელოს წერილობით, მათ შორის ელექტრონული ფოსტის საშუალებით წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების რეკვიზიტების ნაწილში განსაზღვრულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე. თუ მხარეს შეტყობინება ეგზავნება ელექტრონული ფორმით წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების რეკვიზიტების ნაწილში მითითებულ ელექტრონულ ფოსტის მისამართზე, მიღება (მხარისათვის ჩაბარება) უნდა დადასტურდეს შესაბამისი ტექნიკური საშუალების ამონაწერით ან/და შესაბამისი ტექნიკური საშუალებით მოწოდებული დადასტურებით. კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების რეკვიზიტების ნაწილში განსაზღვრულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე ელექტრონული ფოსტის საშუალებით განთავსებული შეტყობინება (თუ მიღება (მხარისათვის ჩაბარება) დასტურდება შესაბამისი ტექნიკური საშუალების ამონაწერით ან/და შესაბამისი ტექნიკური საშუალებით მოწოდებული დადასტურებით) მისთვის ჩაბარებულად ითვლება.

8.22 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს ექნება რაიმე სახის ვალდებულება ბანკის მიმართ, ამ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით ბანკი განახორციელებს იპოთეკის ან/და გირავნობის საგნის საკუთრებაში მიღებას ან რეალიზაციას და ბანკის (როგორც იპოთეკარის ან/და მოგირავნის) მიერ იპოთეკის ან/და გირავნობის საგნის საკუთრებაში მიღების მომენტისთვის იპოთეკის ან/და გირავნობის საგნის ღირებულება იქნება უზრუნველყოფილი მოთხოვნის მოცულობაზე ნაკლები ან თუ იპოთეკის ან/და გირავნობის საგნის რეალიზაციით მიღებული თანხა არ იქნება საკმარისი უზრუნველყოფილი მოთხოვნის სრულად დასაფარავად, უზრუნველყოფილი მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩაითვლება მხოლოდ იპოთეკის ან/და გირავნობის საგნის ღირებულების ან იპოთეკის ან/და გირავნობის საგნის რეალიზაციით მიღებული თანხის ტოლი ოდენობით.

8.22.1 ბანკს უფლება აქვს მოითხოვოს აღსრულების მიქცევა კლიენტის ნებისმიერ ქონებაზე (კლიენტის კუთვნილ ნებისმიერ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე) მიუხედავად იმისა, უზრუნველყოფილია თუ არა კლიენტის ვალდებულება (ბანკის მოთხოვნა) სანივთო უფლებით (იპოთეკით, გირავნობით).

8.22.2 ბანკი იპოთეკის/გირავნობის საგნ(ებ)ის რეალიზაციას განახორციელებს შესაბამისი იპოთეკის/გირავნობის ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებული წეს(ებ)ით (მათ შორის სპეციალისტის მეშვეობით რეალიზაცია, ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებლო ფურცლის საფუძველზე რეალიზაცია, ქონების ბანკის მიერ პირდაპირ საკუთრებაში მიღებით და სხვ.).

8.23 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი წინასწარ არ განაცხადებს წერილობით უარს, ჩაითვლება, რომ კლიენტი თანახმაა ბანკის მიერ განხორციელებულ წამახალისებელ აქციებში მონაწილეობასა და ამ აქციების პირობებზე, მათ შორის პირობაზე, რომ წამახალისებელ აქციაში გამარჯვების შემთხვევაში, მოხდება ამ ინფორმაციის და კლიენტის პერსონალური მონაცემების გასაჯაროება ბანკის სხვადასხვა არხების საშუალებით.

8.24 ბანკის მომსახურებით უკმაყოფილების შემთხვევაში, კლიენტს უფლება აქვს ბანკს მიმართოს პრეტენზიით ზეპირი, წერილობითი ან ელექტრონული ფორმით. პრეტენზიის სტანდარტული წერილობითი ფორმის მიღება შესაძლებელია ბანკის ფილიალებსა და სერვისცენტრებში. ელექტრონული ფორმით პრეტენზიის დაფიქსირება შესაძლებელია ინტერნეტ-ბანკის ან ბანკის ვებგვერდის (www.tbcbank.ge) საშუალებით. პრეტენზიის დაფიქსირება ასევე შესაძლებელია თიბისი ბანკის სატელეფონო სერვის ცენტრში დაკავშირებით: +99532 2 272727. კლიენტის მიერ დაფიქსირებული პრეტენზიის განხილვის მაქსიმალური ვადაა განმცხადებლის მომართვისა და საჭიროების შეთხვევაში იდენტიფიკაციიდან არაუგვიანეს ერთი თვე. პრეტენზიებს განიხილავს ბანკის მომხმარებელთა მხარდაჭერის განყოფილების პრეტენზიების მართვის გუნდი. პრეტენზიასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შესახებ კლიენტს ეცნობება წერილობით ან/და კლიენტთან შეთანხმებით კომუნიკაციის სხვა საშუალებით (სატელეფონო კომუნიკაცია, ელექტრონული ფოსტა, ციფრული არხი) ან/და პრეტენზიის მომართვის ფორმის იდენტურად. პრეტენზიის განხილვის მიმდინარეობასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ნებისმიერ ფილიალში/სერვისცენტრში და/ან დისტანციური არხების საშუალებით.

8.25 კლიენტი აცხადებს და ადასტურებს, რომ თანახმაა, მის მიერ განხორციელებული ნებისმიერი ტრანზაქციის შესახებ ინფორმაცია (მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის შესაბამისი სამართლებრივი აქტ(ებ)ით პირდაპირ გათვალისწინებული / მოთხოვნილი ინფორმაცია) და/ან ამონაწერი (ბანკის მიერ განსაზღვრული ფორმით და პირობებით) მიიღოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე დისტანციური არხით (სატელეფონო სერვისცენტრით / ინტერნეტ-ბანკით / მობაილ-ბანკით და სხვ.) და/ან ბანკის ნებისმიერ ფილიალში / სერვისცენტრში ვიზიტით.

8.26 კლიენტი აცხადებს და ადასტურებს, რომ ბანკში წარდგენილი / ბანკისთვის მიწოდებული მინდობილობის/რწმუნებულების საფუძველზე ბანკის მიერ კლიენტისთვის მომსახურების გაწევა / საბანკო/საკრედიტო პროდუქტ(ებ)თან დაკავშირებული გარიგებ(ებ)ის გაფორმება, დამოკიდებულია ბანკის ცალმხრივ ნებაზე/გადაწყვეტილებაზე. იმ შემთხვევაში, თუ ბანკში წარდგენილი / ბანკისთვის მიწოდებული მინდობილობა/რწმუნებულება ვერ დააკმაყოფილებს მინდობილობის/რწმუნებულების მიმართ ბანკის შიდა პოლიტიკით/ინსტრუქციით/პროცესით/დოკუმენტით (ბანკის მიერ ცალმხრივად) დადგენილ/განსაზღვრულ მოთხოვნებს/წესებს, ბანკი არ არის ვალდებული განუმარტოს კლიენტს მინდობილობის/რწმუნებულების საფუძველზე მომსახურების გაწევაზე / საბანკო/საკრედიტო პროდუქტ(ებ)თან დაკავშირებული გარიგებ(ებ)ის გაფორმებაზე უარის მიზეზი.

8.27 „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მომხმარებელს უფლება აქვს, ბანკის წინააღმდეგ საჩივრით მიმართოს საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებულ დავების განმხილველ კომისიას (შემდგომში „კომისია“), საქართველოს კანონმდებლობით/წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში ბანკის მიერ საჩივრის მომხმარებლის სასარგებლოდ სრულად ან ნაწილობრივ დაუკმაყოფილებლობის (მათ შორის მომხმარებლისთვის პასუხის გაუცემლობის / დაუბრუნებლობის) შემთხვევაში. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული საჩივრით მიმართვის უფლება წარმოეშობა მომხმარებელს, თუ საჩივრით გათვალისწინებული დავის საგნის ღირებულება არ აღემატება 50 000 ლარს (ან მის ეკვივალენტს უცხოურ ვალუტაში, სადავო ქმედების განხორციელების ან საჩივრის წარდგენის დღის თარიღით). ამასთან,

მომხმარებელს უფლება აქვს, კომისიისთვის მიმართვის გარეშე, პირდაპირ მიმართოს სასამართლოს. მომხმარებელი უფლებამოსილია კომისიას მიმართოს ბანკისთვის საჩივრით მიმართვის დღიდან არაუგვიანეს 6 (ექვსი) თვისა. კომისია წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებულ საჩივარს განიხილავს უსასყიდლოდ. კომისია საქმიანობას განახორციელებს 2023 წლის 1 დეკემბრიდან. კომისიის საქმიანობის წესს (მათ შორის საჩივრის წარდგენის წესსა და პროცედურას) შეგიძლიათ დეტალურად გაეცნოთ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2023 წლის 26 ივლისის #2 დადგენილებით („საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებული დავების განმხილველი კომისიის საქმიანობის წესი“).

8.28 იმ შემთხვევაში თუ წინამდებარე ხელშეკრულების 7.1.1.6 ქვეპუნქტის შესაბამისად გაკეთებული განცხადება აღმოჩნდება არასწორი და კლიენტის მიერ განხორციელებული ქმედება წარმოადგენს სანქციის დარღვევას/გვერდის ავლას ან/და აღნიშნულის გამო ბანკის შეფასებით იარსებებს კლიენტზე ან/და მათთან აფილირებულ პირ(ებ)ზე სანქციის გავრცელების რისკი ან/და რომელიმე ზემოხსენებულ პირზე გავრცელებული იქნება სანქცია, ბანკს გარდა ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა ქმედებებისა, ასევე უფლება ექნება იმოქმედოს წინამდებარე ხელშეკრულების 7.1.1.6.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ დაწესებული სანქციის შესაბამისად და განახორციელოს უფლებამოსილი პირ(ებ)ის ან/და ორგანოს მიერ დაწესებული ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი და ყველა ქმედება, მათ შორის არ მისცეს კლიენტს ნებისმიერი თანხის/აქტივ(ებ)ის განკარგვის ან/და მართვის შესაძლებლობა.

## 9. ინტერნეტ-ბანკი

9.1 <u>მომსახურების აღწერა</u>

9.1.1 ინტერნეტ-ბანკით მომსახურება გულისხმობს ბანკში გამოუცხადებლად კლიენტის მიერ ბანკის სპეციალური ინტერნეტ-გვერდის https://www.tbconline.ge გამოყენებით ბანკის მიერ განსაზღვრული:

9.1.1.1 საბანკო ინფორმაციის მიღებას;

9.1.1.2 სხვადასხვა საბანკო მომსახურებით (სერვისით) სარგებლობისთვის რეგისტრაციას;

9.1.1.3 ლიმიტების ფარგლებში სხვადასხვა საბანკო ოპერაციის განხორციელებას;

9.1.1.4 საკონტაქტო ინფორმაციის (მათ შორის, ტელეფონის ნომრის, ელ. ფოსტის მისამართის და ა.შ.) შეცვლას;

9.1.1.5 კლიენტის მონაცემების (სამეწარმეო სტატუსი, ფაქტობრივი მისამართი და ა.შ) შეცვლას;

9.1.1.6 საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ან/და საანაბრო (სადეპოზიტო) ანგარიშ(ებ)ის გახსნას ან/და დახურვას;

9.1.1.7 სხვადასხვა საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პრუდუქტის მიღების / საბანკო (მათ შორის საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული) გარიგებ(ებ)ის დადების სურვილის დაფიქსირებას (ბანკისთვის განაცხადის წარდგენას).

9.1.1.8 რეგისტრირებულ მომსახურებაში/პროდუქტში ცვლილებების შეტანის ან/და გაუქმების მოთხოვნის დაფიქსირებას;

9.1.1.9 სხვადასხვა საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტის შესახებ ინფორმაციის მიღებას და სურვილისამებრ, მათ დადასტურებას / საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტთან დაკავშირებული გარიგებ(ებ)ის დადებას.

9.1.2 ინტერნეტ-ბანკის საშუალებით კლიენტს შეუძლია განახორციელოს სხვადასხვა საბანკო ოპერაცია ან/და ქმედება (მათ შორის საკრედიტო პროდუქტის მიღება (დადასტურება), საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტთან დაკავშირებული გარიგებ(ებ)ის დადება) ამ ხელშეკრულებაში მოცემული და ოპერაციის/ქმედების განხორციელების დროისთვის, ბანკის მიერ დადგენილი წესების, მოთხოვნებისა და პირობების შესაბამისად.

9.1.3 ინტერნეტ-ბანკის საშუალებით საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტის მისაღებად (დასადასტურებლად) / საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტთან დაკავშირებული გარიგებ(ებ)ის დასადებად (გასაფორმებლად), ბანკი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ, დააწესოს რიგი მოთხოვნები / წესები, მათ შორის კლიენტის იდენტიფიკაციის მიზნით, რომელთა შეუსრულებლობის შემთხვევაში, კლიენტი ვერ მოახდენს საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტის მიღებას (დადასტურებას) / საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტთან დაკავშირებული გარიგებ(ებ)ის დადებას.

9.1.4 ინტერნეტ-ბანკით მომსახურების მისაღებად კლიენტმა ბანკს უნდა მიმართოს განაცხადით ამ ხელშეკრულების 1.2 პუნქტის შესაბამისად. ინტერნეტ ბანკზე რეგისტრაციისთვის, პაროლის განახლების ან/და ინტერნეტბანკით მომსახურების მიღებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე, კლიენტი უფლებამოსილია აგრეთვე, ბანკს მიმართოს და/ან ბანკი უფლებამოსილია კლიენტს დაუკავშირდეს ბანკის მიერ განსაზღვრული სხვა საშუალებ(ებ)ით (დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ით).

9.1.5 დაკარგული/დავიწყებული მომხმარებლის სახელის ან/და პაროლის აღდგენა შესაძლებელია ამ ხელშეკრულების 9.1.4 ქვეპუნქტში აღწერილი წესით.

9.2 <u>კლიენტის იდენტიფიკაცია</u>

9.2.1 კლიენტს დალუქული კონვერტით გადაეცემა ინტერნეტ-ბანკით სარგებლობისთვის საჭირო მონაცემები (შემდგომში „საიდენტიფიკაციო მონაცემები“), რომელთა გამოყენებითაც ხდება კლიენტის იდენტიფიკაცია ბანკის ინტერნეტ-გვერდზე შესვლის დროს. ზემოხსენებული მონაცემების ინტერნეტ-გვერდის სპეციალურ - „შემსვლელ“ გრაფაში შეტანის გარეშე არ გაიცემა ინფორმაცია ანგარიშის შესახებ, არ შესრულდება საბანკო ოპერაციები და რეგისტრაცია მომსახურებებზე (სერვისებზე).

9.2.2 კლიენტის ინფორმაციისა და ოპერაციების უსაფრთხოების დაცვის მიზნით ბანკი უფლებამოსილია შექმნას დამატებითი მექანიზმები კლიენტის იდენტიფიკაციისთვის, მათ შორის გარკვეული სახის მომსახურების გასაწევად მოითხოვოს ბანკის მიერ კლიენტისთვის გადაცემული მოწყობილობების მეშვეობით შექმნილი (გენერირებული) ან/და სხვა სახის კოდების გამოყენება.

9.2.3 ბანკი და კლიენტი ვალდებულნი არიან დაიცვან საიდენტიფიკაციო მონაცემების კონფიდენციალობა.

9.2.4 საიდენტიფიკაციო მონაცემების დაკარგვის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ მიმართოს ბანკს განცხადებით (ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ფორმით) ახალი საიდენტიფიკაციო მონაცემების მინიჭების შესახებ.

9.2.5 ბანკი ვალდებულია კლიენტის მიერ საიდენტიფიკაციო მონაცემების დკარგვის თაობაზე შეტყობინების საფუძველზე უზრუნველყოს კლიენტის ანგარიშებზე ინტერნეტ-ბანკით მომსახურების შეჩერება, კლიენტის მხრიდან ახალი განკარგულებების მიღებამდე.

9.2.6 კლიენტის მიერ ბანკში ახალი ანგარიშის გახსნისას, ინტერნეტ-ბანკით მომსახურება განხორციელდება ავტომატურად, არსებული საიდენტიფიკაციო მონაცემების გამოყენებით.

9.2.7 კლიენტი წინასწარ აცხადებს, რომ მხოლოდ შესაბამისი სერვისების (მომსახურებების) პირობების დეტალურად შესწავლის შემდეგ დარეგისტრირდება ამ სერვისების მომხმარებლად და რომ ამ ხელშეკრულების 9.2.1 ქვეპუნქტში აღნიშნული საიდენტიფიკაციო მონაცემების გამოყენებით რეგისტრაციის ნების გამოხატვა ჩაითვლება მის თანხმობად იმ მომსახურების ყველა პირობაზე, რომლის მომხმარებლადაც დარეგისტრირდება კლიენტი ბანკის ინტერნეტ-გვერდის მეშვეობით.

9.2.8 კლიენტი აცნობიერებს და ადასტურებს, რომ ინტერნეტ-ბანკის საშუალებით ბანკისთვის გაგზავნილ ნებისმიერ შეტყობინებას/დავალებას (მათ შორის საგადახდო დავალებას), ნებისმიერ განაცხადს/მოთხოვნას/დასტურს (მათ შორის ანგარიშის გახსნის/დახურვის ან/და კრედიტის წინსწრებით დაფარვის, რეგისტრირებული მომსახურების/პროდუქტების გაუქმების ან/და მათში ცვლილებების შეტანის, ბანკის მიერ შეთავაზებული საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტის მიღების (დადასტურების), კლიენტის მონაცემებში ცვლილების შეტანის შესახებ და სხვა ნებისმიერ განაცხადს/მოთხოვნას/დასტურს), ბანკსა და კლიენტს შორის ინტერნეტ-ბანკის საშუალებით გაფორმებულ / დადასტურებულ ნებისმიერ გარიგებას (მათ შორის საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებულ ნებისმიერ გარიგებას), აქვს ანგარიშის განკარგვაზე უფლებამოსილი პირის (კლიენტის) მიერ დადასტურებული (წერილობითი ფორმით შესრულებული), ქაღალდზე დაბეჭდილი და ხელმოწერილი საბუთის ტოლფასი იურიდიული ძალა.

9.2.9 კლიენტი ბანკს უფლებას აძლევს ინტერნეტ-ბანკით კავშირისას:

9.2.9.1 კლიენტისთვის ხელმისაწვდომი გახადოს ინფორმაცია მისი ანგარიშების შესახებ;

9.2.9.2 კლიენტის დავალებით შეასრულოს ინტერნეტ-ბანკით მომსახურების ფარგლებში ბანკის მიერ დაშვებული ოპერაციები ან/და ქმედებები.

9.2.10 კლიენტი ვალდებულია, ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოს ინტერნეტბანკის მეშვეობით გაფორმებული / დადასტურებული გარიგების (მათ შორის საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული გარიგების) ბანკისთვის მისაღები ფორმით/საშუალებით მიწოდება, მატერიალური/ხელმოწერილი სახით.

9.3 <u>კლიენტი ვალდებულია:</u>

9.3.1 ინტერნეტ-ბანკთან კავშირის დასამყარებლად გამოიყენოს მხოლოდ „ინტერნეტ-ბრაუზერის“ ისეთი თანამედროვე ვერსია, რომელიც მონაცემთა მინიმუმ 128 (ას ოცდარვა) ბიტიან დაშიფვრას უზრუნველყოფს;

9.3.2 უსაფრთხოდ შეინახოს ინტერნეტ-ბანკით სარგებლობისთვის საჭირო ნებისმიერი ინფორმაცია, საიდენტიფიკაციო მონაცემები და ბანკის მიერ მისთვის გადაცემული/მიწოდებული მოწყობილობები ("Digipass Token", "Digipass Nano" და სხვა), ჩაწერილი (ინსტალირებული) პროგრამული მოდულები/აპლიკაციები, ასევე ამ მოწყობილობებთან, ჩაწერილ (ინსტალირებულ) პროგრამულ მოდულებთან/აპლიკაციებთან დაკავშირებული ყველა სახის კოდი და არ დაუშვას მათი აღმოჩენა ნებისმიერი მესამე პირის განკარგულებაში;

9.3.3 ინტერნეტ-ბანკში პირველად შესვლისთანავე შეცვალოს პაროლი (Password) და დაიცვას მისი კონფიდენციალობა;

9.3.4 ხშირად ცვალოს პაროლი, არ გაანდოს პაროლი, კოდი და/ან ბანკის მიერ მისთვის გადაცემული/მიწოდებული მოწყობილობის ("Digipass Token", "Digipass Nano" და სხვა), ჩაწერილი (ინსტალირებული) პროგრამული მოდულების/აპლიკაციების, საიდენტიფიკაციო კოდი მესამე პირს, არ შეინახოს ეს მონაცემები კომპიუტერის ან სხვა მსგავსი მოწყობილობის (მაგალითად მობილური ტელეფონის აპარატის) მეხსიერებაში, არ დაუშვას ბანკის მიერ მისთვის გადაცემული მოწყობილობების ან/და ამ მოწყობილობების საშუალებით შექმნილი (გენერირებული) ან/და სხვა სახის კოდების აღმოჩენა ნებისმიერი მესამე პირის განკარგულებაში;

9.3.5 ინტერნეტ-ბანკის უშუალო გამოყენებამდე დარწმუნდეს, რომ მისამართის ველში ნამდვილად წერია ამ ხელშეკრულების 9.1.1 ქვეპუნქტში მითითებული მისამართი და ამ მისამართის ნამდვილობა (აუთენტიკურობა/ორიგინალობა) გადაამოწმოს უსაფრთხოების სერტიფიკატით;

9.3.6 პაროლის, რომელიმე კოდის ან მოწყობილობის დაკარგვის ან გამჟღავნების (ნებისმიერი მესამე პირის განკარგულებაში აღმოჩენის) შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეატყობინოს ბანკს ამის შესახებ;

9.3.7 არ ენდოს ელ. ფოსტის მისამართზე მიღებულ შეტყობინებებს, რომელთა ავტორებიც ბანკის სახელით ითხოვენ პირადი ან/და საბანკო მონაცემების მიწოდება/განახლებას.

9.4 <u>ბანკს უფლება აქვს:</u>

9.4.1 ინტერნეტ-ბანკის მეშვეობით კლიენტისთვის ხელმისაწვდომი გახადოს ინფორმაცია მისი ანგარიშების შესახებ;

9.4.2 კლიენტის დავალებით შეასრულოს ბანკის მიერ ინტერნეტ-ბანკით მომსახურების ფარგლებში დაშვებული ოპერაციები;

9.4.3 რისკების შემცირების მიზნით კლიენტის აქტიურ ოპერაციებზე (გადარიცხვები, კონვერტაციები) ცალმხრივად დააწესოს შეზღუდვები და დაადგინოს ასეთი ოპერაციების ზღვრულად დასაშვები პარამეტრები (ერთჯერადი გადარიცხვის მაქსიმალური თანხა, გარკვეულ პერიოდში ჯამურად გადარიცხული თანხის მაქსიმალური ოდენობა, გადარიცხვების მაქსიმალური რაოდენობა, ერთი მომხმარებლის მიერ შესრულებული ოპერაციების დადასტურების აუცილებლობა სხვა მომხმარებლის მიერ და სხვა).

9.4.4 განახორციელოს ინტერნეტ-ბანკის დაბლოკვა / შეაჩეროს ინტერნეტ-ბანკზე წვდომა და ინტერნეტ-ბანკით კლიენტისთვის ნებისმიერი სახის მომსახურების გაწევა კლიენტის უსაფრთხოების მიზნებისთვის, იმ შემთხვევაში, თუ ბანკს გაუჩნდა ეჭვი, რომ კლიენტის ინტერნეტ-ბანკით სარგებლობს არაუფლებამოსილი პირი.

9.5. ბანკი პასუხს არ აგებს ინტერნეტ-ბანკის მეშვეობით კლიენტისთვის გაგზავნილი შეტყობინების/გარიგების, ნებისმიერი ინფორმაციის, ამ ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტაციის სხვა პირის მიერ მიღებით გამოწვეულ შედეგ(ებ)ზე.

9.6. ბანკი პასუხს არ აგებს ინტერნეტ-ბანკის გამოყენებით კლიენტის ნაცვლად სხვა პირის მიერ გამოგზავნილი შეტყობინების/გარიგების, ნებისმიერი ინფორმაციის ან ამ ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტაციის ბანკის მიერ მიღებით და შესაბამისად ქმედების განხორციელებით/ქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავებით გამოწვეულ შედეგ(ებ)ზე.

9.7. კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ ინტერნეტ-ბანკის მეშვეობით დაფიქსირებული მისი ნებისმიერი მოთხოვნა (დავალება) საბანკო ინფორმაციის მიღების, სერვისით სარგებლობისთვის რეგისტრაციის, რეგისტრირებულ მონაცემებში (მათ შორის საკონტაქტო მონაცემებში) ცვლილებების შეტანის ან ოპერაციის განხორციელების შესახებ, ისევე, როგორც ინტერნეტ-ბანკის საშუალებით გაფორმებული ნებისმიერი გარიგება და/ან გარიგების გაფორმების მიზნებისთვის განხორციელებული ნებისმიერი სახის კომუნიკაცია/ქმედება, დაფიქსირდეს ბანკის მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში და დავის შემთხვევაში ასეთ ჩანაწერს ჰქონდეს მტკიცებულებითი ძალა (გამოყენებული იქნეს მტკიცებულებად). მხარეთა შეთანხმებით ასეთი ჩანაწერები/ინფორმაცია, მიიჩნევა ბანკის საკუთრებად.

## 10. ავტომატური გადარიცხვები

10.1 <u>მომსახურების აღწერა</u>

10.1.1 ავტომატური გადარიცხვებით მომსახურება გულისხმობს კლიენტის ანგარიშებიდან კომუნალური მომსახურების საფასურის გადასახდელად ან სხვა დანიშნულებით ბანკის მიერ თანხების გადარიცხვას კლიენტის შემდგომი თანხმობის გარეშე, ავტომატური გადარიცხვების შესახებ კლიენტის განაცხადში მითითებული ფიქსირებული თანხის ან კლიენტის მომსახურე პირის მიერ კლიენტის დავალიანების შესახებ ბანკისთვის მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

10.1.2 მხარეები თანხმდებიან, რომ ავტომატური გადარიცხვების შესასრულებლად ბანკის მიერ შექმნილ ელექტრონულ საგადახდო საბუთებს აქვთ ქაღალდზე დაბეჭდილი და ანგარიშის განკარგვის უფლებამოსილების მქონე პირის მიერ ხელმოწერით დადასტურებული საბუთის ტოლფასი იურიდიული ძალა.

10.1.3 ამ ხელშეკრულების საფუძველზე ბანკი საბანკო ოპერაციებს განახორციელებს ამ ხელშეკრულებაში, ავტომატური გადარიცხვების სერვისზე რეგისტრაციის განაცხადსა და ბანკის მიერ გავრცელებულ საინფორმაციო მასალაში მოცემული მოთხოვნების და პირობების გათვალისწინებით.

10.1.4 ავტომატური გადარიცხვების მომსახურების მისაღებად კლიენტმა ბანკს უნდა მიმართოს განაცხადით ამ ხელშეკრულების 1.2 პუნქტის შესაბამისად.

10.1.5 <u>კლიენტი ვალდებულია:</u>

10.1.5.1 ავტომატური გადარიცხვების სერვისზე რეგისტრაციის შესახებ განაცხადში მიუთითოს ერთი ან რამდენიმე ანგარიში (რომელთაგან ერთი აუცილებლად იქნება სალარე);

10.1.5.2 დამხმარე ანგარიშად აუცილებლად დაარეგისტრიროს უცხოურ ვალუტაში გახსნილი საკუთარი ანგარიში იმ შემთხვევაში, თუ ავტომატური გადარიცხვებით ხდება უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული თანხის (ეკვივალენტის ეროვნულ ვალუტაში) გადახდა;

10.1.5.3 განაცხადში მითითებულ ანგარიშებზე ყოველთვის იქონიოს ავტომატური გადარიცხვებისთვის საკმარისი ნაშთი;

10.1.5.4 გადაიხადოს მომსახურების საფასური გადარიცხვის მომენტისთვის ბანკში მოქმედი ტარიფების შესაბამისად.

10.1.6 <u>კლიენტი უფლებამოსილია:</u>

10.1.6.1 ბანკის საინფორმაციო მასალაში დაფიქსირებული სერვისების საშუალებით მიიღოს ინფორმაცია მისი ანგარიშებიდან ავტომატური გადარიცხვების განხორციელების შესახებ;

10.1.6.2 შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები სერვისზე რეგისტრაციის თავდაპირველ განაცხადში დაფიქსირებულ მონაცემებში;

10.1.6.3 უარი განაცხადოს სერვისით სარგებლობაზე.

10.1.7 <u>ბანკი ვალდებულია:</u>

10.1.7.1 უზრუნველყოს კლიენტი ავტომატური გადარიცხვებით ბანკის მიერ გავრცელებულ საინფორმაციო მასალაში მოცემული პირობების დაცვით.

10.1.8 <u>ბანკი უფლებამოსილია:</u>

10.1.8.1 არ განახორციელოს ავტომატური გადარიცხვა (ანგარიშსწორება) კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე არასაკმარისი თანხის არსებობისას;

10.1.8.2 არ განახორციელოს ავტომატური გადარიცხვა (ანგარიშსწორება) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან ბანკის წინაშე დავალიანების არსებობისას;

10.1.8.3 მის მიერ გავრცელებული საინფორმაციო მასალით (მათ შორის ბუკლეტებით, ბროშურებით, ბანკის ინტერნეტ-გვერდზე შესაბამისი ინფორმაციის განთავსებით და სხვა) განსაზღვროს ავტომატური გადარიცხვების შესრულებისა და კლიენტთან დაკავშირებული ან სხვა ნებისმიერი მიზეზით რომელიმე ავტომატური გადარიცხვის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში კლიენტისთვის შეტყობინების გარეშე ავტომატური გადარიცხვებით მომსახურების ცალმხრივად სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის წესი.

## 11. სატელეფონო მომსახურება

11.1 <u>მომსახურების აღწერა</u>

11.1.1 სატელეფონო მომსახურება გულისხმობს კლიენტის მიერ ბანკში გამოუცხადებლად სატელეფონო კავშირის გამოყენებით ბანკის მიერ განსაზღვრული:

11.1.1.1 საბანკო ინფორმაციის მიღებას;

11.1.1.2 სხვადასხვა საბანკო სერვისით სარგებლობისთვის რეგისტრაციას და ცვლილებების შეტანას რეგისტრირებულ მონაცემებში;

11.1.1.3 ლიმიტების ფარგლებში სხვადასხვა საბანკო ოპერაციის განხორციელებას;

11.1.1.4 საკონტაქტო ინფორმაციის (მათ შორის, ტელეფონის ნომრის, ელ. ფოსტის მისამართის და ა.შ.) შეცვლას;

11.1.1.5 საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ან/და საანაბრო (სადეპოზიტო) ანგარიშ(ებ)ის გახსნას ან/და დახურვას.

11.1.1.6 სხვადასხვა საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტის მიღების ან/და გაუქმების სურვილის დაფიქსირებას (ბანკისთვის განაცხადის წარდგენას).

11.1.1.7 განაცხადის წარდგენას ბანკომატში დაკავებული თანხის დაბრუნების შესახებ.

11.1.2 სატელეფონო მომსახურება ვრცელდება კლიენტის ყველა საბანკო ანგარიშზე. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს არ სურს სატელეფონო მომსახურების მიღება მის რომელიმე ანგარიშთან დაკავშირებით, ის ვალდებულია წერილობით ან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ფორმით (მათ შორის სატელეფონო სერვის-ცენტრში დაფიქსირებით) განუცხადოს ბანკს ამის შესახებ.

11.1.3 სატელეფონო მომსახურების მისაღებად კლიენტმა ბანკს უნდა მიმართოს განაცხადით ამ ხელშეკრულების 1.2 პუნქტის შესაბამისად.

11.2 <u>კლიენტის იდენტიფიკაცია</u>

11.2.1 ბანკი კლიენტის იდენტიფიკაციის მიზნებისთვის გამოიყენებს ბანკის მიერ წინასწარ განსაზღვრულ კითხვებს / წინასწარ დადგენილ პროცედურებს ან მომსახურების ეფექტურად განსახორციელებლად და 11.3.7 პუნქტში მითითებული მიზნებისათვის, კლიენტის თანხმობის შემთხვევაში, აუთენტიფიკაცია განხორციელდება ხმის გამოყენებით. კლიენტის იდენტიფიკაცია ხდება როგორც სატელეფონო მომსახურების, ასევე ნებისმიერი სხვა საბანკო მომსახურების გაწევის წინ / სხვადასხვა საბანკო პროდუქტებზე (ელექტრონული სერვისებზე) რეგისტრაციისას. იდენტიფიცირების პროცედურის გავლის გარეშე კლიენტი ვერ მიიღებს ამ ხელშეკრულების 11.1.1 ქვეპუნქტში აღწერილ სატელეფონო მომსახურებას (ამ ხელშეკრულების 11.3.3 ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა). ბანკთან ყოველი სატელეფონო კავშირისას (სატელეფონო მომსახურების მიღების ყოველ ჯერზე) კლიენტმა უნდა გაიაროს იდენტიფიცირების პროცედურა / სწორედ უნდა უპასუხოს ბანკის მიერ წინასწარ განსაზღვრულ შეკითხვებს ან ვერიფიკაცია გაიაროს ხმით აუთენტიფიკაციის საშუალებით).

11.2.2 ბანკი უფლებამოსილია უარი უთხრას სატელეფონო მომსახურებაზე პირს, რომელიც არ ან ვერ გაივლის იდენტიფიცირების პროცედურას.

11.2.3 იმ შემთხვევაში, თუ ბანკის შესაბამის წარმომადგენელს გაუჩნდება ეჭვი, რომ ინფორმაციის მიღებას ან ოპერაციის განხორციელებას ცდილობს არა კლიენტი, არამედ მესამე პირი, ბანკს უფლება აქვს უარი თქვას სატელეფონო დავალებების შესრულებაზე / მომსახურების გაწევაზე.

11.2.4 კლიენტის მიერ ბანკში ახალი ანგარიშის გახსნისას სატელეფონო მომსახურება განხორციელდება არსებული პროცედურების გამოყენებით. ამ შემთხვევაში ბანკსა და კლიენტს შორის არ გაფორმდება ახალი ხელშეკრულება და ახალ ანგარიშზე გავრცელდება ამ ხელშეკრულების პირობები.

11.2.5 კლიენტის იდენტიფიკაციის მიზნით, ბანკი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ დააწესოს დამატებითი მექანიზმები (მოთხოვნები), რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაში, კლიენტი ვერ მოახდენს წინამდებარე ხელშეკრულების 11.1.1 ქვეპუნქტში აღწერილი მომსახურების მიღებას.

11.3 <u>კლიენტის განცხადებები, დავალებები და თანხმობები</u>

11.3.1 კლიენტი ბანკს ავალებს და უფლებას აძლევს ბანკთან ტელეფონით დაკავშირებისას, იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის შესაბამისი პროცედურის გავლის შემდეგ:

11.3.1.1 მიაწოდოს მას ინფორმაცია მისი ანგარიშების შესახებ;

11.3.1.2 მისი დავალებით შეასრულოს ბანკის მიერ სატელეფონო მომსახურების ფარგლებში დაშვებული ოპერაციები.

11.3.2 ამ ხელშეკრულებით კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ მასთან განხორციელებული ნებისმიერი სატელეფონო საუბარი (მათ შორის მისი ნებისმიერი მოთხოვნა/განცხადება საბანკო ინფორმაციის მიღების, სერვისით სარგებლობისთვის რეგისტრაციის, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების შეტანის, საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტის მიღების ან/და ოპერაციის განხორციელების შესახებ) დაფიქსირდეს (ჩაიწეროს) ბანკის მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში და დავის შემთხვევაში ასეთ ჩანაწერს ჰქონდეს მტკიცებულებითი ძალა (გამოყენებული იქნეს მტკიცებულებად). სატელეფონო საუბრის ჩანაწერი მიიჩნევა ბანკის საკუთრებად მისი შექმნიდან, ინახება ბანკის მიერ განსაზღვრული წესით და ვადით და ბანკი ვალდებულია, ბანკისთვის მისაღები ფორმით გააცნოს კლიენტს ჩანაწერი მისი წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღისა (ბანკის ეს ვალდებულება ვრცელდება მხოლოდ 2011 წლის 1 იანვრიდან განხორციელებულ ჩანაწერებზე).

11.3.3 **ბანკს უფლება აქვს ნებისმიერ დროს კლიენტის მიერ ბანკში დაფიქსირებული ტელეფონის ნომერზე კლიენტთან განახორციელოს სატელეფონო ზარი მომსახურების გაწევის ან/და პროდუქტ(ებ)ით (მათ შორის საკრედიტო პროდუქტ(ებ)ით) სარგებლობის შეთავაზებისა და რეგისტრაციის მიზნით ან/და განახორციელოს ხმის ჩაწერის შეთავაზება კლიენტისათვის ამ ხელშეკრულების მე-11 მუხლით გათვალისწინებული მომსახურების მისაღებად.**

11.3.4 **კლიენტი უფლებამოსილია:**

11.3.4.1 **ნებისმიერ დროს მოთხოვოს ბანკს მომსახურების გაწევის ან/და პროდუქტ(ებ)ით სარგებლობის შეთავაზებისა და რეგისტრაციის მიზნით მასთან სატელეფონო ზარების განხორციელების შეწყვეტა ან უარი განაცხადოს მისი ხმის შემდგომ გამოყენებაზე. აღნიშნული მოთხოვნის დასაფიქსირებლად კლიენტმა უნდა განახორციელოს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი მოქმედება:**

**11.3.4.1.1 ბანკის ფილიალში ვიზიტი;**

**11.3.4.1.2 სატელეფონო სერვის-ცენტრში მოთხოვნის დაფიქსირება;**

**11.3.4.1.3 ინტერნეტ ბანკის საშუალებით ბანკისთვის შეტყობინების გაგზავნა შესაბამისი პერსონალური პარამეტრების გვერდიდან**

11.3.5 **ბანკი ვალდებულია ხელშეკრულების 11.3.4.1 ქვეპუნქტში მითითებული კლიენტის მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა, შეწყვიტოს მომსახურების გაწევის ან/და პროდუქტ(ებ)ით სარგებლობის შეთავაზებისა და რეგისტრაციის მიზნით კლიენტთან სატელეფონო ზარების განხორციელება.**

11.3.6 ბანკი უზრუნველყოფს კლიენტის ხმის ბიომეტრიის დაცულობას და პასუხისმგებელია მხარეთა შორის შეთანხმებული მიზნებისათვის გამოყენებაზე. კლიენტის ბიომეტრიული მონაცემის ჩაწერა განხორციელდება რთული იდენტიფიკაციის გავლის შემდგომ. კლიენტს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს მისი ხმის ჩანაწერის შეცვლა/წაშლა/განადგურება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.3.7 კლიენტის ხმის ბიომეტრიის დამუშავების მიზანს წარმოადგენს კლიენტის უსაფრთხოების და საკუთრების დაცვის მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფა, კონფიდენციალური ინფორმაციის მაქსიმალური დაცულობა თანამედროვე, უსაფრთხო ტექნოლოგიების გამოყენებით. უსაფრთხოების ზომების მაქსიმალური უზრუნველყოფის კუთხით, კლიენტის ხმის ბიომეტრიული მონაცემები ინახება დაშიფრული სახით და დაშიფრულ მონაცემებზე წვდომა შეზღუდულია.

11.3.8 მხარეები თანხმდებიან, რომ ხმის აუთენტიფიკაციის გამოყენებით შესრულებულ საბანკო ოპერაციას აქვს მატერიალურ დოკუმენტზე ხელმოწერის ტოლფასი იურიდიული ძალა.

## 12. პლასტიკური ბარათი

12.1 <u>მომსახურების აღწერა</u>

12.1.1. პლასტიკური ბარათით მომსახურება გულისხმობს ბანკის მიერ გამოშვებული ,,ვიზა'' (VISA) ან ,,მასთერქარდ'' (MasterCard) პლასტიკური ბარათის (შემდგომში "ბარათის") მეშვეობით, ბიზნეს-ბარათის გარდა, კლიენტის ან მის მიერ წერილობით დასახელებული პირის (შემდგომში "ბარათის მფლობელის") მიერ საბანკო ოპერაციების განხორციელებას. ბარათი აღჭურვილია 3D უსაფრთხოების სერვისით (სერვისით სარგებლობის წესების / პირობების დეტალური აღწერა განთავსებულია ბანკის ვებგვერდზე: https://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/3d-security-service).

12.1.2. ამ ხელშეკრულების საფუძველზე კლიენტს შეუძლია მიიღოს ერთი ან რამდენიმე ბარათი, რომელთა ტიპი განისაზღვრება კლიენტის მიერ ყოველ კონკრეტულ ბარათთან დაკავშირებით ხელმოწერილი განაცხადით, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. ამასთან, ბანკში დასაშვებია კლიენტისთვის ბარათის გადაცემა კლიენტის მიერ ბარათის მიღება-ჩაბარების აქტის SMS კოდით დადასტურების შემთხვევაში, რომელსაც გააჩნია წერილობითი ფორმით შესრულებული, ქაღალდზე დაბეჭდილი, კლიენტის მიერ ხელმოწერით დადასტურებული საბუთის ტოლფასი იურიდიული ძალა.

12.1.3. ბარათის გაცემისას კლიენტის მობილური ტელეფონის ნომერი, კლიენტის თანხმობის შემთხვევაში რეგისტრირდება ბანკის SMS სერვისზე (სერვისით სარგებლობის წესები და პირობები მოცემულია ბანკის მიერ გავრცელებულ საინფორმაციო მასალაში).

12.1.4. ბარათით სარგებლობის წესები დეტალურად მოცემულია „ვიზა“ (VISA) და “მასთერქარდ” (MasterCard) საერთაშორისო საგადამხდელო სისტემების ვებგვერდზე (https://www.visa.com.ge/ka_GE/support/consumer/visa-rules.html; https://www.mastercard.us/en-us/business/overview/support/rules.html).

12.1.5. ბარათის მფლობელი არის პირი, რომლის სახელზეც გაცემულია ბარათი (შესაძლებელია იყოს კლიენტი ან მის მიერ დასახელებული პირი). ბარათის მფლობელის იდენტიფიკაცია ხდება ბარათის ზედაპირზე მითითებული სახელით, გვარით, მასზე დატანილი ხელმოწერის ნიმუშითა და საიდუმლო პერსონალური საიდენტიფიკაციო კოდით (პინ-კოდი).

12.1.6. ბარათით სარგებლობის პერიოდი განისაზღვრება ბარათზე მითითებული ვადის მიხედვით. ბარათის მოქმედების ვადა იწურება ბარათზე მითითებული თვის ბოლო დღის გასვლის შემდეგ.

12.1.7. ბარათით სარგებლობისათვის კლიენტი ვალდებულია ბანკს გადაუხადოს მომსახურების საკომისიო ბანკის მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად.

12.1.8. კლიენტს უფლება აქვს ჰქონდეს რამდენიმე საბარათე ანგარიში და სარგებლობდეს ერთ საბარათე ანგარიშთან დაკავშირებული რამდენიმე ბარათით (ამ პუნქტის მიზნებისთვის საბარათე ანგარიშად განიხილება ერთობლიობა სხვადასხვა ვალუტაში გახსნილი იმ ანგარიშებისა, რომლებსაც აქვთ ერთი ნომერი).

12.1.9. ბანკი უფლებამოსილია პლასტიკურ ბარათებთან / საბანკო პროდუქტებთან დაკავშირებით პერიოდულად განახორციელოს წამახალისებელი პროექტები/პროგრამები, რაც გულისხმობს კლიენტის მიერ პლასტიკური ბარათ(ებ)ით ბანკის პარტნიორ კომპანიაში ნივთის/მომსახურების შეძენისა და სს „თიბისი ბანკის“ პოს ტერმინალის / ელექტრონული კომერციის საშუალებით გადახდისას, ლოიალობის ქულების ბალანსზე ქულების დარიცხვასა და ამ ქულების განაღდების შესაძლებლობას სს „თიბისი ბანკის“ პარტნიორი კომპანიის სავაჭრო/მომსახურების ობიექტ(ებ)ში. პარტნიორი კომპანიების ჩამონათვალი ხელმისაწვდომია ბანკის ვებგვერდზე - www.ertguli.ge.

12.1.10. ლოიალობის ქულების ბალანსზე დარიცხული ქულების განაღდება გულისხმობს, წამახალისებელი პროექტის/პროგრამის ფარგლებში, სს „თიბისი ბანკის“ პარტნიორი კომპანიის სავაჭრო/მომსახურების ობიექტ(ებ)ში (მათ შორის ელექტრონულ/ონლაინ მაღაზიებში), კლიენტის მიერ ნივთის/მომსახურების შეძენისას, ნივთის/მომსახურების ღირებულების გადახდას მობილური ბანკის მეშვეობით (QR კოდით) ლოიალობის ბალანსზე დარიცხული ქულებით (სს „თიბისი ბანკის“ პოს ტერმინალის / ელექტრონული კომერციის საშუალებით). ნივთი/მომსახურება, რომელზეც გავრცელდება წამახალისებელი პროექტი/პროგრამა, განსაზღვრავს ბანკი დამოუკიდებლად და შესაბამისი ინფორმაცია განთავსებული იქნება ბანკის ვებგვერდზე - www.ertguli.ge.

12.1.11. კლიენტი აცნობიერებს, რომ ამ ხელშეკრულების 12.1.9 ქვეპუნქტში მითითებული წამახალისებელი პროექტის/პროგრამის განხორციელება, აგრეთვე წამახალისებელი პროექტის/პროგრამის ფარგლებში ლოიალობის ქულების ბალანსზე ქულების დარიცხვა და/ან განაღდება არ წარმოადგენს ბანკის ვალდებულებას და შესაბამისად, არ წარმოშობს კლიენტის უფლებას მოსთხოვოს ბანკს რაიმე სახის ვალდებულების შესრულება წამახალისებელ პროექტთან/პროგრამასთან/ქულების დარიცხვასთან / განაღდებასთან დაკავშირებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბანკი უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, არ განახორციელოს ლოიალობის ქულების ბალანსზე ქულების დარიცხვა და/ან შეზღუდოს ლოიალობის ქულებისბალანსზე დარიცხული ქულების განაღდება / გააუქმოს დარიცხული ქულები (მათ შორის, საეჭვო ტრანზაქციების შემთხვევაში). ამ ქვეპუნქტით ბანკისათვის მინიჭებული უფლებამოსილება, ბანკს შეუძლია ასევე განახორციელოს იმ შემთხვევაშიც, თუ კლიენტი პლასტიკურ ბარათს (რომლის წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გამოყენების შემთხვევაში ლოიალობის ქულების ბალანსზე ხორციელდება ქულების დარიცხვა), იყენებს სამეწარმეო მიზნობრიობით.

12.1.12. მიმდინარე წამახალისებელი პროექტის/პროგრამის შესახებ ინფორმაცია, მათ შორის პროექტში/პროგრამაში მონაწილე პლასტიკური ბარათ(ებ)ის, ლოიალობის ქულების ბალანსზე ქულების დარიცხვისა და განაღდების წესები /პროცედურები, აგრეთვე პარტნიორი კომპანიების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ბანკის ვებგვერდზე - www.ertguli.ge.

12.1.13. წინამდებარე ხელშეკრულების 12.1.12 ქვეპუნქტში მითითებულ ვებგვერდზე განთავსებული წესები და პროცედურები წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

12.1.14. კლიენტი აცხადებს და ადასტურებს, რომ გაცნობილია ამ ხელშეკრულების 12.1.12 ქვეპუნქტში მითითებულ წესებსა და პროცედურებს, ეთანხმება სრულად და აღიარებს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12.1.15. ბანკი უფლებამოსილია პლასტიკურ ბარათებთან დაკავშირებულ წამახალისებელ პროექტ(ებ)ში/პროგრამაში/ებში, წესებსა და პროცედურებში, ცვლილებები და დამატებები შეიტანოს, მათ შორის შეცვალოს პროექტის/პროგრამის დასახელება, ქულების დარიცხვისა და განაღდების სქემა, აგრეთვე შეწყვიტოს წამახალისებელი პროექტის/პროგრამის მოქმედება ერთპიროვნულად, საკუთარი შეხედულებისამებრ, ბანკის ვებგვერდზე - www.ertguli.ge -შესაბამისი ინფორმაციის განთავსებით.

12.1.16. ბანკი უფლებამოსილია პლასტიკური ბარათ(ებ)ის (სადებეტო/საკრედიტო ბარათების) მფლობელ(ებ)ის ჩართვა მიმდინარე წამახალისებელ პროექტში/პროგრამაში განხორციელოს ავტომატურად. ამასთან, კლიენტი უფლებამოსილია, ნებისმიერი დროს უარი განაცხადოს პროექტში/პროგრამაში მონაწილეობაზე ბანკის ფილიალის, სატელეფონო სერვისცენტრისა და ინტერნეტბანკის საშუალებით შესაბამისი ინფორმაციის ბანკისთვის მიწოდების საფუძველზე..

12.1.17. ბანკი არაა პასუხისმგებელი უკონტაქტო ჩიპიანი ბარათებით, პინის და ჩიპის გარეშე, ლიმიტის ფარგლებში გატარებულ ტრანზაქციებთან დაკავშირებით.-

12.2 <u>ბარათთან დაკავშირებული პროცედურები</u>

12.2.1 ბარათით ოპერაციების წარმოებისათვის ბანკი გახსნის შესაბამის საბარათე ანგარიშ(ებ)ს.

12.2.2 კლიენტი/ბარათის მფლობელი უფლებამოსილია გამოიყენოს საბარათე ანგარიშზე არსებული თანხა ბარათის მომსახურების საკომისიოების და მინიმალური ნაშთის (არსებობის შემთხვევაში) გამოკლებით. თანხის გადახარჯვის შემთხვევაში კლიენტი/ბარათის მფლობელი ვალდებული იქნება ბანკს გადაუხადოს გადახარჯვასთან დაკავშირებული საკომისიოები.

12.2.2.1 თანხის გადახარჯვისას (გადახარჯვა - ბანკსა და კლიენტს/ბარათის მფლობელს შორის შეთანხმებულ თანხაზე მეტი ოდენობის თანხის კლიენტის/ბარათის მფლობელის მიერ ათვისება), მათ შორის ამ მუხლით გათვალისწინებული ავტომატური ოვერდრაფტის შემთხვევაში გადახარჯვის და/ან არასანქცირებული ოვერდრაფტის დაფიქსირებისას, ბანკი კლიენტის/ბარათის მფლობელის ინფორმირებას უზრუნველყოფს მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS-ის) გაგზავნით. ბანკი პასუხს არ აგებს ამ პუნქტით, ისევე როგორც წინამდებარე ხელშეკრულებით, ბანკის მიერ კლიენტისთვის/ბარათის მფლობელისთვის მისაწოდებელი/მიწოდებული ნებისმიერი ინფორმაციის კლიენტის/ბარათის მფლობელის მიერ მიუღებლობაზე და/ან სხვა პირის მიერ მიღებით გამოწვეულ შედეგ(ებ)ზე, თუ ინფორმაციის მიწოდება ვერ ხერხდება კლიენტის/ბარათის მფლობელის ბრალეულობით და/ან კლიენტმა/ბარათის მფლობელმა შეიცვალა საკონტაქტო ინფორმაცია/მონაცემები (მობილური ტელეფონის ნომერი, მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და სხვ.) და ამის შესახებ არ უცნობებია ბანკისათვის.

12.2.3 რისკების შემცირების მიზნით ბარათისა და საბარათე ანგარიშის გამოყენება შეიძლება დამატებით შეიზღუდოს ბანკის მიერ შესაბამისი ლიმიტების დაწესების გზით.

12.2.4 კლიენტის წერილობითი თანხმობით/განაცხადით დასაშვებია საბარათე ანგარიშთან დაკავშირებული დამატებითი ბარათების დამზადება და გაცემა. დამატებითი ბარათი მზადდება კლიენტის მიერ დასახელებული სხვა პირისთვის (ბარათის მფლობელისთვის) და განაცხადს ხელს აწერს როგორც კლიენტი, ისე მის მიერ დასახელებული სხვა პირი (ბარათის მფლობელი).

12.2.5 ბანკს უფლება აქვს დააკავშიროს სხვადასხვა ვალუტის ანგარიში ერთ პლასტიკურ ბარათთან ან რამდენიმე ბარათი ერთ საბანკო ანგარიშთან. ვალუტების პრიორიტეტულობას განსაზღვრავს კლიენტი. ინფორმაცია პლასტიკური ბარათის ანგარიშზე/ანგარიშებზე არსებული ნაშთის/ნაშთების შესახებ მითითებულია პრიორიტეტულ ვალუტაში, იმ დღეს ბანკის მიერ დადგენილი კომერციული კურსის შესაბამისად.

12.2.6 ბარათის მისაღებად (მიუხედავად იმისა ძირითადია ის, თუ დამატებითი) კლიენტმა ბანკს უნდა წარუდგინოს შესაბამისი განაცხადი, შეიტანოს ან ჩარიცხოს ანგარიშზე მინიმალური ნაშთი (არსებობის შემთხვევაში) და ბარათის წლიური მომსახურების საკომისიო ბანკის მიერ განსაზღვრული ტარიფების შესაბამისად.

12.2.7 საბარათე ანგარიშზე ამ ხელშეკრულების 12.2.6 ქვეპუნქტში დასახელებული თანხ(ებ)ის ჩარიცხვის შემდეგ, ბანკის მიერ განსაზღვრულ ვადაში, ბანკი დაამზადებს და კლიენტს ან ბარათის მფლობელს გადასცემს ბარათს და პინ-კოდს, შესაბამის დოკუმენტაციასთან ან/და საინფორმაციო მასალასთან ერთად.

12.2.8 იმ შემთხვევაში, თუ ბარათის დამზადებიდან 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში კლიენტი ან ბარათის მფლობელი არ ჩაიბარებს ბარათს, ბანკს უფლება ექნება გაანადგუროს ბარათი და ამ შემთხვევაში:

12.2.8.1 კლიენტს არ უბრუნდება მის მიერ გადახდილი საკომისიოები;

12.2.8.2 ბარათზე რიცხული მინიმალური ნაშთი(არსებობის შემთხვევაში) და სხვა თანხები კლიენტს დაუბრუნდება ამ ხელშეკრულების 12.4.6.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესით;

12.2.8.3 ავტომატურად გაუქმდება სატარიფო ნაკრები მის ყველა პირობასთან ერთად, თუ საბარათე ანგარიში ძირითადი ანგარიშია სატარიფო ნაკრებისთვის და კლიენტს/ბარათის მფლობელს არ აქვს სხვა ალტერნატიული ანგარიში, რომლის დაფიქსირებაც შესაძლებელია სატარიფო ნაკრების ძირითად ანგარიშად (მიმდინარე/საბარათე).

12.2.9 იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშის მფლობელი (კლიენტი) და ბარათის მფლობელი არ არის ერთი და იგივე პირი ანუ დამატებით ბარათთან დაკავშირებით:

12.2.9.1 ანგარიშის მფლობელს (კლიენტს) დამოუკიდებლად შეუძლია: ახალი დამატებითი ბარათის მიღება, ვალუტების პრიორიტეტების ცვლილების მოთხოვნა, დამატებითი საბარათე ანგარიშ(ებ)ის გახსნა, დამატებითი ბარათის გაუქმება, საბარათე ანგარიშის დახურვა, დამატებითი ბარათის დაბლოკვა/განბლოკვა, ბანკომატის მიერ დაკავებული დამატებითი ბარათის მიღება, ბარათის პინკოდის ცვლილება (კლიენტმა ბანკს უნდა წარუდგინოს შესაბამისი განაცხადი);

12.2.9.2 ბარათის მფლობელს დამოუკიდებლად შეუძლია: დამატებითი ბარათის მიღება, დამატებითი ბარათის დაბლოკვა, განბლოკვა (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამატებითი ბარათი დაიბლოკა პინ-კოდის არასწორად აკრეფის გამო), ბანკომატის მიერ დაკავებული დამატებითი ბარათის მიღება (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამატებითი ბარათის მფლობელს დამატებითი

ბარათი ბანკომატში დარჩა ან დამატებითი ბარათი დაკავებული იქნა ბანკომატის გაუმართაობის გამო), ბარათის პინკოდის ცვლილება (კლიენტმა ბანკს უნდა წარუდგინოს შესაბამისი განაცხადი);

12.2.9.3 ანგარიშის მფლობელს (კლიენტს) და ბარათის მფლობელს მხოლოდ ერთობლივად შეუძლიათ ახალი დამატებითი ბარათის დამზადების მოთხოვნა.

12.2.9.4 ბარათის გახსნა, განახლება, დახურვა და ბარათთან დაკავშირებული სხვა ოპერაციები კლიენტის მხრიდან შესაძლებელია დადასტურდეს SMS კოდის მეშვეობით, რომელსაც გააჩნია წერილობითი ფორმით შესრულებული, ქაღალდზე დაბეჭდილი, კლიენტის მიერ ხელმოწერით დადასტურებული საბუთის ტოლფასი იურიდიული ძალა

12.3 <u>საბარათე ანგარიშზე რიცხული თანხები, არასანქცირებული და ავტომატური ოვერდრაფტი</u>

12.3.1 მინიმალური ნაშთი (არსებობის შემთხვევაში) არის თანხა, რომელიც დაბლოკილია საბარათე ანგარიშზე ბარათის მოქმედების ვადის განმავლობაში. მინიმალური ნაშთის ოდენობა განისაზღვრება ბარათის ტიპის მიხედვით, ,,ვიზა'' (VISA) და ,,მასტერქარდ'' (MasterCard) საერთაშორისო საგადამხდელო სისტემების რეკომენდაციების გათვალისწინებით ბანკის მიერ დადგენილი წესებისა და პირობების შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ტრანზაქციის შედეგად საბარათე ანგარიშზე არსებული თანხა აღმოჩნდება მინიმალურ ნაშთზე ნაკლები, კლიენტი ვალდებული იქნება დაუყოვნებლივ შეიტანოს ან ჩარიცხოს საბარათე ანგარიშზე თანხა, რომელიც საკმარისი იქნება მინიმალური ნაშთის (არსებობის შემთხვევაში) შესავსებად.

12.3.2 საბარათე ანგარიშზე რიცხული თანხების განკარგვა დასაშვებია ბანკის მიერ დადგენილი ლიმიტების ფარგლებში, ხოლო მინიმალური ნაშთის (არსებობის შემთხვევაში) თავისუფალი განკარგვა შესაძლებელია მხოლოდ ანგარიშთან დაკავშირებული ყველა ბარათის გაუქმების შემთხვევაში ბანკის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

12.3.3 იმ შემთხვევაში, როდესაც ბარათით თანხების განკარგვა (ნაღდი ან/და უნაღდო წესით) განხორციელდება საბარათე ანგარიშის ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში, მაშინ ბარათის მფლობელის ანგარიშიდან მოხდება თანხის ჩამოწერა კონვერტაციის გზით. კონვერტაცია ბანკის ქსელში მოხდება ტრანზაქციის განხორციელების მომენტისთვის ბანკის მიერ დადგენილი კომერციული კურსით, ხოლო ქსელის გარეთ ,,ვიზას'' (VISA) ან ,,მასტერქარდის'' (MasterCard) მიერ დაწესებული კურსით. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „ბანკის ქსელი" გულისხმობს, სს „თიბისი ბანკს" და „პარტნიორ ბანკებს" (პარტნიორი ბანკების ნუსხა იხ. შემდეგ ვებგვერდზე: https://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/terms-and-fees-for-individuals). მაგალითები იხ. შემდეგ ვებგვერდზე: http://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/card-conversions.

12.3.4 <u>არასანქცირებული ოვერდრაფტი</u> არის ბანკის თანხმობის (ნებართვის) გარეშე საბარათე ანგარიშზე წარმოშობილი უარყოფითი ნაშთი (დავალიანება), გარდა ამ ხელშეკრულების 12.3.6 ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

12.3.5 არასანქცირებული ოვერდრაფტის წარმოშობის შემთხვევაში კლიენტი ვალდებული იქნება დაუყოვნებლივ შეავსოს თანხა მინიმალური ნაშთის (არსებობის შემთხვევაში) ან ნულოვანი ნაშთის ოდენობამდე.

12.3.6 <u>ავტომატური ოვერდრაფტი</u> არის კლიენტის მიერ ბანკისგან მიღებული საკრედიტო რესურსი, რომლის ათვისების უფლებასაც კლიენტი მოიპოვებს ბანკის მიერ მისი საკრედიტო პოლიტიკის შესაბამისად დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

12.3.7 ავტომატური ოვერდრაფტით სარგებლობის შემთხვევაში კლიენტი ვალდებული იქნება დააბრუნოს ათვისებული (კრედიტის სახით მიღებული) თანხა ბანკის მიერ ავტომატური ოვერდრაფტის დაფარვისთვის გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

12.3.8 ბანკი უფლებამოსილია არასანქცირებული ოვერდრაფტით სარგებლობისათვის კლიენტს მოსთხოვოს და ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებული იქნება გადაუხადოს ბანკს საპროცენტო სარგებელი, რომლის წლიური განაკვეთი განისაზღვრება არასანქცირებული ოვერდრაფტის წარმოშობის მომენტისთვის ბანკის მიერ არასანქცირებული ოვერდრაფტით სარგებლობისთვის დადგენილი ტარიფების შესაბამისად, კალენდარული წლის 365 (სამას სამოცდახუთი) დღეზე გაანგარიშებით. არასანქცირებული ოვერდრაფტით სარგებლობის შემთხვევაში, მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება წლიური 48%-ის ოდენობით. საპროცენტო სარგებელი (პროცენტი) არასანქცირებულ ოვერდრაფტს დაერიცხება წარმოშობის თარიღიდან მისი სრულად დაფარვის (ფაქტობრივად გადახდის) თარიღამდე.

12.3.9 იმ შემთხვევაში, თუ ბარათი დაკავშირებულია რამდენიმე სხვადასხვა ვალუტიან ანგარიშთან და ერთ-ერთი ვალუტის ანგარიშზე დაშვებულია საკრედიტო/ოვერდრაფტის ლიმიტი, აღნიშნულ ბარათზე დაკავშირებულ რომელიმე ანგარიშზე თანხის შეტანისას/ჩარიცხვისას ანგარიშებს შორის თანხის კონვერტაცია ბანკის მხრიდან ცალმხრივად (უაქცეპტო წესით) განხორციელდება მხოლოდ ამავე ხელშეკრულების 3.2.3 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხოლო სხვა შემთხვევაში ანგარიშებს შორის თანხის კონვერტაცია საკრედიტო/ოვერდრაფტის ლიმიტის დაფარვის მიზნით კლიენტმა თავად უნდა განახორციელოს.

12.3.10 იმ შემთხვევაში, თუ ბარათი დაკავშირებულია რამდენიმე სხვადასხვა ვალუტიან ანგარიშთან და ერთ-ერთი ვალუტის ანგარიშზე არსებობს არასანქცირებული ოვერდრაფტი, აღნიშნულ ბარათზე დაკავშირებულ რომელიმე ანგარიშზე ნაშთის არსებობის შემთხვევაში ან თანხის შეტანისას/ჩარიცხვისას, მოხდება თანხის კონვერტაცია და არასანქცირებული ოვერდაფტის დაფარვა (კონვერტაცია განხორციელდება საბანკო ოპერაციის განხორციელების დღეს ბანკის მიერ დადგენილი კომერციული კურსით). ამავდროულად, ანგარიშ(ებ)ზე არსებული არასანქცირებული ოვერდრაფტის დაფარვის მიზნით, ბანკი უფლებამოსილია შესაბამისი ოდენობის თანხა უაქცეპტო წესით (კლიენტის შემდგომი თანხმობის გარეშე) ჩამოწეროს ბანკში არსებული კლიენტის ნებისმიერი ანგარიშიდან (წინამდებარე ხელშეკრულების 3.2.3 ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესით).

12.3.11 კლიენტის მიერ ბარათით ATM, POS, E-Commerce_ით და ბანკში ტერმინალით ოპერაციის შესრულებისთანავე ბანკი ახორციელებს თანხის ბლოკირებას შესრულებული ტრანზაქციის თანხის შესაბამისად. ბლოკირებისას კონვერტაციის საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება ბანკის მიერ დადგენილი კომერციული კურსი. GEL/USD/EUR/GBP_სგან განსხვავებულ ვალუტაში ქსელის გარეთ შესრულებული ოპერაციებისათვის დამატებით გამოიყენება ,,ვიზას'' (VISA) ან ,,მასტერქარდის'' (MasterCard) მიერ დაწესებული კურსი (რომელიც ამავდროულად შესაძლოა მოიცავდეს ბანკის დამატებით საკომისიოს), და წესი. დეტალური აღწერა და მაგალითები იხ. შემდეგ ვებგვერდზე https://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/card-conversions .VISA/MasterCard ბარათით განხორციელებული ტრანზაქციები გარკვეული პერიოდის შემდეგ აისახება კლიენტის ანგარიშზე. კლიენტის მიერ

განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ბანკის სხვადასხვა დისტანციური არხების მეშვეობით.

12.3.12 თუ კლიენტის მიერ საბარათე ინსტრუმენტის (გარდა საკრედიტო ბარათისა) მეშვეობით განხორციელებული დავალების თანხა აღემატება დავალებაში მითითებული ვალუტის შესაბამის ანგარიშზე არსებულ ნაშთს (ან ანგარიშზე საერთოდ არ არის განთავსებული ნაშთი), მიუხედავად ამისა დავალებით მოთხოვნილი თანხა სრულად ჩამოიჭრება დავალების (ტრანზაქციის) თანხის შესაბამისი ვალუტის ანგარიშიდან (აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში). თუ საბარათე ტრანზაქციის ბლოკის თანხა შეესაბამება ტრანზაქციის თანხას, თანხის ჩამოჭრამდე, მოხდება ვალუტის შესაბამისი ანგარიშიდან ტრანზაქციის გასატარებლად საჭირო თანხის შეგროვება, ანგარიშზე არსებული ვალუტების პრიორიტეტულობის მიხედვით, სხვადასხვა ვალუტის ანგარიშებს შორის კონვერტაცია განხორციელდება ანგარიშსწორების მომენტში ბანკში დადგენილი კომერციული კურსით. მაგალითები იხ. შემდეგ ვებგვერდზე http://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/card-conversions. თუ საბარათე ტრანზაქციის (მათ შორის საკრედიტო ბარათით განხორციელებული ტრანზაქციის) ბლოკის თანხა არ შეესაბამება ტრანზაქციის თანხას, მისი გატარებისას შესაბამისი ვალუტის ანგარიშზე წარმოიქმნება უარყოფითი ნაშთი არასაკმარისი თანხის ნაწილში, რომელიც იფარება პირველი პრიორიტეტული ვალუტის ანგარიშიდან, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ამ პრიორიტეტული ვალუტის ანგარიშზე არ არის საკმარისი ნაშთი, უარყოფითი ნაშთის დაფარვა განხორციელდება რიგით მომდევნო პრიორიტეტული ვალუტის ანგარიშიდან. სხვადასხვა ვალუტის ანგარიშებს შორის კონვერტაცია განხორციელდება ანგარიშსწორების მომენტში ბანკში დადგენილი კომერციული კურსით. მაგალითები იხ. შემდეგ ვებგვერდზე http://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/card-conversions .

12.4 **ბარათის და საბარათე ანგარიშის მოქმედების შეჩერება ან გაუქმება**

12.4.1 ბარათის მოქმედება შეჩერდება ბარათის მფლობელის სურვილის დაფიქსირების, ბარათის დაკარგვის ან მოპარვის შემთხვევაში. ბარათის მფლობელი ვალდებულია ბარათის დაკარგვის შესახებ დაუყოვნებლივ წერილობით ან ტელეფონით (ნომერზე +99532 2272727) შეატყობინოს ბანკს. ბანკი უზრუნველყოფს ბარათის მოქმედების შეჩერებას ბარათის მფლობელის მიერ განსაზღვრული მეთოდის მიხედვით ბარათის მონაცემების შეტანით:

12.4.1.1 ლოკალურ სტოპ-სიაში, რომელიც მაქსიმუმ 1 (ერთ) საბანკო დღეში უზრუნველყოფს ბარათის ბლოკირებას მხოლოდ ავტორიზებული ტრანზაქციებისთვის;

12.4.1.2 საერთაშორისო სტოპ-სიაში, რომელიც უზრუნველყოფს ბარათის სრულ ბლოკირებას (არაავტორიზებული ტრანზაქციებისთვის) მაქსიმუმ 14 (თოთხმეტ) საბანკო დღეში.

12.4.1.3 ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „სტოპ-სია“ არის იმ ბარათების საერთაშორისო ან ლოკალური სია, რომლებზედაც შეზღუდულია ტრანზაქციების განხორციელება და ვრცელდება მომსახურების განსაკუთრებული რეჟიმი;

12.4.1.4 ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „ავტორიზაცია“ („ავტორიზებული ტრანზაქცია“) გულისხმობს ტრანზაქციის (მათ შორის Digital Wallet-ით განხორციელებული ტრანზაქციის) დადასტურებას პინ კოდით და/ან ბარათის უკანა მხარეს განთავსებული უსაფრთხოების კოდით და/ან 3D უსაფრთხოების კოდით და/ან ამ რეკვიზიტების ერთობლიობით და/ან ბანკის მიერ დადგენილი სხვა მექანიზმით, რომელიც გადაეცემა უშუალოდ კლიენტს/ბარათის მფლობელს და რომლის კონფიდენციალობაზე / უსაფრთხოდ შენახვაზე პასუხისმგებელია კლიენტი/ბარათის მფლობელი;

12.4.1.5 ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „არაავტორიზებული ტრანზაქცია“ გულისხმობს ტრანზაქციას, რომელიც არ არის შესრულებული კლიენტის/ბარათის მფლობელის ნებართვით (არ არის ავტორიზებული) / შესრულებულია ბარათის ფლობასთან / გამოყენებასთან / უსაფრთხოებასთან და კონფიდენციალობასთან დაკავშირებით წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების/მოთხოვნების კლიენტის/ბარათის მფლობელის მიერ განზრახ დარღვევით და/ან უხეში გაუფრთხილებლობით და/ან კლიენტის/ბარათის მფლობელის ან მესამე პირის მიერ თაღლითური ქმედების / ტრანზაქციის განხორციელებით. იმისათვის, რომ კლიენტის/ბარათის მფლობელის მიერ დასახელებული/იდენტიფიცირებული არაავტორიზებული ტრანზაქცია (მათ შორის არაავტორიზებული ტრანსსასაზღვრო გადახდის ოპერაცია/ტრანზაქცია) ჩაითვალოს ავტორიზებულად, კლიენტი/ბარათის მფლობელი ვალდებულია ბანკს წარუდგინოს აღნიშნულის დასადასტურებლად საკმარისი მტკიცებულებები, რომელთა შესწავლის / ანალიზის შედეგად ბანკი შეძლებს ავტორიზებული ტრანზაქციის სტატუსის დადგენას. სხვა შემთხვევაში (მათ შორის კლიენტის/ბარათის მფლობელის მიერ საკმარისი მტკიცებულებების ბანკისთვის წარუდგენლობის და/ან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების (ასეთის არსებობისას) დარღვევით წარდგენის შემთხვევაში), ტრანზაქცია ჩაითვლება არაავტორიზებულად.

12.4.2 ბარათის მფლობელის მიერ ამ ხელშეკრულებით ან ბარათით სარგებლობის წესებით განსაზღვრული რომელიმე პირობის დარღვევის შემთხვევაში ბანკს ნებისმიერ დროს შეუძლია შეაჩეროს ან დაბლოკოს როგორც ძირითადი, ისე დამატებითი ბარათების მოქმედება.

12.4.3 ბარათზე მითითებული ვადის განმავლობაში ბარათის მფლობელი ვალდებულია აანაზღაუროს ბლოკირებული ბარათით განხორციელებული არაავტორიზებული ტრანზაქციებით წარმოშობილი ზიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბლოკირება არ განხროციელდა საერთაშორისო სტოპ-სიაში შეტანით.

12.4.4 ბარათის მფლობელი უფლებამოსილია გაასაჩივროს საერთაშორისო სტოპ-სიაში შეტანის გზით ბლოკირებული ბარათით განხორციელებული ტრანზაქცია.

12.4.5 ბარათის მფლობელი ვალდებულია გადაიხადოს ბარათის სტოპ-სიაში შეტანის საკომისიო.

12.4.6 ბანკს უფლება აქვს დახუროს საბარათე ანგარიში:

12.4.6.1 კლიენტის წერილობითი/SMS კოდით დადასტურებული განაცხადის ბანკის მიერ მიღების ან ბარათის მოქმედების ვადის ამოწურვიდან 30 (ოცდაათი) დღის გასვლის შემდეგ, თუ ამ ხნის განმავლობაში კლიენტი არ წარუდგენს ბანკს წერილობით მოთხოვნას ბარათის მოქმედების გაგრძელების შესახებ. ასეთ შემთხვევებში, საბარათე ანგარიში ჩაითვლება დახურულად და კლიენტს დაუბრუნდება ანგარიშზე რიცხული თანხები კლიენტის მიერ მოთხოვნის დაფიქსირებისთანავე, მხოლოდ მას შემდეგ, რაც სრულად დაიფარება ბანკის მიმართ არსებული ყველა სახის დავალიანება. საბარათე ანგარიშზე არსებული თანხების (ნაშთის) ანგარიშებიდან გადარიცხვის მიზნებისთვის, ძალაში შევა ხელშეკრულების 8.2.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობა (ბანკის უფლებამოსილება). იმ შემთხვევაში, თუ საბარათე ანგარიში ძირითადი ანგარიშია სატარიფო ნაკრებისთვის და

სხვა ალტერნატიული ანგარიში, რომლის მითითებაც შესაძლებელია ძირითად ანგარიშად (მიმდინარე/ საბარათე) კლიენტს არ აქვს, ხსენებული საბარათე ანგარიში მითითებულია, როგორც სესხის დაფარვის / საკომისიოს ჩამოჭრის (ჩამოწერის) ანგარიშად, დაკავშირებულია მიმდინარე დეპოზიტთან, პლასტიკური ბარათის გაუქმებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში დაფიქსირდება ბრუნვა (ჩარიცხვის ოპერაციები), საბარათე ანგარიში არ დაიხურება.

12.4.6.2 ბანკსა და ,,ვიზას' (VISA) და ,,მასთერქარდს'' (MasterCard) შორის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში (ამ შემთხვევაში ბანკი ვალდებულია 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში შეატყობინოს ბარათის მფლობელს საბარათე ანგარიშის დახურვის შესახებ).

12.4.7 ბარათით განხორციელებულ ტრანზაქციებს ბანკი აკონტროლებს სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის – მონიტორინგის მოდულის მეშვეობით, რაც ნიშნავს იმას, რომ ბანკს უფლება აქვს დროებით შეაჩეროს ბარათის მოქმედება საეჭვო ტრანზაქციების დაფიქსირებისას (მონიტორინგი). ბარათის მფლობელი უფლებამოსილია უარი განაცხადოს მისი ბარათის მონიტორინგზე გარკვეული პერიოდის განმავლობაში, რაც ფიქსირდება განაცხადით.

12.5 <u>**მხარეთა ვალდებულებები და უფლებები**</u>

12.5.1 <u>კლიენტი/ბარათის მფლობელი ვალდებულია:</u>

12.5.1.1 გადაცემის მომენტში შეამოწმოს იმ კონვერტის მთლიანობა, რომელშიც მოთავსებულია პინ-კოდი.

12.5.1.2 შეინახოს ბარათით განხორციელებული ყველა ოპერაციის დამადასტურებელი საბუთი ასეთი ოპერაციის განხორციელებიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში და საჭიროების შემთხვევაში წარუდგინოს ისინი ბანკს;

12.5.1.3 ბარათის გამოყენებით შესრულებული ოპერაციების (ტრანზაქციების) არცნობის და/ან ბარათის გამოყენებით შესრულებული ოპერაციების (ტრანზაქციების) კორექტირების მოთხოვნის შემთხვევაში, წერილობით მიმართოს ბანკს არაავტორიზებული ოპერაციის განხორციელებიდან (ტრანზაქციიდან / ოპერაციის თანხით ანგარიშის დადებეტებიდან) / არასწორად განხორციელებული ოპერაციის („არასწორად განხორციელებული ოპერაცია" განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად) შესრულებიდან (ტრანზაქციიდან / ოპერაციის თანხით ანგარიშის დადებეტებიდან) 13 (ცამეტი) თვის ვადაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კლიენტის/ბარათის მფლობელის მიერ წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ვადა გაშვებულია კლიენტისგან/ბარათის მფლობელისგან დამოუკიდებელი / ობიექტური მიზეზ(ებ)ით და არა გაუმართლებელი დაყოვნებით (აღნიშნულის მტკიცების ვალდებულება ეკისრება კლიენტს/ბარათის მფლობელს). მიუხედავად გასაჩივრების ვადის კლიენტის/ბარათის მფლობელის მიერ გაშვებისა/დარღვევისა, ბანკი საკუთარი შესაძლებლობის ფარგლებში გაუწევს დახმარებას კლიენტს/ბარათის მფლობელს არაავტორიზებული ან არასწორად განხორციელებული ოპერაციის შედეგად გადარიცხული თანხ(ებ)ის დაბრუნებაში. კლიენტი ვალდებულია გადაიხადოს ,,ვიზას'' (VISA) და ,,მასთერქარდის'' (MasterCard) მიერ პრობლემის გამოძიებასთან დაკავშირებით დაწესებული დამატებითი მომსახურებების საფასური. ბანკი კლიენტის მიერ გასაჩივრებულ ოპერაციას (საჩივარს) განიხილავს და გადაწყვეტს, საჩივრის წარდგენიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) სამუშაო დღისა. ბანკისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხსენებულ ვადაში საჩივრის განუხილველობის / გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში, ბანკი უზრუნველყოფს კლიენტის ინფორმირებას საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დაგვიანების მიზეზსა და საჩივრის განხილვის / გადაწყვეტილების მიღების ვადის გახანგრძლივებაზე, რომლის ვადა არ უნდა აღემატებოდეს საჩივრის მიღებიდან 55 (ორმოცდათხუთმეტი) სამუშაო დღეს. კლიენტის საჩივარი განიხილება შემდეგი პროცედურის დაცვით: ბანკი, კვირაში ორჯერ ახდენს იმ კლიენტების სიის ფორმირებას - 1) რომლებმაც ბანკში წარადგინეს საბარათე ტრანზაქციის გასაჩივრების / დაუთანხმებლობის/პრობლემური ტრანზაქციის შესახებ განაცხადი, მათი ბანკში მიღებიდან გასულია 25-28 კალენდარული დღე და ბარათის უსაფრთოების ლიმიტის ფარგლებში არ მომხადარა გასაჩივრებული ტრანზაქციის თანხის ანაზღაურება; 2) რომელთა განაცხადი გაგზავნილია განხილვაზე საერთაშორისო საგადამხდელო სისტემებში და არ დასრულებულა განხილვა. ამასთან, ბანკის მიერ კლიენტისთვის/ბარათის მფლობელისთვის წინამდებარე პუნქტის შესაბამისად გასაჩივრებული ოპერაციის თანხის ანაზღაურების შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია განახორციელოს კლიენტისთვის/ბარათის მფლობელისთვის ანაზღაურებული თანხის დაბლოკვა საჩივრის გადაწყვეტამდე. ამავდროულად, ბანკს არ ეკისრება კლიენტის/ბარათის მფლობელის მიერ გასაჩივრებული ოპერაციის თანხის ანაზღაურების ვალდებულება, თუ ბანკს აქვს კლიენტის/ბარათის მფლობელის მიერ თაღლითური ქმედების განხორციელების ან წინამდებარე ხელშეკრულებით ბარათთან/საბარათე ოპერაციებთან დაკავშირებული ვალდებულებების კლიენტის/ბარათის მფლობელის მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით დარღვევის შესახებ საფუძვლიანი ეჭვი;

12.5.1.3.1 ბარათის გამოყენებით შესრულებული არაავტორიზებული ტრანსსასაზღვრო გადახდის ოპერაციების (ტრანზაქციების) არცნობის შემთხვევაში, წერილობით მიმართოს ბანკს ოპერაციის განხორციელებიდან (ტრანზაქციიდან / ოპერაციის თანხით ანგარიშის დადებეტებიდან) 75 (სამოცდათხუთმეტი) დღის ვადაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კლიენტის/ბარათის მფლობელის მიერ წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ვადა გაშვებულია კლიენტისგან/ბარათის მფლობელისგან დამოუკიდებელი / ობიექტური მიზეზ(ებ)ით და არა გაუმართლებელი დაყოვნებით (აღნიშნულის მტკიცების ვალდებულება ეკისრება კლიენტს/ბარათის მფლობელს). ამ პუნქტის მიზნებისთვის, ტრანსსასაზღვრო გადახდის ოპერაცია წარმოადგენს ისეთ ოპერაციას, რომელიც განხორციელებულია საქართველოში ემიტირებული საბარათე ინსტრუმენტის (პლასტიკური ბარათის) გამოყენებით და მიმღების პროვაიდერი (ექვაირერი) უცხოურ საგადახდო მომსახურების პროვაიდერს წარმოადგენს. გასაჩივრებული ოპერაციის თანხა ბანკის მიერ ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი ბანკში წარმოდგენილია წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში ან ცალსახად იკვეთება მესამე პირის თაღლითური ქმედება და/ან კლიენტის/ბარათის მფლობელის მიერ შეტყობინებული შემთხვევა შინაარსობრივად და/ან გარემოებებით მსგავსია ბანკის მიერ ბოლო 180 დღის განმავლობაში განხილული იმ შემთხვევისა/შემთხვევებისა, რომლის/რომელთა ფარგლებშიც კლიენტებს/ბარათის მფლობელებს აუნაზღაურდათ არაავტორიზებული ოპერაციის თანხა;

12.5.1.4 არ დაუშვას ბარათის ან პინ-კოდის მესამე პირებისთვის გადაცემა (გამჟღავნება).

12.5.1.5 აანაზღაუროს ბანკის მიერ გაწეული ის დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ,,ვიზას'' (VISA) და ,,მასთერქარდის'' (MasterCard) მიერ ბარათის დამატებითი სახის ფასიან მომსახურებებთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

12.5.1.6 აუნაზღაუროს ბანკს არაავტორიზებული გადახდის ოპერაციასთან დაკავშირებული ზიანი, რომელიც გამოწვეულია კლიენტის/ბარათის მფლობელის თაღლითური ქმედებით და/ან ბარათის ფლობასთან / გამოყენებასთან / უსაფრთხოებასთან და კონფიდენციალობასთან დაკავშირებით წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების/მოთხოვნების კლიენტის/ბარათის მფლობელის მიერ განზრახ დარღვევით და/ან უხეში გაუფრთხილებლობით.

12.5.2 <u>ბანკი უფლებამოსილია:</u>

12.5.2.1 უზრუნველყოს სავაჭრო ან მომსახურების ობიექტის მიერ (მათ შორის კაზინო, ტოტალიზატორი და სხვა) მინიმალური ნაშთის (არსებობის შემთხვევაში) ზევით ჩარიცხული თანხის დამუშავება საბარათე ოპერაციის განხორციელებიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში, ხოლო შესაბამისი თანხის საბარათე ანგარიშზე ასახვას ბანკი უზრუნველყოფს საბარათე ოპერაციის დამუშავების დასრულებიდან არაუგვიანეს მომდევნო საბანკო დღეს;

12.5.2.2 დაბლოკოს ბარათი ან/და საბარათე ანგარიში (შეაჩეროს ოპერაციები) იმ შემთხვევაში, თუ გაჩნდება ეჭვი, რომ ბარათის გამოყენებით ან საბარათე ანგარიშზე ხორციელდება ან/და განხორციელდა არასანქცირებული ან/და მართლსაწინააღმდეგო ოპერაცია.

12.5.3 <u>ბანკი არ არის პასუხისმგებელი:</u>

12.5.3.1 ბარათის მფლობელსა და მომსახურების ობიექტებს შორის წარმოქმნილ სადავო სიტუაციებზე;

12.5.3.2 ბარათის არასანქცირებული გამოყენებისათვის იმ ფაქტების გამო, რომლებიც კლიენტის/ბარათის მფლობელის მიზეზით არის გამოწვეული, მათ შორის კლიენტის/ბარათის მფლობელის მიერ ბარათზე მონიტორინგის გაუქმების მოთხოვნის მოქმედების პერიოდში;

12.5.3.3 ისეთ ოპერაციებზე, რომლებიც შესრულებულია დაკარგული/მოპარული ბარათით, თუ ბარათის მფლობელმა არ უზრუნველყო დაკარგული/მოპარული ბარათის დროული ბლოკირება ან ოპერაციებზე, რომლებიც შესრულებულია მესამე პირის მიერ, თუ ტრანზაქცია ავტორიზებულია ან არაავტორიზებულ ტრანზაქციებზე (წინამდებარე ხელშეკრულების 12.4.1.5 ქვეპუნქტის შესაბამისად).

12.5.4 კლიენტის/ბარათის მფლობელის რომელიმე ანგარიშზე საინკასო დავალების ან ყადაღის დადების აქტის არსებობის შემთხვევაში კლიენტის/ბარათის მფლობელის ანგარიშზე დაშვებული საკრედიტო ლიმიტი ან/და ოვერდრაფტი ჩაითვლება ავტომატურად გაუქმებულად. საინკასო დავალების შესრულების ან გაუქმების (უკან გათხოვის) ან ყადაღის გაუქმების (უკან გათხოვის) შემთხვევაში ბანკს უფლება ექნება ცალმხრივად აღადგინოს საკრედიტო ლიმიტი ან/და ოვერდრაფტი.

12.5.5 ამ ხელშეკრულების 12.5.4 ქვეპუნქტის მოქმედება ვრცელდება ყველა ტიპის პლასტიკურ ბარათზე ისევე, როგორც რომელიმე პლასტიკურ ბარათთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკრედიტო პროდუქტზე.

12.5.6 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი მუშაობს საწარმოში/ორგანიზაციაში, რომელიც ჩართულია ბანკის სახელფასო პროექტში, ამ ხელშეკრულებით კლიენტი/ბარათის მფლობელი საწარმოს/ორგანიზაციის დირექტორს (წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირს) ანიჭებს უფლებას კლიენტის/ბარათის მფლობელის სახელით:

12.5.6.1 ხელი მოაწეროს და წარუდგინოს ბანკს განაცხადი სახელფასო პლასტიკური ბარათის დამზადების/განახლების ან/და ოვერდრაფტის/საკრედიტო ლიმიტის დაშვების შესახებ ან/და საგადახდო დავალება, რომლის საფუძველზეც განხორციელდება კლიენტის/ბარათის მფლობელის სახელფასო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში ჩარიცხული თანხის კონვერტაცია (კონვერსია) უცხოურ ვალუტაში ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად;

12.5.6.2 ბანკისგან მიიღოს (ჩაიბაროს) და კლიენტს/ბარათის მფლობელს გადასცეს სახელფასო პლასტიკური ბარათი, პინ-კოდი ან/და სატელეფონო კოდი.

12.5.7 კლიენტის/ბარათის მფლობელის დამსაქმებელი საწარმოს/ორგანიზაციის დირექტორს (წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირს) უფლება აქვს ამ ხელშეკრულების 12.5.6 ქვეპუნქტში აღწერილი უფლებამოსილება გადასცეს საწარმოს/ორგანიზაციის ბუღალტერს ან/და სხვა პირს.

12.5.8 კლიენტი/ბარათის მფლობელი უფლებამოსილია ბანკისგან მოითხოვოს ანაზღაურების მიღება მიმღების (პირი რომლის სასარგებლოდაც ხორციელდება გადახდის ოპერაცია (ტრანზაქცია)) მიერ ინიცირებულ ავტორიზებულ გადახდის ოპერაციაზე (ტრანზაქციაზე) იმ შემთხვევაში, თუ გადახდის ოპერაციის (ტრანზაქციის) ავტორიზაციისას არ იყო განსაზღვრული ტრანზაქციის ზუსტი თანხა ან ტრანზაქციის თანხა აჭარბებს იმ ოდენობას, რომლის გონივრული მოლოდინიც კლიენტს/ბარათის მფლობელს შეეძლო ჰქონოდა წინა ხარჯვითი თავისებურებიდან და/ან ტრანზაქციის შესაბამისი გარემოებებიდან გამომდინარე (აღნიშნულის მტკიცების ვალდებულება ეკისრება კლიენტს/ბარათის მფლობელს). ამასთან, თუ ტრანზაქციის თანხა აჭარბებს იმ ოდენობას, რომლის გონივრული მოლოდინიც კლიენტს/ბარათის მფლობელს შეეძლო ჰქონოდა წინა ხარჯვითი თავისებურებიდან და/ან ტრანზაქციის შესაბამისი გარემოებებიდან გამომდინარე, მაგრამ ხსენებული გარემოება/ები გამოწვეულია ვალუტის გადაცვლით, კლიენტი/ბარათის მფლობელი არ არის უფლებამოსილი ბანკისაგან მოითხოვოს წინამდებარე პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში ტრანზაქციის თანხის ანაზღაურება, თუ ვალუტის გადაცვლის კურსი წინასწარ შეთანხმებული იყო კლიენტს/ბარათის მფლობელს და ბანკს / კლიენტის/ბარათის მფლობელის საგადახდო მომსახურების პროვაიდერს შორის.

12.5.9 წინამდებარე ხელშეკრულების 12.5.8 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, კლიენტი/ბარათის მფლობელი უფლებამოსილია ბანკისგან მოითხოვოს ანაზღაურება საგადახდო ანგარიშ(ებ)ის დადებეტებიდან არაუგვიანეს 8 (რვა) კვირის განმავლობაში.

12.5.10 კლიენტს/ბარათის მფლობელს არ აქვს წინამდებარე ხელშეკრულების 12.5.8 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, თუ კლიენტმა/ბარათის მფლობელმა ბანკს / კლიენტის/ბარათის მფლობელის საგადახდო მომსახურების პროვაიდერს მისცა თანხმობა გადახდის ოპერაციის შესრულებაზე და/ან მომავალი გადახდის ოპერაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ ინფორმაცია მხარეთა შორის შეთანხმებული ფორმით/წესით კლიენტისთვის/ბარათის მფლობელისთვის მიწოდებულია ან მხარეთა შორის შეთანხმებული ფორმით/წესით სხვაგვარად ხელმისაწვდომია ბანკის ან გადახდის ოპერაციის (ტრანზაქციის) თანხის მიმღების მიერ ამ გადახდის ვალდებულების თარიღამდე არანაკლებ 2 (ორი) კვირით ადრე.

12.6. <u>**ციფრული ბარათი**</u>

12.6.1. ციფრული ბარათით მომსახურება გულისხმობს ბანკის მიერ გამოშვებული მატერიალური ფორმის არმქონე ,,ვიზა'' (VISA) ვირტუალური ბარათის (შემდგომში „ციფრული ბარათი“) მეშვეობით კლიენტის მიერ საბანკო ოპერაციების განხორციელებას დისტანციური საბანკო მომსახურების არხ(ებ)ით (მათ შორის ინტერნეტ-ბანკით / მობაილ-ბანკით). Apple Pay-ში / Google Pay-ში ციფრული ბარათის დამატების საფუძველზე კლიენტი შეძლებს პოს ტერმინალ(ებ)ით თანხის გადახდას და/ან ბანკომატ(ებ)ში თანხის განაღდებას ბანკის მიერ წინასწარ დადგენილი ლიმიტ(ებ)ის ფარგლებში. ამასთან, კლიენტი ციფრული ბარათით თანხის განაღდებას საქართველოს ფარგლებს გარეთ შეძლებს მხოლოდ იმ ბანკომატ(ებ)ში, რომელსაც გააჩნია Apple Pay-ს / Google Pay-ს საშუალებით თანხ(ებ)ის განაღდების შესაძლებლობა.

12.6.2. ციფრული ბარათის დამზადებაზე მოთხოვნის დაფიქსირება და მისი გააქტიურება არსებულ საბარათე ანგარიშზე (ასევე ციფრული ბარათის გააქტიურებისთვის ახალი საბარათე ანგარიშის გახსნა) ბანკის არსებულ კლიენტს შეუძლია დისტანციურად, ინტერნეტ-ბანკის და/ან მობაილ-ბანკის მეშვეობით და/ან ბანკის მიერ განსაზღვრული არხ(ებ)ით.

12.6.3. ციფრული ბარათით სარგებლობის პერიოდი განისაზღვრება ციფრული ბარათის მოქმედების იმ ვადით, რომელიც დაფიქსირებულია ციფრული ბარათის გამოყენებისთვის განკუთვნილ არხ(ებ)ში (მათ შორის ინტერნეტ-ბანკში/მობაილ-ბანკში). კლიენტს ასევე შეუძლია ციფრული ბარათის გამოყენებისთვის განკუთვნილ არხ(ებ)ში (მათ შორის ინტერნეტ-ბანკში/მობაილ-ბანკში) ციფრული ბარათის სრული რეკვიზიტების (ციფრული ბარათის ნომერი, საიდენტიფიკაციო კოდი) ინფორმაციის მიღება.

12.6.4. ციფრული ბარათით სარგებლობისათვის კლიენტი ვალდებულია ბანკს გადაუხადოს მომსახურების საკომისიო ბანკის მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად.

12.6.5. ციფრული ბარათით სარგებლობის წესები/პირობები დეტალურად მოცემულია ,,ვიზა'' (VISA) საერთაშორისო საგადამხდელო სისტემების პროცედურების შესაბამისად ბანკის მიერ შედგენილ საინფორმაციო მასალაში, რომელიც განთავსებულია ბანკის ვებგვერდზე (https://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/first-digital-card-from-tbc). ,,ვიზა'' (VISA) საერთაშორისო საგადამხდელო სისტემების პროცედურები და წესები იხ. ვებგვერდზე https://www.visa.com.ge/ka_GE/support/consumer/visa-rules.html.

12.6.6. ციფრული ბარათი აღჭურვილია 3D უსაფრთხოების სერვისით (სერვისით სარგებლობის წესების / პირობების დეტალური აღწერა განთავსებულია ბანკის ვებგვერდზე: https://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/3d-security-service).

12.6.7. ციფრული ბარათით მომსახურებაზე ვრცელდება ამ ხელშეკრულების ყველა პირობა/დებულება, რომელიც არსებითად შეესაბამება (არ ეწინააღმდეგება) ვირტუალური საგადახდო ბარათით მომსახურებას, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე.

## 13. მომსახურება მოკლე ტექსტური შეტყობინებებით (SMS სერვისი)

13.1 მომსახურების აღწერა

13.1.1 SMS სერვისი არის დისტანციური საბანკო მომსახურება, რომლის საშუალებითაც კლიენტს ბანკისთვის წარდგენილ განაცხადში დაფიქსირებული მობილური ტელეფონის ნომრის მეშვეობით ექნება საშუალება: მიიღოს ინფორმაცია საკუთარ საბანკო ანგარიშებზე შესრულებული ოპერაციების შესახებ, მოითხოვოს და მიიღოს საჭირო საბანკო ინფორმაცია ან/და განაცხადში დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი SMS კოდით დადასტურების მეშვეობით / SMS-ით ბანკის მიერ კლიენტისათვის მიწოდებულ ბმულზე განთავსებული დოკუმენტის დადასტურებით შეასრულოს გარკვეული ტიპის საბანკო ოპერაციები ბანკის მიერ განსაზღვრული ლიმიტების და წესების შესაბამისად, მიიღოს ბანკის მიერ კლიენტისთვის შეთავაზებული / კლიენტის მიერ მოთხოვნილი სხვადასხვა საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტ(ებ)ის შესახებ ინფორმაცია და სურვილისამებრ მოახდინოს შეთავაზებული საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტის დადასტურება (ბანკის მიერ დადგენილი წესების / მოთხოვნების გათვალისწინებით), ასევე დაადასტუროს პერსონალური მონაცემები/ნებისმიერი ინფორმაცია (მათ შორის არსებული პერსონალური მონაცემების/ნებისმიერი ინფორმაციის ცვლილება).

13.1.2 კლიენტს, რომელიც მიმართავს ბანკს მომსახურების (სერვისის/პროდუქტის) მიღებისთვის ან/და სარგებლობს ზემოაღნიშნული მომსახურებით (სერვისით/პროდუქტით), ავტომატურად უაქტიურდება მოკლე ტექსტური შეტყობინებებით მომსახურების სერვისი, რისთვისაც აუცილებელია, კლიენტის ტელეფონის ნომერი დარეგისტრირებული იყოს ბანკის პროგრამაში. ამ მომსახურების გაუქმებისთვის ან მობილური ტელეფონის ნომრის ცვლილებისთვის აუცილებელია ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი მოქმედების შესრულება:

13.1.2.1 ბანკის ფილიალში ვიზიტი;

13.1.2.2 სატელეფონო სერვის-ცენტრში დარეკვა;

13.1.2.3 ინტერნეტ-ბანკის საშუალებით ბანკისთვის შეტყობინების გაგზავნა შესაბამისი პერსონალური პარამეტრების გვერდიდან.

13.1.3 მოკლე ტექსტური შეტყობინებებით მომსახურებაზე ვრცელდება ამ ხელშეკრულების პირობები ამ მუხლით დადგენილი გამონაკლისების გათვალისწინებით.

13.1.4 ამ ხელშეკრულების მე-13 მუხლში მოცემული პირობები გამოიყენება კლიენტის უკლებლივ ყველა საბანკო ანგარიშთან მიმართებით. კლიენტის მიერ ბანკში ახალი ანგარიშის გახსნისას მოკლე ტექსტური შეტყობინებებით მომსახურება განხორციელდება ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ამ შემთხვევაში ბანკსა და კლიენტს შორის არ გაფორმდება ახალი ხელშეკრულება და ახალ ანგარიშზე გავრცელდება ამ ხელშეკრულების პირობები.

13.1.5 კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ ბანკი უფლებამოსილია კლიენტის მოკლე ტექსტური შეტყობინებებით (SMS სერვისით) მომსახურების მიზნებისთვის საჭირო ინფორმაცია (მათ შორის კლიენტის პერსონალური ინფორმაცია), მიაწოდოს ბანკთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ სატელეკომუნიკაციო (მობილურ) ოპერატორ(ებ)ს, რომლებიც თავის მხრივ კისრულობენ ვალდებულებას, დაიცვან ბანკის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა.

13.2 მხარეთა ვალდებულებები და უფლებები

13.2.1 კლიენტი ვალდებულია:

13.2.1.1 მოკლე ტექსტური შეტყობინება გაგზავნოს ბანკის მიერ მითითებულ ნომერზე ბანკის მიერ გავრცელებულ საინფორმაციო მასალაში აღწერილი ფორმატით;

13.2.1.2 არ დაუშვას მისი კუთვნილი მობილური ტელეფონის აპარატის ან/და სიმ-ბარათის მოხვედრა მესამე პირის განკარგულებაში;

13.2.1.3 მობილური ტელეფონის აპარატის, სიმ-ბარათის ან/და ნომრის შეცვლის ან/და დაკარგვის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს ტელეფონით (ნომერზე +99532 2272727), წერილობით ან ინტერნეტ-ბანკით;

13.2.1.4 ანგარიშ(ებ)ზე იქონიოს სერვისით მომსახურების საკომისიოსთვის საკმარისი თანხა.

13.2.2 <u>კლიენტი უფლებამოსილია</u>

**13.2.2.1 ნებისმიერ დროს მოთხოვოს ბანკს მისთვის სარეკლამო შინაარსის (საქონლის ან/და მომსახურების შეთავაზების შემცველი) მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნის შეწყვეტა. აღნიშნული მოთხოვნის დასაფიქსირებლად კლიენტმა უნდა განახორციელოს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი მოქმედება:**

**13.2.2.1.1 ბანკის ფილიალში ვიზიტი;**

**13.2.2.1.2 სატელეფონო სერვის-ცენტრში დარეკვა;**

**13.2.2.1.3 ინტერნეტ-ბანკის საშუალებით ბანკისთვის შეტყობინების გაგზავნა შესაბამისი პერსონალური პარამეტრების გვერდიდან.**

13.2.3 <u>ბანკი ვალდებულია:</u>

13.2.3.1 კლიენტის მიერ ტელეფონის ნომრის შეცვლის, მობილური ტელეფონის აპარატის ან/და სიმ-ბარათის დაკარგვის თაობაზე ზეპირი (ტელეფონით), წერილობითი ან ინტერნეტ-ბანკის მეშვეობით კლიენტისგან მიღებული შეტყობინების საფუძველზე უზრუნველყოს მოკლე ტექსტური შეტყობინებებით მომსახურების შეჩერება მომსახურების აღდგენის თაობაზე კლიენტის განცხადების მიღებამდე. კლიენტის მიერ ბანკისთვის ზეპირი (სატელეფონო) განცხადების წარდგენის შემთხვევაში, კლიენტის იდენტიფიკაცია განხორციელდება ხელშეკრულების 11.2 პუნქტში მითითებული წესის შესაბამისად.

**13.2.3.2 ხელშეკრულების 13.2.2.1 ქვეპუნქტში მითითებული კლიენტის მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა, შეწყვიტოს კლიენტთან სარეკლამო შინაარსის (საქონლის ან/და მომსახურების შეთავაზების შემცველი) მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნა.**

13.2.4 <u>ბანკი უფლებამოსილია:</u>

13.2.4.1 არ შეასრულოს კლიენტის დავალება კლიენტის ანგარიშზე საკმარისი თანხის არარსებობის ან/და კლიენტის მიერ ბანკისთვის არასწორი (ამ ხელშეკრულების ან ბანკის მიერ გავრცელებული საინფორმაციო მასალის პირობებთან შეუსაბამო) შეტყობინების გაგზავნის ან ბანკის მიმართ კლიენტის დავალიანების არსებობის შემთხვევაში;

**13.2.4.2 კლიენტს გაუზავნოს სარეკლამო შინაარსის (საქონლის ან/და მომსახურების შეთავაზების შემცველი) და ინფორმაციული ხასიათის მოკლე ტექსტური შეტყობინებები;**

13.2.4.3 კლიენტს გაუგზავნოს მოკლე ტექსტური შეტყობინება კრედიტის (სესხის, ოვერდრაფტის, საკრედიტო ლიმიტის ან/და სხვა საკრედიტო პროდუქტის) ოდენობის, დაფარვის თარიღის, დავალიანების ან/და შესრულებული ავტომატური გადარიცხვის შესახებ (ბანკი არ არის ვალდებული კლიენტს გაუგზავნოს ასეთი შეტყობინება და ნებისმიერ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, მიიღებს თუ არა ბანკის შეტყობინებას, კლიენტი ვალდებულია დროულად დაფაროს კრედიტი (სესხი, ოვერდრაფტი, საკრედიტო ლიმიტი ან/და სხვა საკრედიტო პროდუქტი) და გადაიხადოს სხვა გადასახდელები (საპროცენტო სარგებელი, პირგასამტეხლო, საკომისიო და სხვა)).

13.2.4.4 კლიენტს გაუგზავნოს ნებისმიერი ტიპის მოკლე ტექსტური შეტყობინება (როგორც ფასიანი, ისე უფასო). იმ შემთხვევაში თუ კლიენტი არ სარგებლობს ფასიანი მოკლე ტექსტური შეტყობინების სერვისით, ბანკის ინიციატივით გაგზავნილ მოკლე ტექსტური შეტყობინების საფასურს კლიენტი არ იხდის.

13.2.4.5 განახორციელოს მიმდინარე ანგარიშის დახურვა კლიენტის მხრიდან აღნიშნული ოპერაციის SMS კოდით დადასტურების საფუძველზე, რომელსაც გააჩნია წერილობითი ფორმით შესრულებული, ქაღალდზე დაბეჭდილი, კლიენტის მიერ ხელმოწერით დადასტურებული საბუთის ტოლფასი იურიდიული ძალა.

13.3 მხარეები თანხმდებიან, რომ კლიენტის მიერ განაცხადში დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი SMS კოდით საბანკო ოპერაციების დადასტურებას და/ან ბანკის მიერ კლიენტისთვის შეთავაზებებული / კლიენტის მიერ მოთხოვნილი სხვადასხვა საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტ(ებ)ის / ბანკში არსებული პერსონალური მონაცემების/ნებისმიერი ინფორმაციის (მათ შორის არსებული პერსონალური მონაცემების/ნებისმიერი ინფორმაციის ცვლილების) SMS-ის საშუალებით (SMS-ით ბანკის მიერ კლიენტისათვის მიწოდებულ ბმულზე განთავსებული ხელშეკრულების/დოკუმენტის) დადასტურებას, გააჩნია წერილობითი ფორმით შესრულებული, ქაღალდზე დაბეჭდილი, კლიენტის მიერ ხელმოწერით დადასტურებული საბუთის ტოლფასი იურიდიული ძალა. შესაბამისად, მხარეები თანხმდებიან, რომ საბანკო ოპერაციების კლიენტის მიერ SMS კოდით და/ან ბანკის მიერ კლიენტისთვის შეთავაზებებული / კლიენტის მიერ მოთხოვნილი სხვადასხვა საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტ(ებ)ის / ბანკში არსებული პერსონალური მონაცემების/ნებისმიერი ინფორმაციის (მათ შორის არსებული პერსონალური მონაცემების/ნებისმიერი ინფორმაციის ცვლილების) SMS-ის საშუალებით (SMS-ით ბანკის მიერ კლიენტისათვის მიწოდებულ ბმულზე განთავსებული ხელშეკრულების/დოკუმენტის) დადასტურების საკითხი არ შეიძლება გახდეს მხარეთა შორის დავის წარმოშობის წინაპირობა.

13.4 კლიენტის მიერ SMS კოდით დადასტურებული საბანკო ოპერაციის შესრულების შემდეგ, კლიენტს უფლება აქვს მოსთხოვოს ბანკს მის მიერ შესრულებული საბანკო ოპერაცი(ებ)ის ამსახველი, ქაღალდზე დაბეჭდილი ინფორმაციის (საგადახდო დავალების) ასლის მისთვის გადაცემა.

13.5 ბანკი იძლევა გარანტიას, კლიენტის მიერ SMS კოდით დადასტურებული, საბანკო ოპერაციის ელექტრონული დოკუმენტის (საგადასახადო დავალების) საიმედოდ დაცვის შესახებ.

13.6 კლიენტი თანახმაა, SMS კოდით დადასტურების საფუძველზე, გაეხსნას მეორე და დამატებითი ანგარიშები.

## 14. მომსახურება მობილური ბანკით

14.1 <u>მომსახურების აღწერა</u>

14.1.1 მობილური ბანკით მომსახურება გულისხმობს კლიენტის მიერ ბანკში გამოუცხადებლად მის კუთვნილ მობილური ტელეფონის აპარატში ჩაწერილი (ინსტალირებული) პროგრამული მოდულის/აპლიკაციის (შემდგომში „პროგრამის“) ან მობილურის ინტერნეტბრაუზერში გახსნილი ინტერნეტ-ბანკის მობილური ვერსიის გამოყენებით ბანკის მიერ განსაზღვრული:

14.1.1.1 საბანკო ინფორმაციის მიღებას;

14.1.1.2 სხვადასხვა საბანკო მომსახურებით (სერვისით) სარგებლობისთვის რეგისტრაციას და ცვილებების შეტანას რეგისტრირებულ მონაცემებში);

14.1.1.3 ლიმიტების ფარგლებში სხვადასხვა საბანკო ოპერაციის განხორციელებას;

14.1.1.4 ბანკის მიერ კლიენტისთვის შეთავაზებებული სხვადასხვა საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტის შესახებ ინფორმაციის მიღებას და სურვილისამებრ, შეთავაზებული საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტის მიღებას (დადასტურებას) / საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტთან დაკავშირებული გარიგებ(ებ)ის დადასტურებას/დადებას.

14.1.1.5 QR კოდის საშუალებით საბანკო ოპერაციის განხორციელებას, კერძოდ, ბანკომატიდან თანხის განაღდებას და/ან სავაჭრო/მომსახურების ობიექტ(ებ)ში პროდუქციის/მომსახურების ღირებულების გადახდას

14.1.2 მობილური ბანკით მომსახურების მიღებისთვის კლიენტმა საკუთარი მობილური ტელეფონის აპარატის მეხსიერებაში ბანკის საინფორმაციო მასალაში მითითებული ინტერნეტ-გვერდიდან (ან სხვა აპლიკაციიდან) უნდა გადაწეროს და გააქტიუროს სპეციალური კომპიუტერული პროგრამა (შემდგომში „პროგრამა“), ან მობილურის ბრაუზერიდან შევიდეს ინტერნეტ-ბანკის მობილურ ვერსიაზე.

14.1.3 მობილური ბანკით მომსახურებაზე ვრცელდება ამ ხელშეკრულების პირობები ამ მუხლით დადგენილი გამონაკლისების გათვალისწინებით.

14.1.4 ამ ხელშეკრულების მე-14 მუხლში მოცემული პირობები გამოიყენება კლიენტის უკლებლივ ყველა საბანკო ანგარიშთან მიმართებით.

14.1.5 მობილური ბანკის საშუალებით კლიენტს შეუძლია განახორციელოს სხვადასხვა საბანკო ოპერაცია ან/და ქმედება (მათ შორის საკრედიტო პროდუქტის მიღება (დადასტურება) საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტთან დაკავშირებული გარიგებ(ებ)ის დადება), ამ ხელშეკრულებაში მოცემული და ოპერაციის/ქმედების განხორციელების დროისთვის, ბანკის მიერ დადგენილი წესების, მოთხოვნებისა და პირობების შესაბამისად.

14.1.6 მობილური ბანკის საშუალებით საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტის მისაღებად (დასადასტურებლად)/ საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტთან დაკავშირებული გარიგებ(ებ)ის დასადებად (გასაფორმებლად) ბანკი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ, დააწესოს რიგი მექანიზმები (მოთხოვნები/წესები), რომელთა შეუსრულებლობის შემთხვევაში, კლიენტი ვერ მოახდენს შეთავაზებული საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტის მიღებას (დადასტურებას) / საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტთან დაკავშირებული გარიგებ(ებ)ის დადებას.

14.2 **<u>კლიენტის იდენტიფიკაცია</u>**

14.2.1 კლიენტი საბანკო მომსახურებით (სერვისით) სარგებლობისთვის რეგისტრაციას/ავტორიზაციას ახორციელებს ამ ხელშეკრულების 9.1.6 ქვეპუნქტში აღნიშნული კოდის ან ინტერნეტ-ბანკის მომხმარებლის სახელისა და პაროლის გამოყენებით.

14.2.2 ამ ხელშეკრულების 9.1.6 ქვეპუნქტში აღნიშნული კოდის პირველივე გამოყენების შემდეგ კლიენტი ვალდებულია შეცვალოს ის ახალი პაროლით მობილური ბანკით სარგებლობისთვის (შემდგომში „პაროლი“).

14.2.3 კლიენტი ვალდებულია დაიცვას მის მიერ შექმნილი პაროლის კონფიდენციალობა და არ დაუშვას მისი მოხვედრა მესამე პირის განკარგულებაში.

14.2.4 მისი კუთვნილი მობილური ტელეფონის აპარატის სხვა პირისთვის გადაცემის წინ, კლიენტი ვალდებულია წაშალოს მობილური ტელეფონის აპარატის მეხსიერებაში ჩაწერილი პროგრამა.

14.2.5 კოდის გამჟღავნების ან მობილური ტელეფონის დაკარგვის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს ბანკს ამის შესახებ.

14.2.6 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მიზეზით სატელეფონო კოდი ან პაროლი ცნობილი გახდა მესამე პირისთვის, ბანკი თავისუფლდება ყოველგვარი პასუხიმგებლობისაგან ამით გამოწვეულ შედეგებზე.

14.2.7 ბანკი ვალდებულია კლიენტის მიერ კოდის ან მომხმარებლის სახელისა და პაროლის გამჟღავნების ან ტელეფონის დაკარგვის თაობაზე ზეპირი (ტელეფონით), წერილობითი, ან ინტერნეტ-ბანკის მეშვეობით შეტყობინების საფუძველზე უზრუნველყოს კლიენტის ანგარიშებზე მობილური ბანკით მომსახურების შეჩერება კლიენტის მხრიდან ახალი დავალების მიღებამდე. ზეპირი შეტყობინების შემთხვევაში კლიენტის იდენტიფიკაცია მოხდება ბანკის მიერ წინასწარ განსაზღვრულ კითხვების (როგორც პერსონალური მნიშვნელობის, ასევე დაკავშირებული კლიენტის პროდუქტებთან/ოპერაციებთან) მეშვეობით.

14.2.8 კლიენტის მიერ ბანკში ახალი ანგარიშის გახსნისას მობილური ბანკით მომსახურება განხორციელდება კლიენტის მიერ ამ ხელშეკრულების 14.2.2 ქვეპუნქტის შესაბამისად შექმნილი პაროლის ან ინტერნეტ-ბანკის მომხმარებლის სახელისა და პაროლის გამოყენებით. ამ შემთხვევაში ბანკსა და კლიენტს შორის არ გაფორმდება ახალი ხელშეკრულება და ახალ ანგარიშზე გავრცელდება ამ ხელშეკრულების პირობები.

14.3 **<u>კლიენტის განცხადებები, დავალებები და თანხმობები</u>**

14.3.1 კლიენტი წინასწარ აცხადებს, რომ მხოლოდ შესაბამისი ელექტრონული სერვისების პირობების დეტალურად შესწავლის შემდეგ დარეგისტრირდება ამ სერვისების მომხმარებლად და რომ ამ ხელშეკრულების 9.1.6 ქვეპუნქტში დასახელებული კოდით, ინტერნეტ-ბანკის მომხმარებლის სახელითა და პარლოლით ან ამ ხელშეკრულების 14.2.2 ქვეპუნქტის შესაბამისად მის მიერ შექმნილი პაროლის გამოყენებით რეგისტრაციის ნების გამოხატვა პროგრამის მეშვეობით ჩაითვლება მის თანხმობად იმ სერვისის პირობებზე, რომლის მომხმარებლადაც დარეგისტრირდება კლიენტი.

14.3.2 ამ ხელშეკრულებით კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ მობილური ბანკის მეშვეობით დაფიქსირებული მისი ნებისმიერი მოთხოვნა (დავალება) საბანკო ინფორმაციის მიღების, სერვისით სარგებლობისთვის რეგისტრაციის, რეგისტრირებულ მონაცემებში (მათ შორის საკონტაქტო მონაცემებში) ცვლილებების შეტანის ან ოპერაციის განხორციელების შესახებ, ისევე როგორც, მობილური ბანკის საშუალებით გაფორმებული ნებისმიერი გარიგება და/ან გარიგების გაფორმების მიზნებისთვის

განხორციელებული ნებისმიერი სახის კომუნიკაცია/ქმედება, დაფიქსირდეს ბანკის მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში და დავის შემთხვევაში ასეთ ჩანაწერს ჰქონდეს მტკიცებულებითი ძალა (გამოყენებული იქნეს მტკიცებულებად). მხარეთა შეთანხმებით ასეთი ჩანაწერები/ინფორმაცია მიიჩნევა ბანკის საკუთრებად.

14.3.3 კლიენტი მის მიერ მობილური ბანკით განხორციელებული კომუნალური გადახდებისას ვალდებულია დაიცვას აბონენტის ნომრის ჩაწერის ფორმატი, წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია გააუქმოს ტრანზაქცია და დააბრუნოს გადახდილი თანხა კლიენტის ანგარიშზე.

14.3.4 კლიენტი აცნობიერებს და ადასტურებს, რომ მობილური ბანკის საშუალებით ბანკისთვის გაგზავნილ ნებისმიერ შეტყობინებას/დავალებას (მათ შორის საგადახდო დავალებას), ნებისმიერ განაცხადს/მოთხოვნას/დასტურს (მათ შორის ანგარიშის გახსნის/დახურვის ან/და კრედიტის წინსწრებით დაფარვის, რეგისტრირებული მომსახურების/პროდუქტების გაუქმების ან/და მათში ცვლილებების შეტანის, ბანკის მიერ შეთავაზებული საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტის მიღების (დადასტურების), კლიენტის მონაცემებში ცვლილების შეტანის შესახებ და სხვა ნებისმიერ განაცხადს/მოთხოვნას/დასტურს) ბანკსა და კლიენტს შორის მობილური ბანკის საშუალებით გაფორმებულ/დადასტურებულ ნებისმიერ გარიგებას (მათ შორის საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებულ ნებისმიერ გარიგებას), აქვს ანგარიშის განკარგვაზე უფლებამოსილი პირის მიერ დადასტურებული (წერილობითი ფორმით შესრულებული), ქაღალდზე დაბეჭდილი და ხელმოწერილი საბუთის ტოლფასი იურიდიული ძალა.

14.3.5 ბანკი პასუხს არ აგებს მობილური ბანკის მეშვეობით კლიენტისთვის გაგზავნილი შეტყობინების/გარიგების, ნებისმიერი ინფორმაციის, ამ ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტაციის სხვა პირის მიერ მიღებით გამოწვეულ შედეგ(ებ)ზე.

14.3.6 ბანკი პასუხს არ აგებს მობილური ბანკის გამოყენებით კლიენტის ნაცვლად სხვა პირის მიერ გამოგზავნილი შეტყობინების/გარიგების, ნებისმიერი ინფორმაციის ან ამ ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტაციის ბანკის მიერ მიღებით და შესაბამისად ქმედების განხორციელებით/ქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავებით გამოწვეულ შედეგ(ებ)ზე.

14.3.7 კლიენტი ვალდებულია, ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოს მობილური ბანკის მეშვეობით გაფორმებული / დადასტურებული გარიგების (მათ შორის საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული გარიგების) ბანკისთვის მისაღები ფორმით/საშუალებით მიწოდება, მატერიალური/ხელმოწერილი სახით.

## 15. მომსახურება ანაბრით

15.1 <u>მომსახურების აღწერა</u>

15.1.1 ანაბრით მომსახურება გულისხმობს კლიენტის (შემდგომში "მეანაბრის") განაცხადის საფუძველზე ბანკის მიერ მეანაბრისთვის საანაბრო ანგარიშის გახსნას და ანგარიშზე რიცხული თანხისთვის საპროცენტო სარგებლის დარიცხვას.

15.1.2 მეანაბრეს შეუძლია ისარგებლოს ვადიანი და მოთხოვნამდე ანაბრებით და მათი სახესხვაობებით (მოდიფიკაციებით).

15.1.3 ანაბრით მომსახურების მისაღებად მეანაბრეს აუცილებლად უნდა ჰქონდეს საანგარიშსწორებო (მიმდინარე, საბარათე, სარეალიზაციო ან სხვა მსგავსი) ანგარიში.

15.1.4 კლიენტის თანხმობის შემთხვევაში, ანაბრის შეწყვეტის განაცხადი შესაძლებელია დადასტურდეს კლიენტის მიერ SMS კოდით დადასტურების ფუნქციონალის საშუალებით, რომელსაც გააჩნია წერილობითი ფორმით შესრულებული, ქაღალდზე დაბეჭდილი, კლიენტის მიერ ხელმოწერით დადასტურებული საბუთის ტოლფასი იურიდიული ძალა.

15.2 <u>ანაბრისთვის საპროცენტო სარგებლის დარიცხვა</u>

15.2.1 ანაბარისთვის საპროცენტო სარგებლის დარიცხვა ხდება წელიწადში 365 დღეზე გადაანგარიშებით მხარეთა მიერ ყოველ კონკრეტულ ანაბართან დაკავშირებით ხელმოწერილი ანაბრის ხელშეკრულებისა და ბანკის მიერ გავრცელებული საინფორმაციო მასალის (მათ შორის ბუკლეტები, ბროშურები, ბანკის ინტერნეტ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია და სხვა) შესაბამისად.

15.2.2 ანაბრისთვის დასარიცხი საპროცენტო სარგებლის გამოანგარიშება იწყება თანხის ანგარიშზე შეტანის ან ჩარიცხვის დღის მომდევნო სამუშაო დღიდან.

15.3 <u>ბანკის ვალდებულებები და უფლებები</u>

15.3.1 <u>ბანკი ვალდებულია:</u>

15.3.1.1 მიიღოს ანაბარი და დაარიცხოს მას საპროცენტო სარგებელი ამ ხელშეკრულების შესაბამისად;

15.3.1.2 ანაბრის ვადის გასვლის ან მეანაბრის მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარული დღისა (ანაბრის ტიპის შესაბამისად) ანაბრის თანხა და დარიცხული სარგებელი გადასცეს მეანაბრეს იმავე ვალუტაში.

15.3.2 <u>ბანკი უფლებამოსილია:</u>

15.3.2.1 განკარგოს საანაბრო ანგარიშზე რიცხული თანხა საკუთარი სახელითა და შეხედულებისამებრ;

15.3.2.2 კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოდენობითა და პერიოდულობით ბიუჯეტის სასარგებლოდ გადარიცხოს საშემოსავალო გადასახადი ანაბარზე დარიცხული საპროცენტო სარგებლისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

15.3.2.3 კანონმდებლობის ან ბანკთან დადებული ნებისმიერი ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებების შესრულების მიზნით, მეანაბრის შემდგომი თანხმობის ან ნებართვის გარეშე, ასეთი ვალდებულების წარმოშობის შემდეგ ნებისმიერ დროს უაქცეპტო წესით ჩამოწეროს თანხები მეანაბრის ნებისმიერი საანაბრო ანგარიშიდან ან/და დახუროს (შეწყვიტოს) ანაბარი;

15.3.2.4 კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე გაუხსნას კლიენტს საანგარიშსწორებო (მიმდინარე, საბარათე, სარეალიზაციო და სხვა მსგავსი) ან/და მოთხოვნამდე ანაბრის სადეპოზიტო ანგარიში ნებისმიერ ვალუტაში იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ კლიენტს არ აქვს ასეთი ანგარიში ან/და საჭიროა ასეთი ანგარიშის დამატებით გახსნა (ამ შემთხვევაში ეს ხელშეკრულება ან/და კლიენტის მიერ ხელმოწერილი ნებისმიერი განაცხადი, რომლითაც ის უერთდება ამ ხელშეკრულებას ჩაითვლება კლიენტის განაცხადად საანგარისშწორებო (მიმდინარე, საბარათე, სარეალიზაციო და სხვა მსგავსი) ან/და მოთხოვნამდე ანაბრის სადეპოზიტო ანგარიშის გახსნის შესახებ);

15.3.2.5 კლიენტის საანგარიშსწორებო (მიმდინარე, საბარათე, სარეალიზაციო და სხვა) ან/და მოთხოვნამდე ანაბრის ანგარიშზე ანაბრის გახსნის ან/და ანაბრისთვის თანხის დამატების დანიშნულებით შეტანილი ან/და ჩარიცხული თანხა ავტომატურად (მეანაბრის დამატებითი თანხმობის გარეშე) გადარიცხოს მეანაბრის ან/და თანხის შეტანის/ჩარიცხვის საბუთში მითითებული ნებისმიერი პირის საანაბრო (სადეპოზიტო) ანგარიშზე;

15.3.2.6 კლიენტის ვადიანი ანაბრის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის დანიშნულებით მიღებული თანხა (იმ შემთხვევაში, თუ ჩარიცხვის საბუთში მითითებულია საანაბრო ანგარიშის ნომერი) თავდაპირველად ჩარიცხოს კლიენტის მიმდინარე (საანგარიშსწორებო) ან/და მოთხოვნამდე ანაბრის ანგარიშზე და შემდეგ გადარიცხოს კლიენტის საანაბრო ანგარიშზე ამ ხელშეკრულების 3.2 პუნქტის გათვალისწინებით.

15.4 <u>**ვადიანი ("ვადიანი", "ჩემი მიზანი", "საბავშვო") ანაბრის განსაკუთრებული პირობები**</u>

15.4.1 ვადიანი ანაბრის შემთხვევაში საპროცენტო სარგებელი დაერიცხება საანაბრო ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

15.4.2 ვადიანი ანაბრისთვის დარიცხული საპროცენტო სარგებელი მეანაბრის მიერ მითითებულ ანგარიშზე ჩაირიცხება წინასწარ, ყოველთვიურად ან ანაბრის ვადის გასვლის (ამოწურვის) შემდეგ მეანაბრესა და ბანკს შორის გაფორმებული ანაბრის ხელშეკრულების შესაბამისად.

15.4.3 იმ შემთხვევაში, თუ მეანაბრე აირჩევს საპროცენტო სარგებლის ყოველთვიურად ჩარიცხვას, დარიცხული სარგებლის ჩარიცხვა მეანაბრის მიერ მითითებულ ანგარიშზე მოხდება ყოველი თვის იმ რიცხვში, რომელშიც გაიხსნა ანაბარი.

15.4.4 იმ შემთხვევაში, თუ მეანაბრის განაცხადში აღნიშნული თანხა ანგარიშზე არ იქნება შეტანილი ან ჩარიცხული განაცხადის გაკეთებიდან ერთი დღის ვადაში, ბანკისა და მეანაბრის შეთანხმება (ხელშეკრულება) ანაბრის გახსნის შესახებ ჩაითვლება ავტომატურად გაუქმებულად.

15.4.5 იმ შემთხვევაში, თუ მეანაბრე ანაბრის ვადის გასვლამდე მოითხოვს მისთვის ანაბრის დაბრუნებას, ანაბრისთვის სარგებლის დარიცხვა მოხდება ბანკის მიერ განსაზღვრული, განსხვავებული (შემცირებული) საპროცენტო განაკვეთის მიხედვით.

15.4.6 ამ ხელშეკრულების 15.4.5 ქვეპუნქტში აღწერილ შემთხვევაში მეანაბრე ვალდებული იქნება გადაუხადოს ბანკს პირგასამტეხლო, რომელიც ტოლი იქნება სხვაობისა ანაბარზე სტანდარტულად დასარიცხ და ამ ხელშეკრულების 15.4.5 ქვეპუნქტის შესაბამისად დარიცხულ საპროცენტო სარგებლის ოდენობებს შორის.

15.4.7 ანაბრის ვადის გასვლის შემდეგ ანაბრის ვადა ავტომატურად გაგრძელდება ანაბრის ხელშეკრულებაში მითითებული ვადით მხარეთა შეთანხმების არსებობის შემთხვევაში. ანაბრის ვადის ავტომატური გაგრძელებისას (პროლონგაციისას) ყოველი ახალი ანაბრის გახსნის თარიღი დაემთხვევა წინა ანაბრის ვადის გასვლის თარიღს, ხოლო საპროცენტო სარგებელი საშემოსავლო გადასახადის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდის შემდეგ დაემატება ანაბრის ძირითად თანხას (მოხდება კაპიტალიზაცია) ან ჩაირიცხება მეანაბრის სხვა ანგარიშზე მეანაბრის სურვილის შემთხვევაში. ანაბრის ვადის ავტომატურად გაგრძელების შეთხვევაში ანაბარზე გავრცელდება ბანკის მიერ ვადის გაგრძელების დროს ამ სახის ანაბრისთვის დადგენილი პირობები. წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული პირობები არ ვრცელდება ანაბრის ხელშეკრულებაზე/ებზე, თუ ამ პუნქტით გათვალისწინებული საკითხ(ებ)ი ანაბრის ავტომატურად გაგრძელებასთან დაკავშირებით რეგულირებულია ანაბრის ხელშეკრულებ(ებ)ით.

15.4.8 ბანკს უფლება აქვს ანაბრის ვადის გასვლის შესახებ მეანაბრეს აცნობოს მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) მეშვეობით (ხელშეკრულების 13.2.4.2 ქვეპუნქტის შესაბამისად) ან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ფორმით. მეანაბრეს შეტყობინება გაეგზავნება მის მიერ ანაბრის გახსნის მომენტში ბანკისთვის წარდგენილ განაცხადში დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე. კლიენტი ვალდებულია შეატყობინოს ბანკს ამ ნომრის შეცვლის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი პასუხს არ აგებს დამდგარ შედეგებზე.

15.4.9 "საბავშვო" ანაბრის საპროცენტო სარგებლის განაკვეთი ფიქსირებულია ანაბრის გახსნიდან (ხელშეკრულების გაფორმებიდან) ერთი წლის განმავლობაში. ანაბრის გახსნიდან (ხელშეკრულების გაფორმებიდან) ერთი წლის გასვლისთანავე, ანაბრის საპროცენტო სარგებლის განაკვეთი შეიცვლება იმ მომენტისთვის ბანკის მიერ "საბავშვო" ანაბრისთვის დადგენილი (ბანკში მოქმედი სტანდარტული) საპროცენტო სარგებლის განაკვეთების შესაბამისად. ანაბრის საპროცენტო განაკვეთის ცვლილების წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული წესი მოქმედებს ანაბრის გახსნიდან (ხელშეკრულების გაფორმებიდან) ყოველი მომდევნო ერთი წლის გასვლისას (ანაბრის მოქმედების პერიოდში ყოველწლიურად).

15.5 <u>**მოთხოვნამდე ანაბრის განსაკუთრებული პირობები**</u>

15.5.1 შემნახველი ანაბრის შემთხვევაში საპროცენტო სარგებელი დაერიცხება ყოველი საოპერაციო დღის ბოლოს საანაბრო ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

15.5.2 ანაბრის "ჩემი სეიფი" შემთხვევაში საპროცენტო სარგებელი დაერიცხება კალენდარული თვის პირველი რიცხვიდან იმავე თვის ბოლო რიცხვის ჩათვლით პერიოდში ყოველი საოპერაციო დღის ბოლოს საანაბრო ანგარიშზე დაფიქსირებულ ნაშთებს შორის უმცირესს.

15.5.3 მოთხოვნამდე ანაბრისთვის (შემნახველი ანაბრისთვის და ანაბრისთვის "ჩემი სეიფი") დარიცხული საპროცენტო სარგებელი მეანაბრის მიერ მითითებულ ანგარიშზე ჩაირიცხება თვეში ერთხელ, ყოველი კალენდარული თვის ბოლო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ კალენდარული თვის ბოლო დღე დაემთხვევა დასვენების ან უქმე დღეს, საპროცენტო სარგებლის ჩარიცხვა მოხდება მომდევნო სამუშაო დღეს.

15.5.4 მოთხოვნამდე ანაბრის საანაბრო ანგარიშზე თანხის შეტანა/ჩარიცხვა და ამ ანგარიშიდან თანხის გატანა/გადარიცხვა (მხოლოდ მეანაბრის ანგარიშებზე) შეუზღუდავია.

15.5.5 ბანკი უფლებამოსილია, ცალმხრივად შეცვალოს მოთხოვნამდე ანაბრის საპროცენტო სარგებლის დარიცხვის მეთოდი და/ან საპროცენტო სარგებლის ოდენობა, რის შესახებაც ბანკი მეანაბრის ინფორმირებას უზრუნველყოფს ცვლილებამდე 2 (ორი) თვით ადრე მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნით.

## 16. საკრედიტო პროდუქტების ზოგადი პირობები

16.1 ამ ხელშეკრულების საფუძველზე კლიენტს/ბარათის მფლობელს შეუძლია ისარგებლოს სხვადასხვა საკრედიტო პროდუქტით.

16.1.1 ამ ხელშეკრულების და კონკრეტული საკრედიტო პროდუქტის ხელშეკრულების საფუძველზე ბანკს წარმოეშობა მხოლოდ უფლება (და ის არ არის ვალდებული) გასცეს კრედიტი (სრულად ან მისი ნებისმიერი ნაწილი) ან მოემსახუროს კლიენტს რომელიმე საკრედიტო პროდუქტით.

16.1.2 საკრედიტო პროდუქტ(ებ)ის (მათ შორის საკრედიტო პროდუქტის თითოეული ტრანშის) გასაცემად საჭიროა შესაბამისი წინაპირობ(ებ)ის / მოთხოვნ(ებ)ის (ასეთ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში) კლიენტის მიერ შესრულება / დაკმაყოფილება (მიუხედავად იმისა, ხსენებული წინაპირობა/ები / მოთხოვნა/ები პირდაპირ გათვალისწინებული არის თუ არა მხარეთა შორის დადებული კონკრეტული საკრედიტო პროდუქტის ხელშეკრულებით) და მხარეთა და/ან მათ წარმომადგენელთა დამატებითი, სულ მცირე, ზეპირი შეთანხმება.

16.1.3 წინამდებარე (16.1.1 – 16.1.2) ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი გარემოებებიდან გამომდინარე, ბანკს უფლება აქვს საკუთარი შეხედულებისამებრ არ გასცეს საკრედიტო პროდუქტ(ებ)ი / შეწყვიტოს საკრედიტო პროდუქტ(ებ)ის ნებისმიერი ტრანშის გაცემა კლიენტისთვის მიზეზის განმარტების გარეშე (მათ შორის იმ შემთხვევაშიც, თუ მხარეთა შორის გაფორმებულია კონკრეტული საკრედიტო პროდუქტის ხელშეკრულება).

16.2 ამ მუხლით განისაზღვრება საკრედიტო პროდუქტების ზოგადი პირობები, ხოლო კონკრეტული პირობები განისაზღვრება და რეგულირდება მხარეთა შორის გაფორმებული შესაბამისი საკრედიტო პროდუქტის ხელშეკრულებით. სხვა ტიპის საკრედიტო პროდუქტები, როგორც წესი, გაიცემა ბანკსა და კლიენტს შორის დადებული საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, რაც არ გამორიცხავს რომელიმე საკრედიტო პროდუქტის გაცემას პირდაპირ ამ ხელშეკრულების საფუძველზე.

16.3 საკრედიტო პროდუქტის მისაღებად კლიენტმა ბანკს უნდა მიმართოს განაცხადით (ზოგიერთი პროდუქტის მიღება დასაშვებია კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით (ტელეფონით, ინტერნეტით, ელექტრონული ფოსტით და ა.შ.) გაკეთებული განაცხადის საფუძველზე). ბანკი განიხილავს კლიენტის განაცხადს და მიიღებს გადაწყვეტილებას საკრედიტო პროდუქტის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ (ბანკი არ არის ვალდებული განმარტოს უარის თქმის მიზეზი).

16.3.1 კლიენტი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს ბანკის ნებისმიერი დისტანციური არხის / კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით, დააფიქსიროს მოთხოვნა კლიენტსა და ბანკს შორის გაფორმებული საკრედიტო პროდუქტის ხელშეკრულების (მათ შორის დისტანციური არხების საშუალებით მიღებული საკრედიტო პროდუქტის ხელშეკრულების) ასლის გადაცემასთან დაკავშირებით, ხოლო ამ უკანასკნელის მისაღებად, უნდა გამოცხადდეს ბანკის ფილიალში/სერვისცენტრში.

16.4 საკრედიტო პროდუქტის მიღების შემდეგ კლიენტი (მსესხებელი) ვალდებული იქნება დააბრუნოს ის და გადაიხადოს საპროცენტო სარგებელი ბანკთან შეთანხმებული პირობების შესაბამისად.

16.4.1 საპროცენტო სარგებელი ერიცხება კლიენტის ფაქტობრივ დავალიანებას ბანკის მიმართ და იანგარიშება პროდუქტით ფაქტობრივად სარგებლობის დღეების შესაბამისად 365 დღეზე გაანგარიშებით.

16.5 კლიენტის ფულადი ვალდებულები, როგორ წესი, სრულდება მის ანგარიშ(ებ)ზე აკუმულირებული თანხებით.

16.6 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს არ აქვს საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში, საკრედიტო პროდუქტის მიღების შესახებ განაცხადი იმავდროულად ჩაითვლება განაცხადად საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიშის გახსნის შესახებ და საკრედიტო პროდუქტის გაცემამდე გაიხსნება კლიენტის საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში.

16.7 კლიენტის/ბარათის მფლობელის მიერ საკრედიტო პროდუქტის დასაფარავად ბანკისთვის გადაცემული ან ბარათის მფლობელის/კლიენტის ანგარიშზე არსებული თანხით პირველ რიგში დაიფარება სადაზღვევო პრემია, შემდეგ პირგასამტეხლო ვადაგადაცილებისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ საპროცენტო სარგებელი და ბოლოს კრედიტის ძირითადი თანხა. კლიენტი ბანკს უფლებას ანიჭებს:

16.7.1 შეცვალოს ამ ხელშეკრულების 16.7 პუნქტში მოცემული წესი.

16.8 ყოველთვიურად გადასახდელი თანხის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში კლიენტი/ბარათის მფლობელი ვალდებული იქნება გადაუხადოს ბანკს პირგასამტეხლო ვადაგადაცილებისთვის, რომელიც შესაძლებელია შედგებოდეს ფიქსირებული პირგასამტეხლოსა და ყოველდღიური პირგასამტეხლოსგან და რომელთა ოდენობაც განისაზღვრება ვადაგადაცილების წარმოშობის მომენტში ბანკის მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად.

16.9 საკრედიტო პროდუქტს არ დაერიცხება პირგასამტეხლო, თუ თანხის შეტანის (გადახდის) თარიღი დაემთხვევა არასაბანკო დღეს. ამ შემთხვევაში კლიენტი ვალდებული იქნება გადასახდელი თანხა შესაბამის ანგარიშზე შეიტანოს (გადაიხადოს) მომდევნო საბანკო დღეს.

16.10 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი/ბარათის მფლობელი ბანკთან შეთანხმებულ ვადაში არ დაფარავს საკრედიტო პროდუქტის ათვისების გზით მის მიერ ბანკისგან მიღებულ კრედიტს, მისთვის დარიცხულ სარგებელს, პირგასამტეხლოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სადაზღვევო პრემიას ან დროულად არ გადაიხდის ბანკის მიერ განსაზღვრულ რომელიმე საკომისიოს, ბანკს უფლება ექნება:

16.10.1 საკუთარი მოთხოვნა დაიკმაყოფილოს კლიენტის/ბარათის მფლობელის საბანკო ანგარიშების დაყადაღებით და/ან ნებისმიერი აქტივის რეალიზაციის ხარჯზე (ეს უფლება არ ზღუდავს ბანკის მიერ ამ ხელშეკრულების 3.2 პუნქტის საფუძველზე წარმოშობილი უფლების გამოყენებას), მიუხედავად იმისა უზრუნველყოფილია თუ არა კლიენტის ვალდებულება (ბანკის მოთხოვნა) სანივთო უფლებით (იპოთეკით, გირავნობით). ამასთან, ბანკი უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ, გადახდა/აღსრულება პირველ რიგში მიაქციოს კლიენტის იმ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე, რომელიც არ წარმოადგენს კლიენტის ვალდებულებების უზრუნველყოფის საგანს;

16.10.2 ნებისმიერ დროს მოსთხოვოს კლიენტს/ბარათის მფლობელს საკრედიტო ლიმიტის ათვისებით წარმოშობილი დავალიანების დაფარვის უზრუნველსაყოფად მასთან იპოთეკის ან გირავნობის ხელშეკრულების დადება (ამ შემთხვევაში კლიენტი/ბარათის მფლობელი ვალდებული იქნება ბანკის მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა ბანკთან გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება, რომლითაც იპოთეკით დატვირთავს ან დააგირავებს ბანკისთვის მისაღებ ქონებას, რომლის ღირებულებაც არ უნდა იყოს ათვისებული საკრედიტო პროდუქტის, მისთვის დარიცხული სარგებლისა და პირგასამტეხლოს ჯამზე ნაკლები და უზრუნველყოს ბანკის უფლებების რეგისტრაცია შესაბამის რეესტრში. ხელშეკრულებ(ებ)ის გაფორმებისა და

მათ საფუძველზე წარმოშობილი უფლებების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ხარჯებს გაიღებს კლიენტი/ბარათის მფლობელი);

16.10.3 მოითხოვოს გირავნობის ან/და იპოთეკის საგნის მისთვის გადაცემა და ნივთის მისთვის გადაცემის შემდეგ პირდაპირი მიყიდვის ან სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა წესით გაასხვისოს გირავნობის ან/და იპოთეკის საგანი და რეალიზაციისთვის საჭირო ხარჯების დაფარვის შემდეგ მიღებული თანხა მიმართოს კრედიტის დასაფარავად. თუკი გირავნობის ან/და იპოთეკის საგნის გაყიდვით მიღებული თანხა სრულად არ დაფარავს მსესხებლის დავალიანებას, ბანკს უფლება ექნება აღსრულება მიაქციოს კლიენტის/მსესხებლის ნებისმიერ ქონებაზე (კლიენტის კუთვნილ ნებისმიერ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე).

16.11 კლიენტის/მსესხებლის მიერ ყოველთვიურად გადასახდელი თანხის, საპროცენტო სარგებლის, პირგასამტეხლოს ან სადაზღვევო პრემიის დროულად გადაუხდელობის ან სხვა მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში ბანკს უფლება ექნება ცალმხრივად შეწყვიტოს საკრედიტო ურთიერთობა ან/და შესაბამისი ხელშეკრულების მოქმედება და მოსთხოვოს კლიენტს/მსესხებელს საკრედიტო პროდუქტის დაბრუნება მისთვის დარიცხულ გადასახდელებთან (საპროცენტო სარგებელი, პირგასამტეხლო და სხვა) ერთად.

16.12 საბანკო კრედიტის, სესხის, ოვერდრაფტის, საკრედიტო ლიმიტის ან/და კლიენტთან/მსესხებელთან დადებული ნებისმიერი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი საკრედიტო პროდუქტის (ამ ხელშეკრულების 16.12-16.17 პუნქტების მიზნებისთვის შემდგომში "კრედიტის") დაფარვის გრაფიკით გათვალისწინებული გადახდების ვადაზე ადრე განხორციელების მოთხოვნის დაფიქსირება (მათ შორის კრედიტის წინსწრებით სრულად ან ნაწილობრივ დაბრუნება ან/და რეფინანსირება) ან/და გაუქმება, უნდა განხორციელდეს კლიენტის/მსესხებლის მიერ ბანკისათვის წერილობითი (მატერიალური ან ელექტრონული) განაცხადის (მოთხოვნის) წარდგენის გზით. კლიენტის/მსესხებლის განაცხადის (მოთხოვნის) შესრულებას (კლიენტის/მსესხებლის ანგარიშ(ებ)ზე საკმარისი სახსრების არსებობისას) ბანკი უზრუნველყოფს განაცხადის (მოთხოვნის) მიღების დღეს ან მომდევნო სამუშაო დღეს, თუ კლიენტის/მსესხებლის მიერ განაცხადის (მოთხოვნის) დაფიქსირება განხორციელდა არასამუშაო საათებში. მიუხედავად ზემოხსენებულისა, ბანკი უფლებამოსილია სხვადასხვა (მათ შორის ტექნიკური) მიზეზიდან გამომდინარე და/ან სხვადასხვა ფაქტის დადგენის მიზნით, კლიენტის/მსესხებლის განაცხადი (მოთხოვნა) შეასრულოს მისი მიღებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში. კლიენტის/მსესხებლის განაცხადის (მოთხოვნის) მიღებიდან და კლიენტის/მსესხებლის ანგარიშ(ებ)ზე საკმარისი სახსრების არსებობისას, კრედიტის ვადაზე ადრე (სრულად ან ნაწილობრივ) დაფარვამდე პერიოდში, კრედიტს არ დაერიცხება პროცენტი. ამასთან, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, კრედიტის (რომლის თანხა აღემატება 2 000 000 ლარს ან მის ეკვივალენტს უცხოურ ვალუტაში) წინსწრებით სრულად ან ნაწილობრივ დაფარვისას, კლიენტი/მსესხებელი ვალდებულია ბანკს შესაბამისი განცხადებით (მოთხოვნით) მიმართოს სავარაუდო გადახდის თარიღამდე 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე და ამ შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია კრედიტის ვადაზე ადრე (სრულად ან ნაწილობრივ) დაფარვამდე პერიოდში, კრედიტს დაარიცხოს პროცენტი.

16.13 კრედიტის ნაწილის წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში, ბანკს უფლება ექნება ცალმხრივად შეცვალოს კრედიტის დაფარვის გრაფიკი (შეადგინოს ახალი გრაფიკი) და ამ შემთხვევაში მსესხებელი ვალდებული იქნება კრედიტი დაფაროს ბანკის მიერ შედგენილი ახალი გრაფიკის მიხედვით. ახალი გრაფიკი შედგება ერთ-ერთი შემდეგი პრინციპით: 1) გადასახდელი თანხა (ნარჩენი ძირითადი თანხა (კრედიტის ნაშთი)) თანაბრად გადანაწილდება კრედიტის სრულად დაფარვამდე დარჩენილ ვადაზე; ან 2) შემცირდება კრედიტის სრულად დაფარვამდე დარჩენილი ვადა, ხოლო გრაფიკით გათვალისწინებული პერიოდულობით გადასახდელი თანხა უცვლელი დარჩება.

16.14 კრედიტის წინსწრებით დაფარვის შესახებ განცხადების ბანკისთვის წარდგენის შემთხვევაში, კლიენტი/მსესხებელი ვალდებული იქნება წარუდგინოს ბანკს ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტი, რომელიც პირდაპირ ან ირიბად იძლევა კრედიტის რეფინანსირების ფაქტის დადგენის შესაძლებლობას ან უარყოფს კრედიტის რეფინანსირების ფაქტს.

16.15 იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი კრედიტის პირობებით გათვალისწინებულია რეფინანსირების საკომისიო და ბანკს გაუჩნდება ეჭვი, რომ ხდება რეფინანსირება, ბანკს უფლება ექნება კრედიტის წინასწრებით დაფარვის შესახებ კლიენტის/მსესხებლის განცხადების მიღების შემდეგ ნებისმიერ დროს დამატებით მოსთხოვოს კლიენტს/მსესხებელს კრედიტის რეფინანსირებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის/დოკუმენტის მისთვის წარდგენა მოთხოვნიდან არაუგვიანეს 2 (ორი) საბანკო დღისა.

16.16 კრედიტის რეფინანსირებად ჩაითვლება ნებისმიერი ფინანსური ინსტიტუტის (კომერციული ბანკის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, საკრედიტო კავშირის ან/და სხვა პირის) მიერ პირდაპირ ან/და ირიბად, უშუალოდ ან/და სხვა პირ(ებ)ის მეშვეობით გაცემული თანხით სს "თიბისი ბანკისგან" მიღებული კრედიტის წინსწრებით (შეთანხმებულ ვადაზე ადრე) დაფარვა პირდაპირ ან/და ირიბად, უშუალოდ ან/და სხვა პირ(ებ)ის მეშვეობით.

16.17 მხარეები თანხმდებიან, რომ:

16.17.1 ბანკი არ არის ვალდებული დაამტკიცოს რეფინანსირების ფაქტი და მას უფლება აქვს, კრედიტის რეფინანსირების შესახებ ინფორმაციის ნებისმიერი წყაროთი მიღების შემთხვევაში მიიღოს გადაწყვეტილება კლიენტისთვის/მსესხებლისთვის შესაბამისი საკომისიოს ან/და პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ, რაც ნიშნავს იმას, რომ რეფინანსირების არარსებობის ფაქტის მტკიცების ვალდებულება ეკისრება კლიენტს/მსესხებელს;

16.17.2 წინსწრებით დაფარვისა და რეფინანსირების საკომისიოს ან/და პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრება კლიენტთან/მსესხებელთან დადებული ხელშეკრულებ(ებით;

16.17.3 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი/მსესხებელი სასამართლოსთვის მიმართვის გზით დაამტკიცებს რეფინანსირების არარსებობის ფაქტს, ბანკი ვალდებული იქნება დაუბრუნოს მას მხოლოდ უაქცეპტო წესით ჩამოწერილი საკომისიო ან/და პირგასამტეხლო, ხოლო კლიენტი/მსესხებელი უარს აცხადებს ბანკის ქმედებებით (ბანკის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევით) მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე.

16.18 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მიერ საკრედიტო პროდუქტით სარგებლობისთვის ბანკი მოითხოვს მისთვის სადაზღვევო პოლისის (ბანკის მიერ განსაზღვრული პირობებით) წარდგენას, კლიენტი/ბარათის მფლობელი ვალდებული იქნება:

16.18.1 დაზღვევა განახორციელოს ბანკისათვის მისაღები სადაზღვევო კომპანიის მეშვეობით, ამ კომპანიის მიერ განსაზღვრული ტარიფების/პირობების შესაბამისად;
16.18.2 დაზღვევა განახორციელოს ბანკის მიერ მოთხოვნილი პირობების დაცვით;
16.18.3 უზრუნველყოს სადაზღვევო პოლისში ერთადერთ ბენეფიციარად/მოსარგებლედ ბანკის დასახელება;
16.18.4 თუ სადაზღვევო პოლისის მოქმედების ვადა ნაკლებია ამ ხელშეკრულების/დამატებითი ხელშეკრულებ(ებ)ის მოქმედების ვადაზე, პოლისის მოქმედების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში წარუდგინოს ბანკს განახლებული სადაზღვევო პოლისი;
16.18.5 გადაიხადოს სადაზღვევო პრემია ან/და მასთან დაკავშირებული სხვა საკომისიო ბანკისათვის მისაღები სადაზღვევო კომპანიის მიერ დადგენილი ოდენობით. ამასთან, სადაზღვევო პრემიის ან/და მასთან დაკავშირებული სხვა საკომისიოს გადახდა წარმოადგენს საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტთან დაკავშირებულ აუცილებელ გადასახდელს და ამ გადასახდელის გადახდის (ან გადახდის ვალდებულების აღების) გარეშე არ მოხდება საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტის გაცემა. სადაზღვევო პრემიის და/ან მასთან დაკავშირებული სხვა საკომისიოს/გადასახდელის ოდენობა განსაზღვრული იქნება შესაბამის ხელშეკრულებით ან/და სადაზღვევო პოლისით.
16.19 იმ შემთხვევაში თუ კლიენტი/ბარათის მფლობელი არ გადაიხდის სადაზღვევო პრემიას / დაზღვევის საკომისიოს ამ ხელშეკრულებით/დამატებითი ხელშეკრულებ(ებ)ით ან/და სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული წესითა და ვადებში დავალიანება ჩაითვლება ვადაგადაცილებულად.
16.20 კლიენტის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე, დაზღვევის უწყვეტობის/განგრძობადობის უზრუნველყოფის და/ან დაზღვევასთან დაკავშირებით კლიენტის ვალდებულების სრულად ან ჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში, მსესხებელი:
16.20.1 წინასწარ აცხადებს თანხმობას ბანკის მოთხოვნით განახორციელოს მზღვეველის ცვლილებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედება, შეწყვიტოს ან განაახლოს მზღვეველთან არსებული სადაზღვევო ურთიერთობა/ხელშეკრულება;
16.20.2 ბანკს ანიჭებს უფლებამოსილებას დაამუშაოს (მათ შორის გასცეს შესაბამისი პერიოდულობით სადაზღვევო კომპანიაზე) კლიენტის პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია სადაზღვევო კომპანიებთან ურთიერთობის მიზნით.
16.21 კლიენტი/ბარათის მფლობელი თანახმაა, რომ ბანკმა ამ ხელშეკრულების 3.2 პუნქტით გათვალისწინებული წესით ყოველთვიურად ჩამოწეროს სადაზღვევო პრემიის თანხა მზღვეველის (სადაზღვევო კომპანიის) სასარგებლოდ კლიენტის/ბარათის მფლობელის ნებისმიერი ანგარიშიდან. სავალუტო ანგარიშ(ებ)იდან თანხის ჩამოწერის შემთხვევაში ეკვივალენტი განისაზღვრება თანხის ჩამოწერის დღისთვის ბანკის მიერ დადგენილი კურსის მიხედვით.
16.22 კლიენტი ბანკს ანიჭებს უპირობო უფლებას, კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე კლიენტის თავდებ(ებ)ს ან/და ნებისმიერ პირს, რომელის ქონებითაც უზრუნველყოფილია კლიენტის ვალდებულებ(ებ)ის შესრულება, მიაწოდოს ინფორმაცია ბანკის მიმართ კლიენტის ვალდებულებ(ებ)ის შესახებ და/ან ამ პუნქტში ჩამოთვლილთაგან ნებისმიერ პირს, მოთხოვნის შემთხვევაში, გადასცეს ბანკსა და კლიენტს შორის გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებ(ებ)ის ასლ(ებ)ი (მათ შორის საბანკო კრედიტის ხელშეკრულება).
16.23 სს "თიბისი ბანკი" (მის: ქ. თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. #7) შეაგროვებს/დაამუშავებს პირის შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება მომხმარებლის გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული მომხმარებლებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები). მომხმარებლის (მათ შორის მონაცემთა სუბიექტი) მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.
16.24 ბანკს უფლება აქვს კრედიტის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ან/და კლიენტის მიერ ბანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულების შესრულების (მათ შორის კრედიტის დაბრუნების) მიზნით მოითხოვოს და მიიღოს კლიენტის შესახებ მესამე პირ(ებ)ის თუ ადმინისტრაციულ ორგანო(ებ)ში არსებული ნებისმიერი სახის პერსონალური ინფორმაცია.
16.25 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი დაარღვევს ბანკთან დადებული რომელიმე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ან ეს საჭირო იქნება ბანკის საქმიანი რეპუტაციის ან/და კანონიერი ინტერესის დასაცავად, ბანკს უფლება ექნება სასამართლოს/არბიტრაჟს/აღსრულების ეროვნულ ბიუროს გადასცეს ან/და გამოიყენოს ინფორმაცია კლიენტის შესახებ ისევე, როგორც კლიენტის მიერ ხელმოწერილი ნებისმიერი დოკუმენტი.
16.26 <u>ბანკს უფლება აქვს:</u>
16.26.1 მის წინაშე წარმოშობილი ნებისმიერი ვალდებულების შესრულების მიზნით, ასეთი ვალდებულების წარმოშობის შემდეგ ნებისმიერ დროს კლიენტის შემდგომი თანხმობის გარეშე (უაქცეპტო წესით) ჩამოწეროს თანხა კლიენტის ნებისმიერი ანგარიშიდან (ვალდებულება/დავალიანება პირველ რიგში დაიფარება იმ ვალუტის ანგარიშ(ებ)იდან, რომელ ვალუტაშიც განსაზღვრულია კლიენტის ვალდებულება/დავალიანება). იმ შემთხვევაში, თუ დავალიანება დაფიქსირებულია ანგარიშზე არსებული თანხის ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში, ეკვივალენტი განისაზღვრება ბანკის მიერ თანხის ჩამოწერის მომენტისათვის დადგენილი კურსით. ამასთან, კლიენტი აცნობიერებს, რომ ბანკი არ არის ვალდებული კლიენტის დავალების გარეშე ჩამოწეროს თანხები კლიენტის ანგარიშ(ებ)იდან კლიენტის რომელიმე ვალდებულების შესრულების მიზნით.
16.26.2 კლიენტის მიერ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის, შსს მომსახურების სააგენტოსთვის ან/და სხვა ადმინისტრაციული ორგანოსთვის გადასახდელი მომსახურების საფასური ან/და კრედიტის გაცემასთან დაკავშირებული სხვა სახის გადასახდელი (მათ შორის სადაზღვევო პრემია) კლიენტის შემდგომი თანხმობის გარეშე (უაქცეპტო წესით) გადარიცხოს კლიენტის ნებისმიერი ანგარიშიდან შესაბამისი პირის ანგარიშზე;

16.26.3 იმ პირისთვის თანხის გადახდის მიზნით, ვისგანაც კლიენტი ბანკის მიერ გაცემული კრედიტით შეიძენს ნივთს ან მიიღებს მომსახურებას, კლიენტის ნებისმიერი ანგარიშიდან კლიენტის შემდგომი თანხმობის გარეშე (უაქცეპტო წესით) ჩამოწეროს შესაბამისი თანხა, დააკონვერტიროს ეროვნულ ვალუტაში, ჩარიცხოს კლიენტის სალარე ანგარიშზე და გადარიცხოს შესაბამისი პირის ანგარიშზე.

16.26.4 ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული ნებისმიერი დამატებითი ხელშეკრულების (ნებისმიერი საკრედიტო პროდუქტის) გრაფიკით გათვალისწინებული გადასახდელი თანხის 14 (თოთხმეტი) დღიანი ვადაგადაცილების შემთხვევაში, ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ მიაწოდოს საკრედიტო პროდუქტის მიღების შესახებ კლიენტის შესაბამის განაცხადში დაფიქსირებულ პირ(ებ)ს (ოჯახის წევრებს, რეკომენდატორებს, საკონტაქტო პირებს და სხვა). ამასთან, ბანკი უფლებამოსილია, მხოლოდ კლიენტის ადგილსამყოფელის/საკონტაქტო ინფორმაციის დადგენის მიზნით, დაუკავშირდეს საკრედიტო პროდუქტის მიღების შესახებ კლიენტის ნებისმიერ განაცხადში (მათ შორის დახურული/გაუქმებული საკრედიტო პროდუქტების განაცხადში) დაფიქსირებულ პირ(ებ)ს (ოჯახის წევრებს, რეკომენდატორებს, საკონტაქტო პირებს და სხვა) და/ან კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე დაფიქსირებული თანხების შემომტან/გადმომრიცხავ პირ(ებ)ს - გადამხდელ(ებ)ს, რასთან დაკავშირებითაც კლიენტი წინასწარ აცხადებს თანხმობას;

16.26.5 ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული ნებისმიერი დამატებითი ხელშეკრულების (ნებისმიერი საკრედიტო პროდუქტის) გრაფიკით გათვალისწინებული გადასახდელი თანხის 2 (ორი) დღიანი ვადაგადაცილების შემთხვევაში, მოახდინოს მსესხებლის, თანამსესხებლის და/ან კლიენტის თავდებ(ებ)ის საბანკო ანგარიშ(ებ)ის ბლოკირება - ანგარიშებზე/ანგარიშებიდან შეზღუდოს აქტიური ოპერაციები (თანხის გატანა, გადარიცხვა, კონვერტაცია და სხვა). ანგარიშ(ებ)ზე შესაძლებელი იქნება, მხოლოდ ჩარიცხვის/თანხის შეტანის ოპერაციების განხორციელება.

16.26.6 ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული ნებისმიერი დამატებითი ხელშეკრულებით (ნებისმიერი საკრედიტო პროდუქტით) კლიენტის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, განახორციელოს კლიენტის საბანკო ანგარიშ(ებ)ზე არსებული შესაბამისი საკრედიტო პროდუქტის გრაფიკით გათვალისწინებული გადასახდელი თანხის ბლოკირება (შეუზღუდოს კლიენტს ხსენებული თანხის გამოყენების უფლება), გადახდის გრაფიკით გათვალისწინებული გადახდის დღის / რიცხვის ნებისმიერ მონაკვეთში. ამასთან, ბანკს უფლება აქვს, წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული მიზნით, საკრედიტო პროდუქტ(ებ)ზე ვადაგადაცილების დაფიქსირებისთანავე, მოახდინოს მსესხებლის, თანამსესხებლის და/ან კლიენტის თავდებ(ებ)ის საბანკო ანგარიშ(ებ)ზე ვადაგადაცილებული (გადასახდელი) თანხ(ებ)ის ბლოკირება.

16.27 კლიენტი ბანკს ანიჭებს უფლებამოსილებას, კლიენტის (დაზღვეულის) მიერ გადასახდელი სადაზღვევო პრემიის ვადაგადაცილების შემთხვევაში, ბანკმა (მოსარგებლემ) საკუთარი შეხედულებისამებრ, თავად განახორციელოს სადაზღვევო პრემიის გადახდა მზღვეველისთვის, მაგრამ არაუმეტეს 90 (ოთხმოცდაათი) დღისა.

16.28 წინამდებარე ხელშეკრულების 16.27 პუნქტით გათვალისწინებული პირობის შესაბამისად, ბანკის მიერ მზღვეველისთვის (კლიენტის ნაცვლად) სადაზღვევო პრემიის გადახდის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია კლიენტს (დაზღვეულს) მოსთხოვოს ბანკის მიერ სადაზღვევო პრემიის სახით მზღვეველისთვის გადახდილი თანხის ბანკის სასარგებლოდ სრულად გადახდა.

16.29 დაზღვევა ითვლება შეწყვეტილად / შეჩერებულად (ბანკის შეხედულებისამებრ) კლიენტის (დაზღვეულის) მიერ გადასახდელი სადაზღვევო პრემიის 90 (ოთხმოცდაათი) დღიანი ვადაგადაცილების შემთხვევაში. მიუხედავად ხსენებულისა, ბანკი (მოსარგებლე) უფლებამოსილია განაახლოს დაზღვევა (ცალმხრივად აღადგინოს დაზღვევის პირობები) იმ შემთხვევაში, თუ სრულად განხორციელდება ბანკის მიმართ კლიენტის დავალიანების დაფარვა. თუმცა, ანაზღაურებას არ დაექვემდებარება ვადაგადაცილების (დავალიანების) არსებობის პერიოდში დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები.

16.30 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს ერთდროულად უწევს რამდენიმე ვალდებულების შესრულება (რამდენიმე კრედიტის ერთდროულად (ერთ თარიღში) დაფარვა), იგი უფლებამოსილია ყოველი ასეთი შემთხვევის დადგომისას (ყოველ ჯერზე), ვალდებულების დაფარვამდე მიმართოს განცხადებით ბანკის ნებისმიერ ფილიალს / სერვისცენტრს და მოითხოვოს ვალდებულებების შესრულება (სესხის დაფარვა) მისთვის სასურველი თანმიმდევრობით (პრიორიტეტულობით). ხოლო, თუ კლიენტი არ გამოიყენებს წინამდებარე პუნქტით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას, ბანკი მოახდენს ვალდებულებების დაფარვას შემდეგი პრიორიტეტულობით: პირველ რიგში დაიფარება საკრედიტო ბარათებთან / ოვერდრაფტებთან დაკავშირებული გადასახდელები, შემდგომ დაიფარება არაუზრუნველყოფილი კრედიტ(ებ)ი და ბოლოს უზრუნველყოფილი კრედიტ(ებ)ი. ამავდროულად, ბანკი იტოვებს უფლებამოსილებას, ყოველ კონკრეტული შემთხვევისას, ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული კლიენტის ვალდებულებათა შესრულების რიგითობა (პრიორიტეტულობა).

## 17. საკრედიტო ურთიერთობის ან/და ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის პირობები

17.1 ბანკს უფლება ექნება შეწყვიტოს კლიენტთან არსებული საკრედიტო ურთიერთობა ან/და ნებისმიერი, რამდენიმე ან ყველა დამატებითი ხელშეკრულების მოქმედება ან/და მოსთხოვოს კლიენტს კრედიტის ძირითადი თანხის დაბრუნება მისთვის დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან და პირგასამტეხლოსთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იმ შემთხვევაში, თუ დადგება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ნებისმიერი გარემოება:

17.1.1 კლიენტი დაარღვევს ამ ხელშეკრულებით, ამ ხელშეკრულების საფუძველზე დადებული ნებისმიერი დამატებითი ხელშეკრულებით ან ბანკთან გაფორმებული ნებისმიერი დოკუმენტით ნაკისრ რომელიმე ვალდებულებას;

17.1.2 კლიენტი დაარღვევს ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული ნებისმიერი დამატებითი ხელშეკრულებისთვის თანდართული გრაფიკის მიხედვით თანხის გადახდის ვალდებულებას. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ გადახდის გრაფიკით კლიენტმა ვალდებულება უნდა შეასრულოს არა ყოველთვიურად, არამედ კლიენტსა და ბანკს შორის შეთანხმებული დროის (წელიწადის) გარკვეულ პერიოდ(ებ)ში (ე.წ სეზონური გრაფიკით), ბანკს უფლება აქვს განახორციელოს ამ ხელშეკრულების 17.1 პუნქტით გათვალისწინებული ნებისმიერი ქმედება, თუ კლიენტი დაარღვევს სეზონური გრაფიკით გათვალისწინებული გადახდის ნებისმიერ ვალდებულებას (ერთხელ მაინც გადააცილებს გადახდის კონკრეტულ ვადას) და დამატებით, ორკვირიანი ვადის მიცემის მიუხედავად, არ განახორციელებს შესაბამისი თანხის გადახდას.

17.1.3 არ შესრულდება (დაირღვევა) რომელიმე წინაპირობა, დამატებითი პირობა ან/და ბანკის მიერ კლიენტისთვის წაყენებული მოთხოვნა;

17.1.4 კლიენტი იკისრებს ნებისმიერ ვალდებულებას ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;

17.1.5 კლიენტი არამიზნობრივად გამოიყენებს რომელიმე დამატებითი ხელშეკრულების საფუძველზე მიღებულ საკრედიტო პროდუქტს (დაარღვევს მიზნობრიობას);

17.1.6 მნიშვნელოვნად შემცირდება კლიენტის კაპიტალი;

17.1.7 განხორციელდება მნიშვნელოვანი ცვლილება კლიენტის საკუთრებაში ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;

17.1.8 მოხდება ნებისმიერი ცვლილება კლიენტის, მისი თავდების, ამ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების ნებისმიერი მხარის ან/და გარანტის დამფუძნებლებში, მენეჯმენტში ან აღმასრულებელ/სამეთვალყურეო ორგანოში ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;

17.1.9 კლიენტის აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი (ოცი პროცენტი ან მეტი) გასხვისდება ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;

17.1.10 გაუარესდება კლიენტის, მისი თავდების, ამ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების ნებისმიერი მხარის ან/და გარანტის ქონებრივი ან/და ფინანსური მდგომარეობა ან შეიქმნება ასეთი გარემოების დადგომის საფრთხე;

17.1.11 ამ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების მხარე ან მისი უფლებამონაცვლე დაარღვევს შესაბამისი ხელშეკრულების რომელიმე პირობას;

17.1.12 განადგურდება, დაზიანდება ან/და ღირებულება შეუმცირდება ამ ხელშეკრულების უზრუნველყოფის ობიექტ(ებ)ს, რისთვისაც ბანკს არ ეკისრება პასუხისმგებლობა;

17.1.13 კლიენტის მიმართ დაიწყება სააღსრულებო წარმოება;

17.1.14 კლიენტის რომელიმე საბანკო ანგარიშს ან კლიენტის კუთვნილ ქონებას (ნებისმიერ ნივთს ან არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს) დაედება ყადაღა ან კლიენტის ან მისი ქონების მიმართ გამოყენებული იქნება სარჩელის, გადაწყვეტილების აღსრულების ან/და საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ნებისმიერი ღონისძიება;

17.1.15 რაიმე უფლებით, ვალდებულებით ან/და შეზღუდვით (მათ შორის საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლებით, ყადაღით და სხვა) დაიტვირთება ამ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად დაგირავებული ან იპოთეკით დატვირთული ან/და კლიენტის კუთვნილი ნებისმიერი ნივთი ან/და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე;

17.1.16 კლიენტის, მისი თავდების, ამ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების ნებისმიერი მხარის და/ან გარანტის მიმართ დადგება გადახდისუუნარობის/ლიკვიდაციის საფრთხე, სასამართლოს მიერ დაიწყება გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და/ან წინამდებარე პუნქტში ჩამოთვლილ პირთაგან რომელიმე თავად მიიღებს გადაწყვეტილებას ლიკვიდაციის შესახებ.

17.1.17 ნებისმიერი უფლებამოსილი ორგანო ჩამოართმევს კლიენტს ნებისმიერ აქტივს ან მის მნიშვნელოვან ნაწილს, ან მოახდენს ასეთი აქტივის ნაციონალიზაციას ან მოხდება სხვაგვარი ექსპროპრიაცია;

17.1.18 კლიენტის მიერ გაკეთებული ნებისმიერი განცხადება ან/და ბანკისთვის მიწოდებული ნებისმიერი ინფორმაცია აღმოჩნდება მნიშვნელოვნად არასწორი ან მცდარი (სინამდვილესთან შეუსაბამო);

17.1.19 კლიენტი ჩაიდენს ბანკის მოტყუებისკენ მიმართულ ნებისმიერ ქმედებას;

17.1.20 დადგება ნებისმიერი ისეთი გარემოება, რომლის არსებობამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კლიენტის, მისი თავდების ან/და ამ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შესრულება ან კლიენტის მიერ თანხის დროულად გადახდა.

17.1.21 კლიენტი დაარღვევს თანამშრომელთა დისკრიმინაციის, ძალადობისა და შევიწროებისაგან დაცვის შესახებ ბანკის პოლიტიკას (https://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/employee-protection-policy).

17.2 კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს ამ ხელშეკრულების 17.1.1-17.1.20 ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი ნებისმიერი გარემოების დადგომის შესახებ.

17.3 ამ ხელშეკრულების 17.1 პუნქტში აღწერილ შემთხვევაში (მიუხედავად კლიენტის ბრალისა ამ ხელშეკრულების 17.1 პუნქტში ჩამოთვლილი ნებისმიერი გარემოების დადგომაში) კლიენტი ვალდებული იქნება დაუყოვნებლივ (ან ბანკის მიერ მითითებულ ვადაში) დაუბრუნოს ბანკს კრედიტის ძირითადი თანხა მისთვის დარიცხულ სარგებელთან და პირგასამტეხლოსთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და შეასრულოს ბანკის წინაშე ნაკისრი ყველა ფინანსური ვალდებულება.

17.4 ამ ხელშეკრულების 17.1 პუნქტში ჩამოთვლილი ნებისმიერი გარემოების დადგომის შემთხვევაში ბანკს უფლება ექნება კლიენტის შემდგომი თანხმობის გარეშე (უაქცეპტოდ) გადაიყვანოს კლიენტი გამკაცრებული მონიტორინგის რეჟიმში, რაც გულისხმობს ბანკის სრულ უფლებამოსილებას, მიავლინოს მისი წარმომადგენელი კლიენტთან (კლიენტის კუთვნილ ნებისმიერ სათავსოში) და რეალური შემოსავლების მონიტორინგის საფუძველზე უშუალოდ კლიენტისგან (მათ შორის მისი სალაროდან) მიიღოს ბანკისთვის გადასახდელი თანხა ერთიანად ან ნაწილ-ნაწილ.

17.5 ამ ხელშეკრულების 17.4 პუნქტში აღწერილ შემთხვევაში კლიენტი ვალდებული იქნება დაუყოვნებლივ უზრუნველყოს ბანკის წარმომადგენლის დაშვება იპოთეკისა და გირავნობის ნებისმიერი საგნის ან/და კლიენტის კუთვნილი ნებისმერი აქტივის (ქონების) შესამოწმებლად ან/და კლიენტის ფინანსური მდგომარეობის შესასწავლად, რაც არ გამორიცხავს ბანკისთვის ამ ხელშეკრულებით ან/და კანონმდებლობით მინიჭებული სხვა ნებისმიერი უფლების გამოყენების შესაძლებლობას.

## 18. საკრედიტო ლიმიტი

18.1 საბარათე ანგარიშზე საკრედიტო ლიმიტის დაშვება გულისხმობს პლასტიკური ბარათის მფლობელისთვის საკრედიტო რესურსით სარგებლობის უფლების მინიჭებას, საკრედიტო ლიმიტით გათვალისწინებული თანხის ფარგლებში.

18.2 საბარათე ანგარიშზე საკრედიტო ლიმიტის დასაშვებად ბარათის მფლობელი ბანკს მიმართავს განაცხადით. განაცხადში აღინიშნება საკრედიტო ლიმიტის მაქსიმალური ოდენობა, რომლის მიღებაც სურს ბარათის მფლობელს; საკრედიტო ლიმიტის ვალუტა; ვადა, რომლის განმავლობაშიც ბარათის მფლობელი მზად არის დააბრუნოს ათვისებული საკრედიტო ლიმიტი; სარგებლის წლიური საპროცენტო განაკვეთი (ბანკის მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად) და სხვა ინფორმაცია.

18.3 ბარათის მფლობელის განაცხადის მიღების შემდეგ ბანკი განიხილავს საკრედიტო ლიმიტის დაშვების საკითხს და დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ბარათის მფლობელს აძლევს უფლებას ისარგებლოს მის ანგარიშზე დაშვებული საკრედიტო ლიმიტით ბანკის მიერ განსაზღვრული პირობების შესაბამისად, რის შესახებაც ბარათის მფლობელს ინფორმაცია მიეწოდება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი ფორმით. ამასთან, კლიენტი ვალდებულია განაცხადის ბანკისთვის მიწოდებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის გასვლის შემდეგ დაუკავშირდეს ბანკის სატელეფონო სერვისცენტრს (ნომერზე +99532 2272727) მის საბარათე ანგარიშზე საკრედიტო ლიმიტის დაშვების შესახებ ინფორმაციის მისაღებად.

18.4 ათვისებული საკრედიტო ლიმიტით სარგებლობისათვის ბარათის მფლობელი ვალდებული იქნება გადაუხადოს ბანკს სარგებელი, რომლის წლიური განაკვეთი დგინდება ლიმიტის ათვისების მომენტისთვის ბანკის მიერ საკრედიტო ლიმიტით სარგებლობისთვის დადგენილი ტარიფების შესაბამისად, კალენდარული წლის 365 (სამას სამოცდახუთი) დღეზე გაანგარიშებით. სარგებელი (პროცენტი) ათვისებულ საკრედიტო ლიმიტს დაერიცხება წარმოშობის თარიღიდან მისი სრულად დაფარვის (ფაქტობრივად გადახდის) თარიღამდე.

18.5 საკრედიტო ლიმიტის ან მისი ნაწილის ათვისების მომენტიდან ბარათის მფლობელს წარმოეშობა ყოველთვიურად გადასახდელი თანხის ბანკისთვის გადახდის ვალდებულება. ყოველთვიურად გადასახდელი თანხა, როგორც წესი, მოიცავს: სადაზღვევო პრემიის თანხას, ათვისებული საკრედიტო ლიმიტის ნაწილს და ათვისებულ საკრედიტო ლიმიტზე დარიცხულ სარგებელს.

18.6 ყოველთვიურად გადასახდელი თანხა გადახდილი უნდა იქნეს:

18.6.1 პლასტიკურ ბარათზე დაშვებული საკრედიტო ლიმიტის და ოვერდრაფტის შემთხვევაში - ყოველი თვის იმ რიცხვამდე, რომელსაც ბარათის მფლობელი მიუთითებს განაცხადში შესაბამისი საკრედიტო პროდუქტის მიღების შესახებ;

18.6.2 „ერთგული“ საკრედიტო ბარათის შემთხვევაში – ბანკის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად;

18.6.3 ბანკის წინაშე არსებული ვალდებულების დაფარვის მიზნით ანგარიშზე შეტანილი/ჩარიცხული თანხა ანგარიშზე უნდა ფიქსირდებოდეს უცვლელად მინიმუმ 30 (ოცდაათი) წუთის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ვალდებულება არ ჩაითვლება შესრულებულად (დავალიანება არ ჩაითვლება დაფარულად);

18.6.4 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ბანკის წინაშე არსებული ვალდებულების დაფარვის მიზნით ანგარიშიდან რიცხავს და/ან ანგარიშიდან გააქვს თანხა ამავე ანგარიშზე თანხის უკან დაბრუნების (ჩარიცხვის / შეტანის) მიზნით, გადარიცხვის/გატანის ოპერაციასა და თანხის ჩარიცხვის/შეტანის ოპერაციას შორის უნდა იყოს დაცული მინიმუმ 30 (ოცდაათი) წუთი, წინააღმდეგ შემთხვევაში ვალდებულება არ ჩაითვლება შესრულებულად (დავალიანება არ ჩაითვლება დაფარულად).

18.7 <u>ბანკს უფლება აქვს:</u>

18.7.1 იმ გარემოებ(ებ)ის მნიშვნელოვნად შეცვლის შემთხვევაში, რომელთა არსებობის გამო ბანკმა მიიღო გადაწყვეტილება საკრედიტო ლიმიტის დაშვების/გაზრდის შესახებ ან/და ბარათის მფლობელის მიერ ამ ხელშეკრულებით ან საკრედიტო ლიმიტის დაშვების/გაზრდის განაცხადით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის ან/და ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში, ბარათის მფლობელისთვის წინასწარ შეტყობინების გარეშე, ნებისმიერ დროს, ცალმხრივად შეაჩეროს/გააუქმოს ბარათის მოქმედება ან გააუქმოს/შეამციროს/შეწყვიტოს საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის უფლება ან/და ბარათის მფლობელისთვის შეტყობინებით მოითხოვოს ბარათის მფლობელის მიერ ათვისებული თანხის (კრედიტის) დაბრუნება მისთვის დარიცხულ სარგებელთან და პირგასამტეხლოსთან ერთად ბარათის მფლობელის მიერ შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღისა;

18.7.2 საკუთარი ინიციატივით, ბარათის მფლობელისთვის წინასწარ შეტყობინების გარეშე, ბარათის მფლობელის საბარათე ანგარიშზე დაუშვას საკრედიტო ლიმიტი. საკუთარი ინიციატივით ან ბარათის მფლობელის განაცხადის საფუძველზე, საკრედიტო ლიმიტის დაშვების შესახებ ხელშეკრულების შეცვლის გარეშე, ცალმხრივად გაზარდოს საბარათე ანგარიშზე უკვე დაშვებული ლიმიტი ან საკრედიტო ლიმიტის მოქმედების ვადა, რომელზეც გავრცელდება საკრედიტო ლიმიტის დაშვების შესახებ ხელშეკრულების ძირითადი პირობები, რაზეც ბარათის მფლობელი თანხმობას აცხადებს საკრედიტო ლიმიტის დაშვების/საკრედიტო ლიმიტის ცვლილების შესახებ განაცხადის ხელმოწერით.

18.8 საბარათე ანგარიშზე საკრედიტო ლიმიტის დაშვებისთვის, უკვე დაშვებული ლიმიტის ვადის გაგრძელებისთვის, საკრედიტო ლიმიტის მოცულობის გაზრდისთვის ან საკრედიტო ლიმიტთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღებისთვის, ბარათის მფლობელი იხდის საკომისიოს ბანკის მიერ განსაზღვრული ტარიფების შესაბამისად.

18.9 კლიენტს აქვს საშუალება ისარგებლოს საშეღავათო პერიოდით მაქსიმუმ 55 (ორმოცდათხუთმეტი) დღით. საშეღავათო პერიოდში კლიენტს მომდევნო დაანგარიშების თარიღიდან 25 (ოცდახუთი) დღის განმავლობაში საკრედიტო ლიმიტიდან ათვისებული თანხის დაფარვა არ მოეთხოვება, შესაბამისად, ხსენებულ თანხას არ ერიცხება საპროცენტო სარგებელი. ასევე, კლიენტს აქვს საშუალება ისარგებლოს უპროცენტო პერიოდით. ამ შემთხვევაში კლიენტმა დაანგარიშების დღის მდგომარეობით საკრედიტო ლიმიტიდან ათვისებული თანხა სრულად უნდა დაფაროს ერთიანი ან ნაწილობრივი შენატანებით, შესაბამისი დამატებითი ხელშეკრულებით განსაზღვრულ დაფარვის ბოლო თარიღამდე. თუ კლიენტი დაანგარიშების პერიოდში ვერ გამოიყენებს უპროცენტო პერიოდით სარგებლობის პირობას, მას მომდევნო დაანგარიშების განმავლობაში აქვს უპროცენტო პერიოდით სარგებლობის შესაძლებლობა მხოლოდ წინა თვის დაანგარიშების შემდეგ ათვისებულ თანხებზე. უპროცენტო პერიოდით სარგებლობის დამატებითი დეტალები მოცემულია შესაბამის დამატებით ხელშეკრულებაში. საშეღავათო და უპროცენტო პერიოდით სარგებლობის მაგალითები იხილეთ შემდეგ ვებგვერდზე: bit.ly/ertguli-examples.

18.10 მხარეები თანხმდებიან, რომ კლიენტის კუთვნილი „თიბისი პრაიმ ქარდი“ შეიცვლება „ერთგული“ საკრედიტო ბარათით, შესაბამისი პლასტიკური საკრედიტო ბარათის შეცვლის/გამოცვლის და ახალი ხელშეკრულების გაფორმების ან/და „თიბისი პრაიმ ქარდთან“ დაკავშირებულ საკრედიტო ბარათით სარგებლობის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გარეშე. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, მხარეები აზუსტებენ, რომ პლასტიკური საკრედიტო ბარათი, რომელიც სახელდებულია/მოხსენიებულია, როგორც „თიბისი პრაიმ ქარდი“, მიიჩნევა „ერთგული“ საკრედიტო ბარათად და მასზე სრულად ვრცელდება კლიენტთან გაფორმებული „თიბისი პრაიმ ქარდთან“ დაკავშირებული საკრედიტო ბარათით სარგებლობის შესახებ ხელშეკრულების პირობები წინამდებარე ხელშეკრულებასთან ერთად. შესაბამისად, ამ ხელშეკრულებაში ხსენებული „ერთგული“ საკრედიტო ბარათი მოიაზრებს იმ საკრედიტო ბარათსაც, რომელიც პლასტიკურ ბარათზე სახელდებულია/მოხსენიებულია, როგორც „თიბისი პრაიმ ქარდი“.

18.11 „ერთგული“ საკრედიტო ბარათ(ებ)ით სარგებლობის მარეგულირებელი სპეციალური ნორმები და პირობები განსაზღვრულია აგრეთვე ბანკის მიერ გავრცელებულ საინფორმაციო მასალაში და ამ ხელშეკრულებაში მითითებულ ბანკის ინტერნეტ-გვერდებზე.

18.12 „ერთგული“ საკრედიტო ბარათის მოქმედების ან/და საკრედიტო ლიმიტის ვადის გასვლა არ ათავისუფლებს კლიენტს წინამდებარე ხელშეკრულებით და შესაბამისი საკრედიტო ბარათით სარგებლობის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან, მათ შორის შესაბამისი დამატებითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასახდელისა და სხვა მიმდინარე საკრედიტო დავალიანების გადახდისაგან.

18.13 ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, ცალმხრივად განახორციელოს „ერთგული“ საკრედიტო ბარათის გაუქმება და ავტომატური ჩანაცვლება სხვა ანალოგიური ან მსგავსი საკრედიტო პროდუქტით. ამასთან, ავტომატური ჩანაცვლება გულისხმობს „ერთგული“ საკრედიტო ბარათთან დაკავშირებული კლიენტის ვალდებულებების ბანკის მიერ ცალმხრივად გადაფარვას და სხვა ანალოგიურ ან მსგავს საკრედიტო პროდუქტზე შესაბამისი საკრედიტო ლიმიტის დაშვებას. ავტომატური ჩანაცვლების შესახებ კლიენტს ეცნობება და საჭიროების შემთხვევაში, მოეთხოვება შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება. კლიენტი უფლებამოსილია უარი განაცხადოს/არ მოიწონოს „ერთგული“ საკრედიტო ბარათის სხვა ანალოგიური ან მსგავსი პროდუქტით ჩანაცვლება, ასეთ შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია „ერთგული“ საკრედიტო ბარათის მფლობელისთვის შეტყობინებით მოითხოვოს კლიენტის მიერ ათვისებული თანხის (კრედიტის) დაბრუნება მისთვის დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან და პირგასამტეხლოსთან ერთად ბარათის მფლობელის მიერ შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღისა.

18.14 ბანკი უფლებამოსილია წინამდებარე ხელშეკრულების 12.1.9 პუნქტში აღნიშნულ პლასტიკურ ბარათებთან დაკავშირებულ წამახალისებელ პროექტ(ებ)ში/პროგრამაში ჩართოს სს „თიბისი ბანკის“ საკრედიტო ბარათები (მათ შორის საკრედიტო ბარათი ერთგული). შესაბამისად, საკრედიტო ბარათებზე სრულად ვრცელდება 12.1.9-12.1.16 პუნქტებით გათვალისწინებული რეგულაციები.

18.15 კლიენტი აცნობიერებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით, ამ ხელშეკრულების შემადგენელი სხვა ნებისმიერი ხელშეკრულებითა და საკრედიტო ბარათის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გადასახდელებთან ერთად ვალდებულია გადაიხადოს ბანკის მიმართ წარმოშობილი ნებისმიერი ვადამოსული დავალიანება, მათ შორის გადაუხდელი საკრედიტო დავალიანება, მასზე დარიცხული პროცენტ(ებ)ი, პირგასამტეხლო/ები, ჯარიმა/ები, საკომისიო/ები (აგრეთვე ბარათის მომსახურების საკომისის თანხები) და სხვა ნებისმიერი ფინანსურ ხარჯ(ებ)ი.

18.16 ბანკი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ, საკრედიტო ბარათთან დაკავშირებული საკრედიტო დავალიანება და ნებისმიერი ფინანსური ხარჯი (მათ შორის საკომისიოს, პირგასამტეხლოს თანხები, წლიური საპროცენტო განაკვეთი და ა.შ.) ჩამოწეროს/ჩამოჭრას საკრედიტო ლიმიტიდან.

18.17 მხარეები თანხმდებიან, რომ კლიენტის მიერ ათვისებული საკრედიტო ლიმიტი დაიფარება ბანკისთვის გადაცემული და/ან კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე არსებული/განთავსებული თანხ(ებ)ით შემდეგი პრიორიტეტულობით: ჯარიმის/პირგასამტეხლოს თანხები, საპროცენტო სარგებელი, საკომისიო/ები, განაღდებით ათვისებული თანხა (მათ შორის ATM ბანკომატის საშუალებით განაღდებული თანხა, ინტერნეტ-ბანკით, მობაილ-ბანკით ან ფილიალში ვიზიტის დროს განხორციელებული ტრანზაქციები), უნაღდო ანგარიშსწორებით ათვისებული თანხა (მათ შორის პოს-ტერმინალით, ელ-კომერციით ათვისებული თანხები), დაბოლოს, სხვა საფინანსო ინსტიტუტის მიმართ არსებული საკრედიტო ვალდებულების გადაფარვის დროს გადარიცხული თანხა (იგულისხმება ფილიალში/სერვისცენტრში ვიზიტის დროს კლიენტის დავალებით განხორციელებული გადარიცხვა).

18.18 კლიენტი ადასტურებს, რომ დეტალურად იცნობს საკრედიტო ბარათი „ერთგული“-ს პირობებს / ტარიფებს, რომელიც მოცემულია ბანკის ვებგვერდზე: https://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/ertguli-card.

18.19 კლიენტი აცნობიერებს და ადასტურებს, რომ შესაბამისი საკრედიტო ბარათით სარგებლობის შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ბანკის წინაშე წარმოშობილი ნებისმიერი ვალდებულების შესრულების მიზნით, კლიენტის მიერ ფულადი სახსრების განთავსება უნდა განხორციელდეს საკრედიტო ლიმიტის ანგარიშზე, რაც არ გამორიცხავს / აუქმებს ბანკის უფლებამოსილებას, მის წინაშე წარმოშობილი ნებისმიერი ვალდებულების შესრულების მიზნით, კლიენტის შემდგომი თანხმობის გარეშე (უაქცეპტო წესით), თანხა(ები) ჩამოწეროს ბანკში არსებული კლიენტის ნებისმიერი ანგარიშიდან.

18.20 ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული დამატებითი ხელშეკრულებით, ერთგულ ბარათზე გადასახდელი თანხის კლიენტის მიერ 2 (ორი) დღიანი ვადაგადაცილების შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია შეზღუდოს / დაბლოკოს ბარათის გამოყენების უფლება.

## 19. სალომბარდო სესხი

19.1 სალომბარდო სესხი არის ბანკის მიერ გაცემული სესხი, რომელიც უზრუნველყოფილია კლიენტის (შემდგომში "მსესხებლის") ან/და მესამე პირის კუთვნილი მოძრავი ნივთებით (ძვირფასეულობით).

19.2 სალომბარდო სესხის ვადის ამოწურვამდე ან სალომბარდო სესხის დაფარვის ვადის დადგომიდან უზრუნველყოფის საგნების (დაგირავებული ძვირფასეულობის) რეალიზაციამდე ნებისმიერ დროს, იმ მომენტისთვის სალომბარდო სესხისთვის დარიცხული საპროცენტო სარგებლისა და პროლონგაციის საკომისიოს მსესხებლის მიერ გადახდის შემთხვევაში, სალომბარდო სესხის ვადა გაგრძელდება მხარეთა შორის შეთანხმებული ვადით.

19.3 ბანკს უფლება აქვს ნებისმიერ დროს:

19.3.1 მსესხებლისთვის შეტყობინებით გააუქმოს ამ ხელშეკრულების 19.2 პუნქტში აღწერილი პირობა;

19.3.2 გადააფასოს სალომბარდო სესხის უზრუნველსაყოფად დაგირავებული ნივთები (შეამციროს შეფასება) და მსესხებელს მოსთხოვოს სალომბარდო სესხის ვადაზე ადრე (წინსწრებით) დაფარვა ფასთა შორის სხვაობის ტოლი ოდენობით ან დამატებითი უზრუნველყოფის წარმოდგენა (ძვირფასეულობის დაგირავება).

19.4 ამ ხელშეკრულების 19.3 პუნქტში აღწერილი რომელიმე უფლების ბანკის მიერ განხორციელების შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებული იქნება ბანკის მიერ მითითებულ ვადაში შეასრულოს ბანკის მოთხოვნა.

19.5 მიუხედავად სახელწოდებისა "სალომბარდო სესხი", ბანკს შეუძლია გამოიყენოს ამ ხელშეკრულების 16.10 პუნქტში აღწერილი უფლებები მსესხებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი რომელიმე ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში.

## 20. ბარათის უსაფრთხოების სერვისი

20.1. ბარათის უსაფრთხოების სერვისი წარმოადგენს ბანკის პროდუქტს, რომლის მიზანია დაიცვას კლიენტები - ბანკის ბარათის მფლობელები, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ, ბანკომატების, პოს ტერმინალებისა და ინტერნეტის მეშვეობით მესამე პირის მიერ ბარათის არალეგალური გამოყენებით გამოწვეული შედეგისგან და/ან კლიენტის მიერ განხორციელებული ოპერაციის/ტრანზაქციის დროს დამდგარი ხარვეზისგან, წინამდებარე ხელშეკრულებისა და ბარათის უსაფრთხოების სერვისთან დაკავშირებული განაცხადის პირობების შესაბამისად. მომსახურება ვრცელდება კლიენტის მიერ ბარათის უსაფრთხოების სერვისთან დაკავშირებული განაცხადით არჩეულ ბარათ(ებ)ზე და მასზე მიბმულ საბარათე ანგარიშ(ებ)ზე.

20.2. მომსახურების ფარგლებში ბანკი ბარათის მფლობელს უნაზღაურებს ბარათის არალეგალური გამოყენებით განკარგულ თანხებს და/ან თანხას, ხარვეზიანი ტრანზაქციის ოდენობით, ამ ხელშეკრულებითა და ბარათის უსაფრთხოების სერვისთან დაკავშირებული განაცხადით გათვალისწინებული პირობებისა და შესაბამისი ლიმიტების ფარგლებში.

20.3. ბარათის უსაფრთხოების სერვისის მიღების აუცილებელი წინაპირობაა ბანკის პლასტიკური ბარათის ქონა (ფლობა).

20.4. ბარათის უსაფრთხოების სერვისის მიღებისა და ცვლილების განაცხადი კლიენტმა შესაძლებელია დაადასტუროს SMS კოდის საშუალებით, რომელსაც გააჩნია წერილობითი ფორმით შესრულებული, ქაღალდზე დაბეჭდილი, კლიენტის მიერ ხელმოწერით დადასტურებული საბუთის ტოლფასი იურიდიული ძალა.

20.5. ამ მუხლში აღნიშნული სერვისის მისაღებად ბარათის მფლობელი აფიქსირებს თავის სურვილს ბანკის წარმომადგენელთან ბანკის სერვისცენტრში/ფილიალში, სადაც ავსებს შესაბამის განაცხადს ან ბანკის სატელეფონო სერვისცენტრის მეშვეობით, სადაც ხორციელდება შესაბამისი რეგისტრაცია.

20.6. ბარათის უსაფრთხოების სერვისის ლიმიტის ოდენობა და ლიმიტებით გათვალისწინებული მომსახურების საკომისიოები მითითებულია: ბანკის ვებგვერდზე, ლიფლეტებში, ბუკლეტებში, ბროშურებში, სერვისის მიღებასთან დაკავშირებულ განაცხადში და სხვადასხვა სახის საინფორმაციო არხებში/მასალაში.

20.7. ბარათის უსაფრთხოების სერვისის საკომისიოს ოდენობა განისაზღვრება ბარათის უსაფრთხოების სერვისის ლიმიტის ოდენობის ტიპის მიხედვით.

20.8. ბარათის უსაფრთხოების სერვისი ძალაში შედის ბარათის მფლობელის ანგარიშიდან ბარათის უსაფრთხოების სერვისის წლიური საკომისიოს ჩამოჭრისთანავე (შესაბამისი სატარიფო ნაკრების ფარგლებში არსებული ბარათის უსაფრთხოების სერვისის შემთხვევაში - კლიენტის ანგარიშიდან ნაკრების საფასურის ჩამოჭრისთანავე). ყოველი შემდგომი საკომისიო ჩამოიჭრება წინა კალენდარულ წელს განხორციელებული საკომისიოს ჩამოჭრის თარიღიდან ყოველი შემდგომი 1 (ერთი) კალენდარული წლის გასვლისთანავე.

20.9. ბარათის უსაფრთხოების სერვისის საკომისიო ყოველწლიურად უაქცეპტოდ (კლიენტის შემდგომი თანხმობის გარეშე) ჩამოიჭრება შესაბამის ბარათზე (რომელზეც ვრცელდება ბარათის უსაფრთხოების სერვისი) მიბმული ანგარიშ(ებ)იდან. ამასთან, თუ შესაბამის ანგარიშზე, რომელზეც ვრცელდება ბარათის უსაფრთხოების სერვისი, არ იქნება შესაბამისი თანხა განთავსებული, ბანკი უფლებამოსილია საკომისიოს თანხა/დავალიანება ჩამოწეროს/ჩამოჭრას კლიენტის ნებისმიერი სხვა ანგარიშიდან. საკომისიოს მიზნებისთვის ვადა გამოითვლება ბარათის უსაფრთხოების სერვისის რეგისტრაციის (ძალაში შესვლის) დღიდან ბარათის მოქმედების ვადის ბოლომდე. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მიერ ბარათის უსაფრთხოების სერვისის შეძენიდან ბარათის მოქმედების ვადის ბოლომდე დარჩენილია 1 (ერთი) კალენდარულ წელზე ნაკლები, კლიენტის მიერ გადახდილი წლიური საკომისიოს სანაცვლოდ ბანკი შესაბამის მომსახურებას გასწევს ბარათის მოქმედების ვადის ბოლომდე.

20.10. ბარათის უსაფრთხოების სერვისის შესაბამისი მომსახურება შეჩერებულად ჩაითვლება, თუ კლიენტის ანგარიშიდან რაიმე მიზეზით არ განხორციელდა ყოველწლიური მომსახურების საკომისიოს ჩამოჭრა. მომსახურება გააქტიურდება ბარათის მფლობელის ანგარიშიდან საკომისიოს ჩამოჭრის დღიდან.

20.11. ბარათის უსაფრთხოების სერვისის შეჩერების პერიოდში შესაბამის ბარათზე განხორციელებული არალეგალური ოპერაციები არ ანაზღაურდება.

20.12. ბარათის უსაფრთხოების სერვისის გამოყენების რაოდენობა:

20.12.1. ხარვეზიანი ტრანზაქციის შემთხვევაში: კლიენტის თითო ბარათზე ბანკის მხრიდან ანაზღაურებას ექვემდებარება ბარათის უსაფრთხოების სერვისის ამოქმედებიდან ყოველ 1 (ერთი) წელიწადში არაუმეტეს ორი შემთხვევა (უსაფრთხოების სერვისის შესაბამისი პროდუქტის ლიმიტის ფარგლებში), თუმცა ჯამურად ყველა ბარათზე არაუმეტეს წელიწადში 6 შემთხვევისა;

20.12.2. ბარათის მესამე პირის მიერ არალეგალური გამოყენების შემთხვევაში: ბარათის უსაფრთხოების სერვისი ერთჯერადი გამოყენებისაა და მისი მოქმედება ავტომატურად წყდება ბარათის არალეგალური გამოყენების პირველივე შემთხვევის

დადგომისთანავე. ამასთან, თუ კლიენტს უკვე ამოწურული/გამოყენებული აქვს ხარვეზიანი ტრანზაქციის ფარგლებში ბანკის მიერ თანხის ანაზღაურების მაქსიმალური შესაძლო რაოდენობა, კლიენტს ბანკის მხრიდან არ აუნაზღაურდება თანხა ბარათის არალეგალური გამოყენების შემთხვევაში.

20.13. ბარათის ვადაზე ადრე გაუქმების, დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში, უქმდება ბარათთან დაკავშირებული ბარათის უსაფრთხოების სერვისიც.

20.14. ბარათის უსაფრთხოების სერვისი ძალაშია ბანკის პლასტიკური ბარათის მოქმედების ვადით, გარდა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული და/ან ბარათის უსაფრთხოების სერვისთან დაკავშირებული განაცხადით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევებისა. ბარათის უსაფრთხოების სერვისი წყდება ნებისმიერი მიზეზით ბარათის მოქმედების შეწყვეტისას, აგრეთვე ბანკი უფლებამოსილია, ბარათის უსაფრთხოების სერვისი შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულებით (მათ შორის 20.19; 20.20; 20.21 პუნქტებით) და/ან ბარათის უსაფრთხოების სერვისთან დაკავშირებული განაცხადით გათვალისწინებული შემთხვევებში.

20.15. ერთ ბარათზე ვრცელდება მხოლოდ ერთი ბარათის უსაფრთხოების სერვისის ლიმიტის ოდენობა. დაუშვებელია ერთ ბარათზე ბარათის უსაფრთხოების სერვისის რამდენიმე ლიმიტის გავრცელება.

20.16. ბარათის უსაფრთხოების სერვისით სარგებლობისას, სერვისით გათვალისწინებული თანხობრივი ლიმიტების ფარგლებში ბანკის მიერ კლიენტის სასარგებლოდ ანაზღაურებულ თანხაზე/ებზე არ გავრცელდება წინამდებარე ხელშეკრულების 12.5.1.3 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბანკის უფლებამოსილება, განახორციელოს კლიენტის სასარგებლოდ ანაზღაურებული თანხ(ებ)ის დაბლოკვა.

20.17. ბანკის მიერ ბარათის მფლობელის განცხადების განხილვის და ანაზღაურების ვადა/სხვა მნიშვნელოვანი პირობები:

20.17.1. კლიენტი ბანკს ანიჭებს უფლებამოსილებას კლიენტის სახელით ბანკმა ვიზა (VISA) და/ან მასთერქარდ (MasterCard) საერთაშორისო საგადამხდელო სისტემებში გაასაჩივროს კლიენტის კუთვნილი ბარათით განხორციელებული ტრანზაქცია / არალეგალური ქმედება. ამასთან, კლიენტი თანახმაა, რომ გასაჩივრების პროცესის წარმატებით დასრულების შემთხვევაში ვიზამ (VISA) და/ან მასთერქარდმა (MasterCard) შესაბამისი თანხ(ებ)ის ანაზღაურება განახორციელოს ბანკის სასარგებლოდ და ანაზღაურებული თანხა დარჩეს ბანკს;

20.17.2. კლიენტი აცნობიერებს, რომ თუ მისი ბარათით განხორციელებული ტრანზაქციის / არალეგალური ქმედების ბანკის მიერ ვიზა (VISA) და/ან მასთერქარდ (MasterCard) საერთაშორისო საგადამხდელო სისტემებში გასაჩივრების პროცესი არ დასრულდება წარმატებით, ვიზა (VISA) / მასთერქარდი (MasterCard) არ განახორციელებს გასაჩივრებული ტრანზაქციით გათვალისწინებული თანხ(ებ)ის ანაზღაურებას ბანკისთვის, მათ შორის თუ გამოიკვეთა კლიენტის ბრალეულობა / კავშირი ბარათით განხორციელებულ ტრანზაქციასთან / არალეგალურ ქმედებასთან, ბანკი უფლებამოსილია კლიენტს მოსთხოვოს ბანკის მიერ კლიენტისთვის გადახდილი/ანაზღაურებული თანხების უკან დაბრუნება. თუ კლიენტის მხრიდან არ მოხდება თანხის უკან დაბრუნებაზე თანხმობის გაცხადება, ბანკს უფლება აქვს შეაჩეროს/შეწყვიტოს ბარათის უსაფრთხოების სერვისის მოქმედება კლიენტის ყველა ბარათზე;

20.17.3. კლიენტი ბანკს ანიჭებს უფლებამოსილებას, თუ ბანკის მიერ თანხის ანაზღაურება ეხება ტრანზაქციას - მერჩანტის მიერ მომსახურება არ გაწეულა / პროდუქტი არ იქნა მიწოდებული ან მიღებული პროდუქცია/მომსახურება არ შეესაბამება აღწერილს - ბანკმა, კლიენტისთვის წინამდებარე ხელშეკრულებისა და ბარათის უსაფრთხოების სერვისთან დაკავშირებული განაცხადის პირობების შესაბამისად თანხის ანაზღაურების შემთხვევაში, მიმართოს მერჩანტს და მოსთხოვოს კლიენტის მიერ გადახდილი თანხის უკან დაბრუნება / გადახდა ბანკისთვის (ბანკის სასარგებლოდ);

20.17.4. კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ თუ ბანკმა კლიენტს თანხა აუნაზღაურა იმ მიზეზით, რომ შესაბამისი მერჩანტის მიერ მომსახურება არ გაწეულა / პროდუქტი არ იქნა მიწოდებული ან მიღებული პროდუქცია/მომსახურება არ შეესაბამება აღწერილს და ბანკის მიერ კლიენტისთვის თანხის ანაზღაურების შემდგომ მერჩანტმა კლიენტს გაუწია მომსახურება/მიაწოდა პროდუქტი ან გამოასწორა მომსახურების/პროდუქტის ნაკლი, ბანკი უფლებამოსილია კლიენტისთვის გადახდილი თანხა უკან დაიბრუნოს და ამ მიზნით კლიენტის ნებისმიერი ანგარიშიდან უაქცეპტოდ (კლიენტის შემდგომი თანხმობის გარეშე) ჩამოჭრას თანხა ბანკის მიერ კლიენტისთვის ანაზღაურებული ოდენობით;

20.17.5. გამონაკლისები, რომლებიც განიხილება 3 (სამი) სამუშაო დღეში და ანაზღაურდება არაუმეტეს 55 (ორმოცდათხუთმეტი) სამუშაო დღისა:

20.17.5.1. ბარათზე ბლოკირებული თანხის განბლოკვა;

20.17.5.2. ბანკომატის მიერ დაკავებული თანხები (საზღვარგარეთ);

20.17.5.3. ბარათის პინ-კოდით დადასტურებული ოპერაციები;

20.17.5.4. 3D უსაფრთხოების კოდით დადასტურებული ოპერაციები;

20.17.5.5. ელექტრონული კომერციის ოპერაციისას (ინეტერნეტში შესყიდვისას) თანხა არ აესახა მერჩანტს;

20.17.5.6. გადარიცხვები ბიუჯეტში და სახელმწიფო ორგანიზაციებში;

20.17.5.7. ტრანზაქციები საბროკერო კომპანიებში;

20.17.5.8. საგადახდო პროვაიდერების ტრანზაქციები;

20.17.5.9. დაგვიანებით დამუშავებული საბარათე ტრანზაქციები;

20.17.5.10. DCC-ის სერვისის გამოყენებით საკურსო სხვაობების ანაზღაურების მოთხოვნა;

20.17.5.11. ბანკის მომსახურე ობიექტებიდან გატანილი თანხები.

20.18. ბანკი უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო ბარათის მფლობელი ვალდებულია წარმოადგინოს, ბარათის არალეგალური გამოყენების ფაქტის შესახებ დამატებითი წერილობითი ინფორმაცია შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოსგან (ან უცხო ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოსაგან) ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია ან/და დოკუმენტი, რაც ბანკს ხელს შეუწყობს ბარათის არალეგალური გამოყენებით განკარგული თანხების ბარათის მფლობელისთვის ანაზღაურებასთან დაკავშირებული

გადაწყვეტილების მიღებაში. იმ შემთხვევაში, თუ ბანკს არ წარედგინება აღნიშნული დოკუმენტაცია/ინფორმაცია, ბანკი თავისუფლდება ბარათის უსაფრთხოების სერვისით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.

20.19. ბანკი არ ანაზღაურებს:

20.19.1. თუ ბარათის არალეგალური გამოყენებით განკარგული თანხების მოცულობა აღემატება კლიენტთან შეთანხმებული ლიმიტის მოცულობას;

20.19.2. თუ ბარათი არალეგალურად გამოყენებულ იქნა ბარათის მფლობელის ნებართვით მესამე პირის მიერ ან/და ბარათის მფლობელის ახლობლის ან ოჯახის წევრის მიერ;

20.19.3. საქართველოს კანონით ,,საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ დადგენილ შემთხვევებში;

20.19.4. თუ ბარათის მფლობელმა არ უზრუნველყო დაკარგული/მოპარული ბარათის დაუყოვნებლივ ბლოკირება;

20.19.5. თუ ფიქსირდება ბარათის მფლობელის მიერ თაღლითობის ან ბრალეულობის ფაქტი;

20.19.6. თუ კლიენტმა დაუყოვნებლივ არ დააფიქსირა ბანკში ბარათის საეჭვო/არალეგალური გამოყენების და/ან ხარვეზიანი ტრანზაქციის შემთხვევის შესახებ და 60 (სამოცი) კალენდარულ დღეში არ დააფიქსირა განაცხადი წერილობით, შესაბამისი დასაბუთებით.

20.20. ბანკი იტოვებს უფლებას უარი განაცხადოს ბარათის უსაფრთხოების სერვისით მომსახურების გაწევაზე იმ შემთხვევაში, თუ ერთი კლიენტის მიერ ერთი კალენდარული წლის მანძილზე სამ სხვადასხვა ბარათზე დაფიქსირდა არალეგალური/საეჭვო ტრანზაქციის ანაზღაურების მოთხოვნა.

20.21. ბანკი იტოვებს უფლებას ნებისმიერი მიზეზით ვადამდე ადრე შეწყვიტოს ბარათის უსაფრთხოების სერვისის მომსახურება. აღნიშნულის შესახებ კლიენტს ეცნობება მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით (ხელშეკრულების 13.2.4.2 ქვეპუნქტის შესაბამისად), ბანკში დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე. ამ შემთხვევაში ბანკი ბარათის მფლობელს უწევს ხელშეკრულების ამ მუხლით გათვალიწინებულ მომსახურებას მხოლოდ მიღებული საკომისიოს ვადაში.

20.22. იმ შემთხვევაში, თუ ბარათის ან/და მასზე არსებული ფულადი ნაშთის არალეგალური გამოყენება დაზღვეულია ნებისმიერი მესამე პირის მიერ (ან/და არსებობს მესამე პირის მიერ შეთავაზებული უსაფრთხოების სერვისი), ბარათის არალეგალური გამოყენებით განკარგული თანხების ანაზღაურების მოთხოვნით ბარათის მფლობელმა პირველ რიგში უნდა მიმართოს აღნიშნულ მესამე პირს. ამასთან, ბანკი ვალდებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში აანაზღაუროს ბარათის არალეგალური გამოყენებით განკარგული თანხები, ამ პირობებით დადგენილი წესებისა და ლიმიტების შესაბამისად, თუ დამზღვევი პირის / უსაფრთხოების სერვისის გამწევი მესამე პირის მიერ განხორციელებული ანაზღაურების ფარგლებში სრულად არ ანაზღაურდა ბარათის არალეგალური გამოყენებით დამდგარი ფულადი ზარალი. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევი პირი / უსაფრთხოების სერვისის გამწევი მესამე პირი უარს აცხადებს ანაზღაურებაზე, ბარათის მფლობელი ვალდებულია ბანკისგან ბარათის არალეგალური გამოყენებით განკარგული თანხების ანაზღაურების მოთხოვნისთანავე წარუდგინოს ბანკს დამზღვევი პირის / უსაფრთხოების სერვისის გამწევი მესამე პირის მიერ ზემოხსენებული უარის თქმის დამადასტურებელი დოკუმენტი, რის შემდეგაც ბანკის მიერ ამ პირობებით დადგენილი წესების შესაბამისად განხორციელდება ბარათის არალეგალური გამოყენებით განკარგული თანხების ანაზღაურება

20.23. ბანკის მიერ ბარათის მფლობელისთვის შესაბამისი ლიმიტების ფარგლებში მესამე პირის მიერ პლასტიკური ბარათის არალეგალურად გამოყენებული თანხების ანაზღაურების შემდეგ, ბარათის მფლობელი ვალდებულია გააუქმოს კონკრეტული პლასტიკურ ბარათი. წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი ცალმხრივად აუქმებს ბარათის უსაფრთხოების სერვისს

## 21. ნომინალური მფლობელობის ანგარიში

21.1. **მომსახურების აღწერა**

21.1.1. მომსახურებაში იგულისხმება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესითა და კლიენტის (შემდგომში „ანგარიშის მფლობელი“) განაცხადის საფუძველზე ბანკის მიერ კლიენტისთვის ნომინალური მფლობელობის ერთობლივი ანგარიშის ან ნომინალური მფლობელობის სეგრეგირებული ანგარიშის გახსნა (შემდგომში “ნომინალური მფლობელობის ანგარიში“). ნომინალური მფლობელობის ანგარიში გაიხსნება მხოლოდ მიმდინარე ანგარიშის სახით.

21.1.2. ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე შეიძლება განთავსდეს და/ან ამ ანგარიშიდან გადაირიცხოს მხოლოდ ანგარიშის მფლობელი პირის კლიენტის სახსრები, რომელსაც ეს პირი ფლობს და განკარგავს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თავისი საკუთარი სახსრებისაგან განცალკევებით.

21.1.3. ბანკის მოთხოვნის შემთხვევებში, ნომინალური ანგარიშის მფლობელი პირი ვალდებულია ბანკს წარუდგინოს ინფორმაცია მისი კლიენტის (კლიენტების) და/ან მათი ბენეფიციარი მფლობელების შესახებ.

21.1.4. ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე წარმოებული ოპერაციების შინაარსსა და დანიშნულებაზე პასუხს აგებს ანგარიშის ნომინალური მფლობელი.

21.1.5. აკრძალულია ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე არსებული თანხების განკარგვა უშუალოდ ანგარიშის ნომინალური მფლობელის კლიენტის მიერ წარმოდგენილი დავალების საფუძველზე.

21.1.6. ნომინალური მფლობელობის ანგარიში შეიძლება გადაფორმდეს სხვა პირზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

21.1.7. ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე ვრცელდება მიმდინარე ანგარიშისთვის ბანკში დაწესებული სტანდარტული ტარიფები.

## 22. სახელფასო პროექტი

22.1. **მომსახურების აღწერა:**

22.1.1. მომსახურება სახელფასო პროექტით გულისხმობს კლიენტის მოთხოვნით კლიენტის საანგარიშსწორებო (მიმდინარე)

ანგარიშიდან კლიენტის მიერ დასაქმებული პირების (შემდგომში “დასაქმებულების”) ანგარიშებზე თანხის გადარიცხვის ოპერაციებს სპეციალური სისტემის - სახელფასო პროგრამული მოდულის (შემდგომში “მოდულის”) გამოყენებით.

22.1.2. სურვილის შემთხვევაში კლიენტს უფლება აქვს გადაიხადოს დასაქმებულებისთვის ბარათების დამზადებისა და მათ ანგარიშებზე ჩარიცხული თანხების განაღდების საკომისიოები.

22.1.3. ბანკის მიერ სახელფასო პროგრამული მოდულით კლიენტის ანგარიშებიდან გადარიცხვის ოპერაციები წარმოებს კლიენტის მიერ ბანკთან წინასწარ შეთანხმებული სპეციალური პროგრამის საშუალებით (კომპაქტ-დისკის, პროგრამის, ინტერნეტ-ბანკი, Excel ფაილის გამოყენებით).

22.1.4. კლიენტის სურვილით ბანკი განახორციელებს დასაქმებულთა ანგარიშებზე გადარიცხული თანხის კონვერსიას (გადატანას სალარე ანგარიშიდან სავალუტო ანგარიშზე) ბანკის მიერ დადგენილი კურსით.

22.1.5. სახელფასო პროექტთან და მოდულთან დაკავშირებულ ურთიერთობას კლიენტი ბანკთან დაამყარებს თავად ან მის მიერ დანიშნული პირის მეშვეობით, რომლისთვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭება გაფორმდება ბანკის მიერ კლიენტისთვის შეთავაზებული ფორმით.

22.1.6. სახელფასო პროექტში ჩართვისა და მოდულით მომსახურების მისაღებად კლიენტმა ბანკს უნდა მიმართოს განაცხადით ამ ხელშეკრულების 1.2 პუნქტის შესაბამისად.

22.1.7. სახელფასო პროექტით სარგებლობისას, კლიენტის ანგარიშიდან დასაქმებულის ანგარიშზე 6 (ექვსი) თვის განმავლობაში თანხის (ხელფასის) ჩაურიცხველობის (ბრუნვის არარსებობის) შემთხვევაში, დასაქმებულს გაუუქმდება ყველა ის შეღავათი, რომლითაც დასაქმებული სარგებლობდა სახელფასო პროექტის ფარგლებში. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სახელფასო პროექტით სარგებლობისას, 6 (ექვსი) თვის განმავლობაში კლიენტის ანაგარიშიდან დასაქმებულთა ანგარიშებზე არ განხორციელდება თანხების (ხელფასების) ჩარიცხვა, დასაქმებულთა შეღავთიანი ტარიფების/პირობების გაუქმებასთან ერთად, ასევე გაუქმდება კლიენტის მომსახურება სახელფასო პროექტით და ყველა ის შეღავათი, რომლითაც კლიენტი სარგებლობდა აღნიშნული მომსახურების ფარგლებში.

22.2. კლიენტი ვალდებულია:

22.2.1. მხარეთა მიერ წინასწარ შეთანხმებული ელექტრონული ფაილის სახით ბანკისთვის მისაღები ელექტრონული ინფორმაციის მატარებლის მეშვეობით გადასცეს ბანკს ინფორმაცია დასაქმებულების ანგარიშებზე ჩასარიცხი თანხების შესახებ;

22.2.2. ანაზღაურებების დასაქმებულთა ანგარიშებზე გადარიცხვის სურვილის არსებობისას წარუდგინოს ბანკს საგადახდო დავალება დასაქმებულთა ანგარიშებზე ჩასარიცხი ანაზღაურებების ჯამური თანხის მითითებით და ამ ხელშეკრულების 22.2.1 ქვეპუნქტში აღნიშნული ელექტრონული ფაილიდან ამობეჭდილი დასაქმებულთა რეესტრი (სია) ანგარიშების ნომრების, თანხებისა და იმ ვალუტის მითითებით, რა ვალუტაშიც უნდა მოხდეს დასაქმებულთა ანგარიშზე ჩარიცხული ანაზღაურების კონვერსია ბანკის მიერ დადგენილი კურსით;

22.2.3. დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს ბანკს დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის (ორგანიზაციიდან წასვლის) შესახებ;

22.2.4. გადაუხადოს ბანკს სახელფასო პროექტის ფარგლებში დასაქმებულებისთვის დამზადებული პლასტიკური ბარათებით მომსახურების საკომისიო სრულად (ბარათების მოქმედების ვადის ამოწურვამდე), თუ სახელფასო პროგრამული მოდულით მომსახურების მიღების დაწყების მომენტიდან ერთი წლის განმავლობაში კლიენტი უარს იტყვის ბანკისგან ამ მუხლით ან/და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიღებაზე;

22.2.5. გადაუხადოს ბანკს კლიენტის დასაქმებულებისთვის სახელფასო პროექტის ფარგლებში დამზადებული ბარათების მეშვეობით თანხის განაღდების საკომისიო იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებულია კლიენტის განაცხადით სახელფასო პროექტში ჩართვის თაობაზე;

22.2.6. ბანკს წარუდგინოს დასაქმებულთა პირადობის დამადასტურებელი საბუთების (პირადობის მოწმობების ან პასპორტების) და გადასახადის გადამხდელის მოწმობების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ასლები, რომელთა დედნებთან შესაბამისობა დამოწმებულია მის მიერ (კლიენტის წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირის ხელმოწერით);

22.2.7. დროულად მიაწოდოს კლიენტის დასაქმებულებს ბანკის მომსახურებისა და პროდუქტების შესახებ უტყუარი, გასაგები და გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელი სრული ინფორმაცია, რომელიც დასაქმებულებს (მომხმარებლებს) არ უბიძგებს ისეთი გადაწყვეტილების მიღებისაკენ, რომელსაც იგი არ მიიღებდა უტყუარი და სრული ინფორმაციის ფლობის პირობებში;

22.2.8. კლიენტის დასაქმებულებს (მომხმარებლებს) მიაწოდოს ინფორმაცია სავალუტო რისკის შესახებ, როდესაც დასაქმებულების (მომხმარებლების) შემოსავლები არ არის ჰეჯირებული სავალუტო კურსის ცვლილების მიმართ, ასევე უცხოური ვალუტით დეპოზიტის განთავსების/კრედიტის მიღების შემთხვევაში მიაწოდოს დასაქმებულებს (მომხმარებლებს) ინფორმაცია მსგავსი პირობების მქონე პროდუქტზე ეროვნული ვალუტით;

22.2.9. ხელშეკრულების გაფორმებამდე თითოეულ დასაქმებულს (მომხმარებელს) გააცნოს ხელშეკრულებაში მოცემული ფინანსური ხარჯები და თანხმობის შემდეგ გააფორმოს მასთან ხელშეკრულება;

22.2.10. ბანკისგან მიიღოს და კლიენტის დასაქმებულებს გადასცეს პლასტიკური ბარათები დალუქულ კონვერტებში მოთავსებულ პინ-კოდებთან, ინტერნეტ-ბანკის კოდებთან და სხვა საბუთებთან ერთად და უზრუნველყოს პლასტიკური ბარათების ხელმოწერა მათი მფლობელების მიერ.

22.3. ბანკი ვალდებულია:

22.3.1. ამ ხელშეკრულების 22.2.2 ქვეპუნქტში აღწერილი დავალების მიღებიდან არაუგვიანეს მეორე/მომდევნო საბანკო დღის განმავლობაში გადარიცხოს თანხები დასაქმებულების ანგარიშებზე.

22.4. ამ ხელშეკრულების ხელმოწერით კლიენტი და ბანკი თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულების 22.2.6-22.2.10 ქვეპუნქტებში აღწერილი ვალდებულებების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ბანკის წარმომადგენელი კლიენტის დასაქმებულებთან ურთიერთობაში იქნება ან თავად კლიენტი ან სახელფასო პროექტში ჩართვის შესახებ განაცხადის ხელმოწერით, კლიენტის მიერ დასახელებული (დანიშნული) კლიენტის დასაქმებული, რომელიც უშუალოდ შეასრულებს ამ ხელშეკრულების 22.2.6-22.2.10 ქვეპუნქტებში აღწერილ ქმედებებს ბანკის სახელით. კლიენტი ან მის მიერ დანიშნული დასაქმებული ვალდებული იქნება:

22.4.1. პირადად გადაიღოს (შექმნას) დასაქმებულების პირადობის დამადასტურებელი საბუთების ასლები და დაამოწმოს ამ ასლების დედნებთან შესაბამისობა საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის მიერ დამტკიცებული დებულებით („ანგარიშვალდებული პირის მიერ კლიენტის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის წესის შესახებ“) და „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით;

22.4.2. პირადად დაესწროს თითოეული დასაქმებულის მიერ სახელფასო პროექტის მონაწილის განაცხადის ხელმოწერის პროცესს და ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ წერილობით ან ბანკის მიერ მოთხოვნილი სხვა საშუალებებით დაუდასტუროს ბანკს (და ბანკის მიერ დასახელებულ ნებისმიერ პირს) ის, რომ სახელფასო პროექტის მონაწილის განაცხადს ნამდვილად მასში მითითებულმა პირმა მოაწერა ხელი;

22.4.3. დამოწმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი)კალენდარული დღისა გადასცეს ბანკს დასაქმებულების პირადობის დამადასტურებელი საბუთების დამოწმებული ასლები;

22.4.4. ბანკისგან მიიღოს და კლიენტის დასაქმებულებს გადასცეს პლასტიკური ბარათები დალუქულ კონვერტებში მოთავსებულ პინკოდებთან, ინტერნეტ-ბანკის კოდებთან და სხვა საბუთებთან ერთად და უზრუნველყოს პლასტიკური ბარათების ხელმოწერა მათი მფლობელების მიერ.

22.4.5. კეთილსინდისიერად, ჯეროვნად და სრულფასოვნად განახორციელოს ამ ხელშეკრულების 22.2.6-22.2.10 ქვეპუნქტებში აღწერილი მოქმედებები.

22.5. კლიენტის მიერ მისი ახალი დასაქმებულის სახელფასო პროექტში ჩართვის შემთხვევაში კლიენტი კვლავ ჩაითვლება ბანკის წარმომადგენლად ამ ხელშეკრულების 22.6-22.2.10 ქვეპუნქტებში აღწერილი შეზღუდული უფლებამოსილებით, ხოლო ამ ხელშეკრულების 22.4 პუნქტის შესაბამისად დასახელებული (დანიშნული) პირი ვალდებული იქნება შეასრულოს ამ ხელშეკრულების 22.2.6-22.2.10 ქვეპუნქტებში აღწერილ ქმედებები კლიენტის ახალ დასაქმებულთან მიმართებით.

## 23. ელექტრონული ხელმოწერა

23.1. *ელექტრონული ხელმოწერა:*

23.1.1. ელექტრონულ ხელმოწერაში იგულისხმება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული და ბანკში მოქმედი სტანდარტების და წესის შესაბამისად, ბანკის მიერ განსაზღვრული საბანკო ოპერაცი(ებ)ის წარმოების/შესრულების ან/და საკრედიტო ან/და სადეპოზიტო პროდუქტებთან დაკავშირებული ან/და ბანკის მიერ განსაზღვრული სხვა შესაბამისი გარიგებების / ხელშეკრულებების / დოკუმენტების დადასტურების / ხელმოწერის მიზნით, კლიენტის მიერ ელექტრონული ფორმით (მათ შორის ელექტრონული ხელმოწერის პლატფორმა Signify-ის მეშვეობით) ხელმოწერის (მათ შორის კვალიფიციური ან განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის) შესრულება.

23.1.2. საბანკო ოპერაციების შესასრულებლად ან/და საკრედიტო ან/და სადეპოზიტო პროდუქტებთან დაკავშირებული ან/და ბანკის მიერ განსაზღვრული სხვა გარიგებების / ხელშეკრულებების / დოკუმენტების დადასტურების / ხელმოწერის მიზნით, კლიენტის მიერ ელექტრონული ფორმით (მათ შორის ელექტრონული ხელმოწერის პლატფორმა Signify-ის მეშვეობით) შესრულებულ ხელმოწერას (მათ შორის კვალიფიციურ ან განვითარებულ ელექტრონული ხელმოწერას), საქართველოს კანონმდებლობისა და მხარეთა წინამდებარე შეთანხმების შესაბამისად, გააჩნია წერილობითი/მატერიალური დოკუმენტისა და პირადი ხელმოწერის ტოლფასი/თანაბარი იურიდიული ძალა.

23.1.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ელექტრონული ფორმით შესრულებულ (მათ შორის ელექტრონული ხელმოწერის პლატფორმა Signify-ის მეშვეობით) და ელექტრონულად ხელმოწერილ საბუთებს/გარიგებებს/ხელშეკრულებებს აქვთ მატერიალური დოკუმენტისა და კლიენტის მიერ პირადი ხელმოწერით დადასტურებული საბუთის/გარიგების/ხელშეკრულების ტოლფასი/თანაბარი იურიდიული ძალა, შესაბამისად საბუთის/გარიგების/ხელშეკრულების ელექტრონული ფორმით შესრულების/ხელმოწერის/გაფორმების საკითხი არ შეიძლება გახდეს მხარეთა შორის დავის წარმოშობის წინაპირობა.

23.1.4. საბანკო ოპერაციის შესრულების / საკრედიტო / სადეპოზიტო პროდუქტებთან დაკავშირებული გარიგებების/ხელშეკრულების ელექტრონულად გაფორმების/ხელმოწერის შემდეგ კლიენტს უფლება აქვს მოსთხოვოს ბანკს მის მიერ ელექტრონული ფორმით შესრულებული საბანკო ოპერაცი(ებ)ის / ელექტრონულად ხელმოწერილი/გაფორმებული გარიგებების/ხელშეკრულებების ქაღალდზე დაბეჭდილი დოკუმენტის ასლის მისთვის გადაცემა.

23.2. *კლიენტი აცხადებს თანხმობას:*

23.2.1. ბანკმა ელექტრონული ხელმოწერის მიზნებისთვის გამოიყენოს ბანკში დაფიქსირებული კლიენტის პირადი მონაცემები, მათ შორის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და მობილური ტელეფონის ნომერი.

23.2.2. შესაბამისი მინდობილობის საფუძველზე, მინდობილი პირის მიერ ბანკთან კლიენტის (მარწმუნებლის) სახელით ელექტრონული ფორმით გარიგების/ხელშეკრულების/დოკუმენტის გაფორმების/ხელმოწერის შემთხვევაში, ბანკმა გამოიყენოს მინდობილი პირის ბანკში დაფიქსირებული პირადი მონაცემები, მათ შორის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და მობილური ტელეფონის ნომერი.

23.2.3. ბანკმა / შპს "ენჯითი როქით სოლუშენსმა" (ს/ნ 405432580, შემდგომში - „ენჯითი“) კლიენტის პერსონალური მონაცემები დაამუშავოს ელექტრონული ხელმოწერის პლატფორმის - Signify-ის მეშვეობით მომსახურების გაწევის / კვალიფიციური, განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის განხორციელების მიზნ(ებ)ისთვის. ბანკი, მათ შორის უფლებამოსილია წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული მიზნ(ებ)ისთვის კლიენტის პერსონალური მონაცემები გადასცეს ენჯითის. კლიენტი აცნობიერებს, რომ წინამდებარე თანხმობა შესაძლებელია ნებისმიერ დროს იქნას გამოთხოვილი,

ინტერნეტბანკით/მობაილბანკით და/ან ფილიალში პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე გაცემული თანხმობის გამოხმობის მოთხოვნის დაფიქსირებით. თანხმობის გამოხმობის შემთხვევაში, შეწყდება კვალიფიციური / განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის გამოყენება, მათ შორის ელექტრონული ხელმოწერის პლატფორმის - Signify-ის მეშვეობით მომსახურების გაწევა.

23.3. კლიენტი (მარწმუნებელი) აცნობიერებს, რომ შესაბამისი მინდობილობის საფუძველზე მინდობილი პირის მიერ კლიენტის (მარწმუნებლის) სახელით ბანკთან განხორციელებული ნებისმიერი ქმედება, გაფორმებული/ხელმოწერილი გარიგება/ხელშეკრულება/დოკუმენტი სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს კლიენტისთვის (მარწმუნებლისთვის), მათ შორის მინდობილი პირის მიერ კლიენტის (მარწმუნებლის) სახელით ელექტრონული ფორმით ხელმოწერილი გარიგება/ხელშეკრულება/დოკუმენტი სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს კლიენტისთვის (მარწმუნებლისთვის).

23.4. ბანკი პასუხს არ აგებს კლიენტის მიერ ან შესაბამისი მინდობილობის საფუძველზე მინდობილი პირის მიერ კლიენტის (მარწმუნებლის) სახელით ბანკში შეცვლილი ან/და ბანკისთვის მიწოდებული კლიენტის (მარწმუნებლის) საკონტაქტო მონაცემების, მათ შორის ელექტრონული ფოსტის მისამართის, მობილური ტელეფონის ნომრის გამოყენებით ბანკის მიერ გაგზავნილი შეტყობინების ან სხვა ნებისმიერი ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტაციის სხვა პირის მიერ მიღებით გამოწვეულ შედეგ(ებ)ზე.

23.5. ბანკი პასუხს არ აგებს კლიენტის მიერ ან შესაბამისი მინდობილობის საფუძველზე მინდობილი პირის მიერ კლიენტის (მარწმუნებლის) სახელით ბანკში შეცვლილი ან/და ბანკისთვის მიწოდებული კლიენტის (მარწმუნებლის) საკონტაქტო მონაცემების სხვა პირის მიერ გამოყენებაზე, მათ შორის კლიენტის მობილური ტელეფონის ნომრის მეშვეობით სხვა პირის მიერ განხორციელებულ ქმედებაზე ან კლიენტის ელექტრონული ფოსტის მისამართიდან სხვა პირის მიერ გამოგზავნილი შეტყობინების ან სხვა ნებისმიერი ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტაციის ბანკის მიერ მიღებით და შესაბამისად ქმედების განხორციელებით/ქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავებით გამოწვეულ შედეგ(ებ)ზე.

## 24. დისტანციური საბანკო მომსახურება (Mail Banking)

24.1. <u>მომსახურების აღწერა</u>

24.1.1. დისტანციურ საბანკო მომსახურება - Mail Banking-ი - გულისხმობს ბანკის მიერ დადგენილი კრიტერიუმების, მოთხოვნების, წესებისა და წინაპირობების კლიენტის მიერ სრულყოფილად დაკმაყოფილების შემთხვევაში, ელექტრონული ფოსტის საშუალებით ბანკისთვის გაგზავნილი/წარდგენილი დავალების შესაბამისად საბანკო ოპერაციების შესრულებას / სხვადასხვა საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტის მიღების სურვილის დაფიქსირებას (ბანკისთვის განაცხადის წარდგენას) და ბანკის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, შესაბამისი მომსახურების/პროდუქტის მიღებას (დადასტურებას) ისევე, როგორც ბანკის მიერ შეთავაზებული საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტების მიღებას (დადასტურებას).

24.1.2. Mail Banking-ით სარგებლობის კრიტერიუმები, მათ შორის შესაბამისი ტარიფები და სხვა ინფორმაცია, განთავსებულია ბანკის ვებგვერდზე - www.tbcbank.ge. ამასთან, ბანკი უფლებამოსილია კონკრეტული მომსახურების მიწოდების პროცესში კლიენტს განუსაზღვროს ცალკეული მოთხოვნები და წინაპირობები წინამდებარე ხელშეკრულების 24.1.1. ქვეპუნქტის შესაბამისად.

24.1.3. ბანკი პასუხს არ აგებს კლიენტის მიერ ბანკისთვის მიწოდებული ელექტრონული ფოსტის მისამართის გამოყენებით ბანკის მიერ გაგზავნილი შეტყობინების ან სხვა ნებისმიერი ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტაციის სხვა პირის მიერ მიღებით გამოწვეულ შედეგ(ებ)ზე.

24.1.4. ბანკი პასუხს არ აგებს კლიენტის მიერ ბანკისთვის მიწოდებული ელექტრონული ფოსტის მისამართიდან სხვა პირის მიერ გამოგზავნილი შეტყობინების ან სხვა ნებისმიერი ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტაციის ბანკის მიერ მიღებით და შესაბამისად ქმედების განხორციელებით/ქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავებით გამოწვეულ შედეგ(ებ)ზე.

24.1.5. ელექტრონული ფოსტის საშუალებით (შემდგომში „დისტანციური საშუალება“) ბანკისთვის გაგზავნილ ნებისმიერ შეტყობინებას / დასტურს / დავალებას / მოთხოვნას / განაცხადს, ნებისმიერი გარიგების (მათ შორის საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული გარიგების) დადასტურებას/გაფორმებას და/ან ხელმოწერილი გარიგების დისტანციური საშუალებებით გაგზავნას, აქვს კლიენტის მიერ დადასტურებული (წერილობითი ფორმით შესრულებული), ქაღალდზე დაბეჭდილი და ხელმოწერილი დოკუმენტის ტოლფასი იურიდიული ძალა.

24.1.6. კლიენტისგან მიღებული ნებისმიერი დავალების/მოთხოვნის შესრულება/არშესრულების საკითხზე ბანკი გადაწყვეტილებას იღებს დამოუკიდებლად, საკუთარი შეხედულებისამებრ.

24.1.7. კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ დისტანციური საშუალებით დაფიქსირებული მისი ნებისმიერი მოთხოვნა (დავალება) საბანკო ინფორმაციის მიღების, სერვისით სარგებლობისთვის რეგისტრაციის, რეგისტრირებულ მონაცემებში (მათ შორის საკონტაქტო მონაცემებში) ცვლილებების შეტანის ან ოპერაციის განხორციელების შესახებ, ისევე, როგორც დისტანციური საშუალებით გაფორმებული ნებისმიერი გარიგება და/ან გარიგების გაფორმების მიზნებისთვის განხორციელებული ნებისმიერი სახის კომუნიკაცია/ქმედება, დაფიქსირდეს ბანკის მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში და დავის შემთხვევაში ასეთ ჩანაწერს ჰქონდეს მტკიცებულებითი ძალა (გამოყენებული იქნეს მტკიცებულებად). მხარეთა შეთანხმებით ასეთი ჩანაწერები/ინფორმაცია მიიჩნევა ბანკის საკუთრებად.

24.1.8. დისტანციური საშუალებით კლიენტს შეუძლია განახორციელოს სხვადასხვა საბანკო ოპერაცია ან/და ქმედება (მათ შორის საკრედიტო პროდუქტის მიღება (დადასტურება), საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტთან დაკავშირებული გარიგებ(ებ)ის

დადება) ამ ხელშეკრულებაში მოცემული და ოპერაციის/ქმედების განხორციელების დროისთვის ბანკის მიერ დადგენილი წესების, მოთხოვნებისა და პირობების შესაბამისად.

24.1.9. დისტანციური საშუალებით საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტის მისაღებად (დასადასტურებლად) / საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტთან დაკავშირებული გარიგებ(ებ)ის დასადებად (გასაფორმებლად), ბანკი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ დააწესოს რიგი მოთხოვნები / წესები, მათ შორის კლიენტის იდენტიფიკაციის მიზნით, რომელთა შეუსრულებლობის შემთხვევაში კლიენტი ვერ მოახდენს საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტის მიღებას (დადასტურებას) / საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტთან დაკავშირებული გარიგებ(ებ)ის დადებას.

## 25. კლიენტის ინფორმირება საგადახდო მომსახურების განხორციელებისას

25.1. წინამდებარე მუხლი არეგულირებს კლიენტისათვის საგადახდო მომსახურების და გადახდის ოპერაციების შესრულებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდების საკითხებს. საგადახდო მომსახურებაზე კლიენტის ინფორმირებასთან დაკავშირებით წინამდებარე მუხლსა და ხელშკერულების სხვა დებულებებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ამ მუხლის დებულებებს.

25.2. საგადახდო მომსახურების შესახებ ინფორმაციის/ხელშეკრულების პირობების ნაწილი, რაც არ არის მოცემული წინამდებარე ხელშეკრულებაში, განთავსებულია ბანკის ინტერნეტ-გვერდზე (www.tbcbank.ge) (შემდგომში - ვებგვერდი) და წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

25.3. წინამდებარე ხელშეკრულებით მხარეთა შორის შეთანხმებულია და რეგულირებულია საგადახდო მომსახურების განხორციელებაზე კლიენტის ინფორმირებასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები (საკითხების დეტალური აღწერა განთავსებულია ბანკის ვებგვერდზე):

25.3.1. ბანკის მონაცემები: დასახელება, სათავო ოფისის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი, ფილიალების მისამართები, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ვებგვერდის მისამართი, ბანკის ლიცენზიის ნომერი, ინფორმაცია საზედამხედველო ორგანოს შესახებ (დასახელება, ვებგვერდის მისამართი), ზედამხედველი ორგანოს პასუხისმგებლობის საკითხი;

25.3.2. ინფორმაცია საგადახდო მომსახურების შესახებ:

25.3.2.1. გასაწევი საგადახდო მომსახურების ძირითადი მახასიათებლების აღწერა;

25.3.2.2 საგადახდო დავალების სათანადოდ შესრულებისათვის აუცილებელი რეკვიზიტები, რომელიც კლიენტმა უნდა მიაწოდოს ბანკს;

25.3.2.3 გადახდის ოპერაციის შესრულებისათვის საჭირო გადამხდელის მიერ თანხმობის გაცემის ან თანხმობის გამოთხოვის ფორმა და პროცედურები;

25.3.2.4 ბანკის მიერ დადგენილი საგადახდო დავალების მიღების დროის მონაკვეთი და დროის ის მომენტი, რომლის შემდეგაც ბანკი წყვეტს საგადახდო დავალების მიღებას. ასევე დროის ის მომენტი, რის შემდგომაც მიღებული საგადახდო დავალება ითვლება მომდევნო სამუშაო დღეს მიღებულად;

25.3.2.5 საქართველოს ტერიტორიაზე საგადახდო მომსახურების განხორციელებისათვის საჭირო მაქსიმალური დრო;

25.3.2.6 საგადახდო ინსტრუმენტისათვის განსაზღვრული ხარჯვის ლიმიტი;

25.3.2.7 ინფორმაცია მომსახურების საკომისიოს და გაცვლითი კურსის შესახებ;

25.3.2.8 კლიენტის მიერ ბანკისათვის გადასახდელი ყველა სახის საკომისიო და მათი გამოთვლის პრინციპი, გარდა ფიქსირებული საკომისიოსი;

25.3.2.9 საორიენტაციო გაცვლითი კურსი და ვალუტის გაცვლის საკომისიო (ასეთის არსებობის შემთხვევაში), თუ საგადახდო მომსახურების გაწევა დაკავშირებულია თანხის კონვერტაციასთან;

25.3.3 მხარეთა შორის შეთანხმებული კომუნიკაციის საშუალებების ტექნიკური აღჭურვილობის მიმართ უსაფრთხოების მოთხოვნები;

25.3.4 ინფორმაცია უსაფრთხოების ღონისძიებებისა და არაავტორიზებული ან არასწორად შესრულებული ოპერაციის შესახებ;

25.3.4.1 კლიენტის მიერ საგადახდო ინსტრუმენტის გამოყენების დროს უსაფრთხოების პირობების აღწერა და ამ პირობების დაცვის მნიშვნელობა, მათ შორის, ამ პირობების დაუცველობით გამოწვეული შესაძლო შედეგი. ასევე, კლიენტის მიერ ინსტრუმენტის დაკარგვის, მოპარვის, სხვის მიერ უკანონოდ მითვისების ან არასანქცირებული გამოყენების დროს პროვაიდერისთვის ინფორმაციის მიწოდების გზები;

25.3.4.2 გარემოებები, რომელთა დადგომის შემთხვევაშიც ბანკს უფლება აქვს დაბლოკოს/შეაჩეროს საგადახდო ინსტრუმენტი;

25.3.4.3 არაავტორიზებული გადახდის ოპერაციის შემთხვევაში გადამხდელის ფულადი პასუხისმგებლობის მოცულობა;

25.3.4.4 არაავტორიზებული ან არასწორად შესრულებული ოპერაციის შესახებ კლიენტის მიერ ბანკისათვის (ან ბანკის მიერ განსაზღვრული სხვა პირისათვის) ინფორმაციის მიწოდების ფორმა და ვადა, ასევე, ბანკის პასუხისმგებლობა არაავტორიზებულ გადახდის ოპერაციაზე;

25.3.4.5 ბანკის პასუხისმგებლობა გადახდის ოპერაციის შეუსრულებლობის, არასწორად ან/და ვადის დარღვევით შესრულების შემთხვევაში;

25.3.4.6 არაავტორიზებული ან არასწორად შესრულებული ოპერაციის შემთხვევაში, ბანკის მიერ მომხმარებლისთვის თანხის უკან დაბრუნების პირობები.

25.4 საგადახდო ინსტრუმენტთან დაკავშირებით მხარეთა ვალდებულებები და აღნიშნული ვალდებულებების განზრახ ან დაუდევრობით შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობის ზომები განთავსებულია ბანკის ვებგვერდზე.

25.5 ბანკი წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული საგადახდო მომსახურებ(ებ)ის შესახებ ერთჯერადად უსასყიდლოდ აწვდის ინფორმაციას კლიენტს.

25.6 კლიენტს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგადახდო მომსახურების პირობების შესახებ ინფორმაცია მიეწოდება ხელშეკრულების დადებამდე ქაღალდის ვერსიით ან/და ვებგვერდზე განთავსებული ფორმით.

25.7 კლიენტს შეუძლია ბანკის ვებგვერდზე გადაამოწმოს უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსების ისტორია საგადახდო ოპერაციის განხორციელების დღიდან 180 დღის განმავლობაში.

25.8 კონკრეტული გადახდის ოპერაციის შესახებ მისაღები ინფორმაცია განთავსებულია ბანკის ვებგვერდზე.

25.9 საგადახდო მომსახურებასთან დაკავშირებული ურთიერთობა ხორციელდება ქართულ ენაზე, თუ მხარეები დამატებით არ შეთანხმდებიან სხვა ენაზე ურთიერთობის განხორციელების თაობაზე.

25.10 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში კლიენტი უფლებამოსილია მიიღოს ინფორმაცია წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესახებ ბანკის ვებგვერდზე განთავსებული ხელშეკრულების ტექსტის მეშვეობით.

25.11 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში კლიენტი უფლებამოსილია მიიღოს ინფორმაცია საგადახდო მომსახურებასთან დაკავშირებით წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

25.12 ბანკს უფლება აქვს ამ მუხლით რეგულირებულ საგადახდო მომსახურების ნაწილში ცვლილებები (დამატებები) შეიტანოს ცვლილების (დამატებების) განხორციელებამდე 1 (ერთი) თვით ადრე ბანკის ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge ან/და ბანკის ფილიალებისა და სერვის ცენტრების შენობებში შესაბამისი ინფორმაციის განთავსების მეშვეობით.

25.13 25.12 პუნქტით გათვალისწინებული 1 თვით ადრე ინფორმაციის განთავსების ვალდებულება არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ხორციელდება საგადახდო მომსახურების საკომისიოს ოდენობის ცვლილება კლიენტის სასარგებლოდ, ასევე იმ ახალ საგადახდო მომსახურებაზე, რომელიც არ ანაცვლებს და/ან არ ცვლის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საგადახდო მომსახურებ(ებ)ას. ბანკს უფლება აქვს ამ პუნქტით გათვალისწინებული ცვლილება ძალაში შეიყვანოს ინტერნეტ-გვერდზე მისი განთავსებისთანავე.

25.14 25.12 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხელშეკრულების პირობებში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილება ჩაითვლება კლიენტთან შეთანხმებულად, თუ კლიენტი ცვლილების ძალაში შესვლამდე არ შეატყობინებს ბანკს, რომ არ ეთანხმება დაგეგმილ ცვლილებას.

25.15 ამ ხელშეკრულების 25.12 პუნქტში აღწერილ შემთხვევაში კლიენტს უფლება ექნება ბანკის ინტერნეტ-გვერდზე ან/და ბანკის ფილიალებისა და სერვის-ცენტრების შენობებში ინფორმაციის განთავსებიდან 1 (ერთი) თვის გასვლამდე ნებისმიერ დროს უარი განაცხადოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგადახდო მომსახურების მიღებაზე ბანკისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. ამ პუნქტით მინიჭებული უფლების განხორციელების (გამოყენების) შემთხვევაში, კლიენტი ვალდებული იქნება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგადახდო მომსახურების შეწყვეტის შესახებ წერილობითი შეტობინების ბანკისთვის გადაცემიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა გადაუხადოს ბანკს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საგადახდო მომსახურებასთან დაკავშირებული საკომისიო, საპროცენტო სარგებელი, დარიცხული პირგასამტეხლო და სხვა გადასახდელი.

25.16 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი არ ისარგებლებს ამ ხელშეკრულების 25.15 პუნქტში აღწერილი უფლებით, ბანკის მიერ შეთავაზებული ნებისმიერი ცვლილება (დამატება) ჩაითვლება კლიენტის მიერ მიღებულად/შეთანხმებულად, ხელშეკრულება კი შეცვლილად, შეთავაზებული პირობების შესაბამისად (25.12 პუნქტით გათვალისწინებული 1 თვიანი ვადის გასვლისთანავე).

25.17 კლიენტის მოთხოვნით ბანკის საგადახდო მომსახურების მიწოდების შეწყვეტა განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

25.18 ბანკს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეწყვიტოს საგადახდო მომსახურების მიწოდება (წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული), შეწყვეტამდე 1 (ერთი) კალენდარული თვით ადრე კლიენტისთვის შეტყობინებით.

25.19 საგადახდო მომსახურების შეწყვეტის შემთხვევაში საგადახდო მომსახურებისთვის რეგულარულად გადასახდელი საკომისიოს გადახდა განხორციელდება მხოლოდ გაწეული საგადახდო მომსახურების პერიოდის პროპორციულად. თუ საგადახდო მომსახურების საკომისიო კლიენტის მიერ გადახდილია წინასწარ, მაშინ ბანკი კლიენტს აუნაზღაურებს ზედმეტად გადახდილ თანხას.

## 26. Priority Pass-ით მომსახურება

26.1. <u>მომსახურების აღწერა</u>

26.1.1. Priority Pass წარმოადგენს აეროპორტებში VIP მოსაცდელების (ე.წ. „ლაუნჯების“) პროგრამას, რომელიც პარტნიორი კომპანიების (VIP ლაუნჯების ოპერატორების) მეშვეობით ემსახურება პროგრამაში ჩართულ წევრებს (კლიენტებს), ხოლო PP ბარათი - PPL-თან შეთანხმებით ბანკის მიერ კლიენტის სახელზე გაცემული Priority Pass ბარათი, რომელიც ადასტურებს პირის მონაწილეობას პროგრამაში და რომლის წარდგენის შემთხვევაში კლიენტს მიეცემა უფლება, შესაბამისი პროცედურებისა და წესების დაცვის პირობით შევიდეს დასვენების ზონაში. ამ მუხლის მიზნებისთვის პროგრამა გულისხმობს PPL-ის (PRIORITY PASS LIMITED მისამართი: ინგლისი, SW6 5NJ, ლონდონი, ფულჰემ როუდ 520) მიერ ორგანიზებულ და დანერგილ პროგრამას, რომელიც მის მონაწილეებს შესაძლებლობას აძლევს შევიდნენ დასვენების ზონებში და, სათანადო პროცედურებისა და წესების დაცვის პირობით, ისარგებლონ შესაბამისი მომსახურებით.

26.2. კლიენტი აცხადებს, რომ:

26.2.1. მისთვის ცნობილი და ნათელია, რომ ბანკი არ კისრულობს ვალდებულებას უზრუნველყოს კლიენტის (მისი თანხმლები პირის) დასვენების ზონაში, აეროპორტის ტერიტორიაზე (იგულისხმება ნებისმიერი საერთაშორისო აეროპორტი, რომელიც ახორციელებს საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვებს, ოპერატორ(ებ)ის მიერ მოწყობილი და/ან ორგანიზებული და მართული ცალკე გამოყოფილი ადგილი, ოთახი და/ან სხვა სივრცე, რომელიც, როგორც წესი, განკუთვნილია პროგრამის მონაწილეთა მისაღებად) შეშვება, აგრეთვე, დასვენების ზონაში კლიენტის (მისი თანმხლები პირის) მიერ დამატებითი მომსახურების მიღება. ბანკის

ერთადერთი ვალდებულებაა წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი ვადის განმავლობაში და/ან Visa Infinite ბარათის/Visa Platinum ბარათის მოქმედების და/ან იმ მომსახურების (რომლის საფუძველზეც კლიენტზე გაიცა PP ბარათი) მოქმედების განმავლობაში უზრუნველყოს პროგრამაში კლიენტის ჩართვა/გაწევრიანება მისთვის PP ბარათის გადაცემის გზით;

26.2.2. კლიენტი გაეცნო პროგრამის პირობებს, მათ შორის, ვებგვერდზე (www.prioritypass.com –პროგრამის ოფიციალური ვებგვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია პროგრამის პირობების, მათ შორის საზღაურის, PP ბარათის გამოყენებისა და დასვენების ზონების შესახებ) არსებულ ინფორმაციას;

26.2.3. კლიენტისთვის ცნობილია და ნათელია, რომ ბანკს კლიენტის მიმართ არ აქვს და არ წარმოეშობა რაიმე სახის ვალდებულება PPL-ის და/ან ოპერატორის მიერ კლიენტის მიმართ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე/არაჯეროვან შესრულებაზე. პროგრამაში მონაწილეობის პირობები მოცემულია ვებგვერდზე.

26.3. კლიენტი ვალდებულია, ბანკის შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან ბანკის მიერ მითითებულ ვადაში ან ამგვარი ვადის არარსებობის შემთხვევაში 5 (ხუთი) საბანკო დღეში, ბანკს წარუდგინოს ნებისმიერი მოთხოვნილი ინფორმაცია და დოკუმენტი, მათ შორის კლიენტის ფინანსური და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე, ინფორმაცია დასვენების ზონაში კლიენტის (მისი თანმხლები პირის) შესვლის შესახებ.

26.4. მომსახურების ღირებულება განისაზღვრება PPL–ის მიერ. მომსახურების ღირებულების შესახებ ინფორმაცია შეიძლება მოპოვებული იყოს ვებგვერდზე.

26.5. იმ შემთხვევაში, თუ PP ბარათის მიღების სურვილს გამოთქვამს Visa Platinum ბარათის მფლობელი კლიენტი, ბანკს უფლება აქვს შეცვალოს მისი ანგარიშის მომსახურების საკომისიო. ამასთან, საკომისიო გადახდილი უნდა იყოს ბანკის მიერ დადგენილ ვადაში.

26.6. PPL-თან არსებული ხელშეკრულების, აგრეთვე, პროგრამის პირობების შესაბამისად, PPL-ის მიერ ბანკისათვის წარმოდგენილი ანგარიშის საფუძველზე, ბანკი PPL-ს გადაუხდის მომსახურების ღირებულებას, რომელიც კლიენტმა უნდა აანაზღაუროს ამ მუხლით დადგენილი წესით.

26.7. კლიენტი კისრულობს ვალდებულებას, სრულად აუნაზღაუროს ბანკს ამ უკანასკნელის მიერ PPL-ისათვის გადახდილი მომსახურების ღირებულება. ამ მიზნით კლიენტი თანახმაა და წინამდებარე პირობებით ბანკს აძლევს დავალებას, ბანკში გახსნილი მისი ნებისმიერი ანგარიშიდან, მისი მხრიდან დამატებითი თანხმობის გარეშე, ჩამოჭრას საზღაურის ანაზღაურებისათვის საჭირო თანხა.

26.8. კლიენტს უფლება აქვს, ბანკისაგან მოითხოვოს ინფორმაცია გადახდილი მომსახურების ღირებულების ოდენობის შესახებ.

26.9. იმ შემთხვევაში, თუ ბანკის მიერ PPL-ისათვის გადახდილია მომსახურების ღირებულება, ხოლო ანგარიშზე/ანგარიშებზე არ არის საკმარისი თანხა შესაბამისი მომსახურების ღირებულების ასანაზღაურებლად, კლიენტი კისრულობს ვალდებულებას ბანკის შესაბამისი მოთხოვნიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში ბანკის სასარგებლოდ შეასრულოს შესაბამისი ანგარიშსწორება.

26.10. თუ ბანკის და/ან PPL-ის მიერ სხვაგვარად არ იქნება განსაზღვრული, PP ბარათი გაიცემა 2 წლის ვადით.

26.11. იმ შემთხვევაში, თუ ვადის გასვლის ან სხვა საფუძვლის გამო გაუქმდება Visa Infinite ბარათი/ Visa Platinum ბარათი და/ან აღარ იარსებებს ის საფუძველი, რის შედეგადაც კლიენტზე გაიცა PP ბარათი, ბანკს წარმოექმნება უფლება კლიენტის გაფრთხილების თუ თანხმობის გარეშე გააუქმოს PP ბარათი. ამასთან, მიუხედავად PP ბარათის ვადის გასვლის ან გაუქმებისა, კლიენტი ვალდებულია, შეასრულოს ამ მუხლის 26.4-26.7 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებები. ამასთან, თუ ამ მუხლით გათვალისწინებულ მომსახურებასთან დაკავშირებით ბანკს წარმოექმნება რაიმე ხარჯი, დაეკისრება თანხის (მათ შორის, ჯარიმის) გადახდა ან მიადგება რაიმე სახის (მათ შორის, არამატერიალური) ზიანი, კლიენტი ვალდებულია, ბანკს გადაუხადოს შესაბამისი თანხა და აუნაზღაუროს ზიანი.

## 27. მომსახურება "თი-ბოტი"

27.1 <u>მომსახურების აღწერა.</u>

27.1.1 საბანკო მომსახურება - „თი-ბოტი“ (შემდგომში „მომსახურება“) გულისხმობს ბანკის მიერ დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე და დადგენილი პირობებით საბანკო ოპერაციების შესრულებას კლიენტის მიერ ქართულ ენაზე, Messenger-ის პროგრამის საშუალებებით, ბანკისთვის გაგზავნილი დავალების შესაბამისად.

27.1.2 ბანკს უფლება აქვს რისკების შემცირების მიზნით კლიენტის მიერ „მომსახურების“ მეშვეობით განსახორციელებელ საბანკო ოპერაციებზე ცალმხრივად დააწესოს ლიმიტები/შეზღუდვები.

27.2 მხარეები თანხმდებიან, რომ ელექტრონული ფორმით (Messenger-ის სასაუბრო ველში) დაფიქსირებულ მოთხოვნას საბანკო ოპერაციის შესრულებაზე აქვს მატერიალურ დოკუმენტზე ხელმოწერის ტოლფასი იურიდიული ძალა. კლიენტს უფლება აქვს მოსთხოვოს ბანკს მის მიერ ელექტრონული ფორმით შესრულებული საბანკო ოპერაცი(ებ)ის ტოლფასი იურიდიული ძალის მქონე, ქაღალდზე დაბეჭდილი, დოკუმენტის ასლის მისთვის გადაცემა.

27.3 მომსახურების ეფექტურად განხორციელების მიზნით, საბანკო ოპერაციის შესრულებაზე მიცემული დავალება ავტომატურად გამოიწვევს კლიენტის მონაცემების ჩვენებას დაცულ არხში (web view), რა მიზნითაც მოხდება კლიენტის პერსონალური მონაცემების დამუშავება ბანკის მიერ.

27.4 კლიენტის იდენტიფიკაცია:

27.4.1 კლიენტი "მომსახურებით" სარგებლობისთვის რეგისტრაციას/ავტორიზაციას ახორციელებს მისი პირადი ნომრის დაფიქსირებით, რის საფუძველზეც იღებს შეტყობინებას ბანკში დარეგისტრირებულ მისი მობილური ტელეფონის ნომერზე, რომელიც წარმოადგენს ერთჯერად კოდს კლიენტის მიერ ოპერაციის დადასტურებისთვის.

27.4.2 ამ ხელშეკრულების 27.4.1 ქვეპუნქტში აღნიშნული კოდის პირველივე გამოყენების შემდეგ, კლიენტი ვალდებულია შეცვალოს ერთჯერადი პაროლი. პაროლის განახლება/აღდგენა შესაძლებელია სმს-ის საშუალებით.

27.4.3 კლიენტი ვალდებულია, დაიცვას მის მიერ შექმნილი პაროლის კონფიდენციალობა და არ დაუშვას მისი მესამე პირისთვის გადაცემა.

27.4.4 კლიენტი ვალდებულია უზრუნველყოს Messenger-ის ველში დაფიქსირებული მიმოწერის უსაფრთხოება და კონფიდენციალობა. წინამდებარე მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში, ბანკი არ არის პასუხისმგებელი მოსალოდნელ შედეგზე.

27.4.5 ერთჯერადი კოდის გამჟღავნების შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს ამის შესახებ წერილობით, ინტერნეტ-ბანკის მეშვეობით ან ზეპირად (ქოლ-ცენტრში, ბანკში რეგისტრირებული მობილურის ნომრიდან განხორციელებული შეტყობინების მეშვეობით).

27.4.6 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის ბრალეულობით პაროლი ცნობილი გახდა მესამე პირისთვის, ბანკი თავისუფლდება ყოველგვარი პასუხიმგებლობისაგან.

27.5 კლიენტის განცხადებები, დავალებები და თანხმობები:

27.5.1 კლიენტი აცხადებს, რომ მხოლოდ შესაბამისი "მომსახურების" პირობების დეტალურად შესწავლის შემდეგ დარეგისტრირდება ამ სერვისის მომხმარებლად და რომ ამ ხელშეკრულების 27.4.1 პუნქტში დასახელებული კოდით მიწერილი პირადი ნომრითა და შექმნილი პაროლის გამოყენებით "მომსახურებით" სარგებლობის ნების გამოხატვა (პროგრამის მეშვეობით) ჩაითვლება მის თანხმობად იმ პირობებზე, რომლის მომხმარებლადაც დარეგისტრირდება კლიენტი.

27.5.2 ამ ხელშეკრულებით კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ მისი ნებისმიერი მოთხოვნა (დავალება) საბანკო ინფორმაციის მიღების, "მომსახურებით" სარგებლობისთვის რეგისტრაციის, ოპერაციის განხორციელების შესახებ, დაფიქსირდეს ბანკის მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში და დავის შემთხვევაში ასეთ ჩანაწერს ჰქონდეს მტკიცებულებითი ძალა. მხარეთა შეთანხმებით ასეთი ჩანაწერები მიიჩნევა ბანკის საკუთრებად და შენახულ იქნება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადით.

27.6 ბანკი იძლევა გარანტიას კლიენტის მიერ შესრულებული საბანკო ოპერაციის საიმედოდ დაცვის შესახებ. "მომსახურების" შესახებ დეტალური ინფორმაცია და პირობები განთავსებულია ბანკის ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge.

## 28. ვებგვერდის საშუალებით წინასწარ დამტკიცებული საკრედიტო პროდუქტის მიღება

28.1. ამ ხელშეკრულების საფუძველზე კლიენტს/მსესხებელს შეუძლია სპეციალური ვებგვერდის - www.tbccredit.ge (შემდგომში „ვებგვერდი") საშუალებით მიიღოს ინფორმაცია მის სახელზე ბანკის მიერ ცალმხრივად, კლიენტის განაცხადის (მოთხოვნის) გარეშე, დამტკიცებული საკრედიტო პროდუქტის (შეთავაზების) შესახებ (არსებობის შემთხვევაში) და სურვილისამებრ მოახდინოს შეთავაზებების მიღება (დადასტურება) ბანკის მიერ წინასწარ დადგენილი პროცედურების სრულყოფილად გავლის შემდგომ.

28.2. საკრედიტო პროდუქტის მისაღებად კლიენტმა ვებგვერდზე უნდა დააფიქსიროს მისი პირადი ნომერი და ბანკის მიერ წინასწარ დადგენილი პროცედურების შესაბამისად, უნდა გაიაროს ავტორიზაცია მობილური ტელეფონის ნომრის საშუალებით.

28.3. ბანკის მიერ კლიენტისათვის ცალმხრივად შეთავაზებული საკრედიტო პროდუქტის მიღებამდე, კლიენტის იდენტიფიკაციისთვის შესაძლოა ბანკმა საკუთარი შეხედულებისამებრ დააწესოს დამატებითი მექანიზმები (მოთხოვნები), რომლის დაუცველობის შემთხვევაში, კლიენტი ვერ მოახდენს შეთავაზებული საკრედიტო პროდუქტის მიღებას (დადასტურებას).

28.4. მხარეები თანხმდებიან, რომ დისტანციური/ელექტრონული საკომუნიკაციო არხების საშუალებით (ელექტრონული ფორმით) დადასტურებულ საკრედიტო პროდუქტის ხელშეკრულებას აქვს ქაღალდზე დაბეჭდილი და კლიენტის/მსესხებლის მიერ ხელმოწერით დადასტურებული საბუთის ტოლფასი იურიდიული ძალა, შესაბამისად ხელშეკრულების ელექტრონული ფორმით დადასტურების საკითხი არ შეიძლება გახდეს მხარეთა შორის დავის წარმოშობის წინაპირობა.

28.5. წინასწარ დამტკიცებული საკრედიტო პროდუქტის ვებგვერდის საშუალებით მიღების (დადასტურების) დეტალური ინფორმაცია განთავსებულია ბანკის ვებგვერდზე - www.tbcbank.ge.

## 29. დაგროვების სერვისი „ჩემი ყულაბა"

29.1. დაგროვების სერვისი „ჩემი ყულაბა" არის საბანკო მომსახურება, რომელიც კლიენტს აძლევს საშუალებას დააგროვოს დეპო-ზიტ(ებ)ზე თანხა წინასწარ განსაზღვრული დაგროვების სქემის (შემდგომ „დაგროვების სქემა") შესაბამისად.

29.2. დაგროვების სერვისის „ჩემი ყულაბა" გააქტიურების მიზნით კლიენტი უნდა გამოცხადდეს ბანკში და/ან ბანკისათვის მისაღები სხვა ფორმით (ინტერნეტ-ბანკის ან/და ბანკის მიერ განსაზღვრული სხვადისტანციური/ელექტრონული საკომუნიკაციო არხების საშუალებით გაკეთებული განაცხადის საფუძველზე) შეავსოს განაცხადი.

29.3. დაგროვების სერვისის „ჩემი ყულაბა" გააქტიურება დასაშვებია მხოლოდ იმ ანგარიშ(ებ)ზე, რომელზეც რეგისტრირებულია ბარათი („ვიზა" (VISA) ან „მასთერქარდ" (MasterCard) სადებეტო პლასტიკური ბარათი).

29.4. დაგროვების სერვისის „ჩემი ყულაბა" გააქტიურების თარიღი, ვადა, დაგროვების სქემა და სხვა დეტალები განისაზღვრება განაცხადით.

29.5. განაცხადით კლიენტი ირჩევს იმ დეპოზიტ(ებ)ს, რომელზეც სურს დაგროვების სერვისის „ჩემი ყულაბა" გააქტიურება. ამასთან, კლიენტი წინასწარ, განაცხადითვე განსაზღვრავს მარტივი დაგროვების სერვისი „ჩემი ყულაბა" გავრცელდეს ყოველ ახალ

გახსნილ ანგარიშ(ებ)ზე თუ არა. თუ კლიენტს გააქტიურებული აქვს რამდენიმე დაგროვების სქემა - ყოველ ახალ გახსნილ ანგარიშზე ავტომატურად გაატიურდება ყველა არსებული დაგროვების სქემა. კლიენტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განაცხადით შეცვალოს/დააკორექტიროს/გააუქმოს ანგარიშ(ებ)ზე მარტივი დაგროვების სერვისის -„ჩემი ყულაბა" გავრცელება.

29.6. დაგროვების სქემა შეიძლება იყოს ორი სახის: დაგროვების სქემა ფიქსირებული ერთეულით - თანხის დაგროვების მეთოდი, როდესაც ყოველი ტრანზაქციის შესრულების შემდეგ განაცხადში მითითებული ფიქსირებული ერთეულის შესაბამისი თანხა ტრანზაქციის ვალუტით ავტომატურად იქნება გადატანილი შერჩეულ დეპოზიტზე და დაგროვების სქემა თანხის დამრგვალებით - თანხის დაგროვების მეთოდი, როდესაც ყოველი ტრანზაქციის შესრულების შემდეგ ტრანზაქციის თანხა დამრგვალდება უახლოეს ჯერადამდე ტრანზაქციის ვალუტით, ხოლო ტრანზაქციის თანხასა და დამრგვალებულ თანხას შორის სხვაობის გადატანა მოხდება კლიენტის მიერ შერჩეულ დეპოზიტ(ებ)ზე.

29.7. კლიენტი უფლებამოსილია ერთ ანგარიშზე და/ან სხვადასხვა ანგარიშზე გააქტიუროს რამდენიმე დაგროვების სქემა. ამასთან, რამდენიმე დაგროვების სქემის გააქტიურებისას, ანგარიშზე ყველა მათგანის შესასრულებლად საკმარისი ნაშთის არარსებობის შემთხვევაში, დეპოზიტზე დასაგროვებელი თანხის გადატანა მოხდება სქემით – დაგროვების სქემა ფიქსირებული ერთეულით.

29.8. ტრანზაქციის შესრულების შემდეგ დასაგროვებელი თანხის კლიენტის მიერ შერჩეულ დეპოზიტ(ებ)ზე გადატანა მოხდება სრულად. იმ შემთხვევაში, თუ ტრანზაქციის შესრულების შემდეგ ანგარიშზე არსებული ნაშთი დასაგროვებელ თანხაზე ნაკლები იქნება, დასაგროვებელი თანხის ნაწილობრივად გადატანა და/ან ტრანზაქციის დამახსოვრება (მოგვიანებით გადატანა) არ მოხდება.

29.9. იმ შემთხვევაში თუ განაცხადი ითვალისწინებს ერთზე მეტ შერჩეულ დეპოზიტს – დასაგროვებელი თანხა (თანხა, რომელიც დაგროვების სქემის ფარგლებში გადატანილი უნდა იქნეს შერჩეულ დეპოზიტზე. კერძოდ: განაცხადში მითითებული ფიქსირებული ერთეულის შესაბამისი თანხა ტრაზაქციის ვალუტში ან/და ტრანზაქციის თანხასა და უახლოეს ჯერადამდე დამრგვალებულ თანხას შორის სხვაობა) პროპორციულად გადანაწილდება განაცხადით შერჩეულ დეპოზიტ(ებ)ზე, ხოლო განაცხადით განსაზღვრული რომელიმე შერჩეული დეპოზიტის დახურვის შემთხვევაში დასაგროვებელი თანხა პროპორციულად გადანაწილდება დარჩენილ (მოქმედ) შერჩეულ დეპოზიტ(ებ)ზე. ამასთან, თუ შერჩეული დეპოზიტის ვალუტა განსხვავებულია ტრანზაქციის ვალუტისგან, ბანკი უფლებამოსილია კონვერტაცია გააკეთოს კონვერტაციის მომენტში ბანკში არსებული კომერციული კურსის შესაბამისად და კონვერტაციის შედეგად მიღებული თანხა გადაიტანოს შერჩეულ დეპოზიტზე. თუ კლიენტს არ აღმოაჩნდა საკმარისი თანხა ანგარიშზე იმ ვალუტაში, რომელშიც განხორციელდა ტრანზაქცია ბანკი უფლებამოსილია არ შეასრულოს დასაგროვებელი თანხის გადატანა შერჩეულ დეპოზიტზე.

29.10. იმ შემთვევაში თუ განაცხადით არ არის განსაზღვრული დაგროვების სერვისის „ჩემი ყულაბა" ვადა, ბანკის მიერ დაგროვების სერვისის გაუქმება მოხდება ყველა იმ ანგარიშის დახურვისთანავე, რომელზეც გააქტიურებულია ეს სერვისი და/ან ყველა იმ შერჩეული დეპოზიტის დახურვისთანავე, რომელზე თანხის დაგროვების მიზნითაც გააქტიურებულია დაგროვების სერვისი „ჩემი ყულაბა".

29.11. დასაგროვებელი თანხის შერჩეულ დეპოზიტზე გადატანა მოხდება ტრანზაქციის დასრულებისა და ტრანზაქციის საბანკო ამონაწერში ასახვის შემდეგ სამუშაო დღეს.

29.12. კლიენტი უფლებამოსილია დაგროვების სერვისის „ჩემი ყულაბის" დუხურვის ოპერაცია განახორციელოს SMS კოდით დადასტურების საფუძველზე, რომელსაც გააჩნია წერილობითი ფორმით შესრულებული, ქაღალდზე დაბეჭდილი, კლიენტის მიერ ხელმოწერით დადასტურებული საბუთის ტოლფასი იურიდიული ძალა..

29.13. ამ მუხლის მიზნებისთვის ტერმინი დეპოზიტი გულისხმობს საბანკო ანგარიშს, რომელზეც აღირიცხება მოთხოვნამდე ან გარკვეული ვადით განთავსებული ფულადი სახსრები (მათ შორის საბავშვო დეპოზიტი), რომელზეც, ბანკში მოქმედი წესების თანახმად, დაშვებულია თანხის დამატება, ხოლო ტერმინი ტრანზაქცია - ბარათით, როგორც საგადახდო საშუალებით, საქონლის ან მომსახურების შეძენისთვის გამყიდველს/მომსახურების ობიექტს და ბარათის მფლობელს შორის განხორციელებულ დებეტურ ოპერაციას. ტერმინი ტრანზაქცია არ მოიცავს კონვერტაციას, კლიენტის ანგარიშებს შორის თანხის გადარიცხვასა და ბანკის სალაროდან თანხის გამოტანას გარდა შემთხვევებისა, როცა თანხის განაღდება ფილიალიდან ხდება პოს ტერმინალის მეშვეობით.

## 30. დისტანციური საბანკო მომსახურება (Digital Wallet)

30.1 <u>Digital Wallet-ით მომსახურება გულისხმობს:</u>

30.1.1 Apple Pay-ს / Google Pay-ს / Garmin Pay-ს საშუალებით კლიენტის მიერ ბანკში გამოუცხადებლად მის კუთვნილ მობილური ტელეფონის აპარატში და/ან „Garmin"-ის საათში (შემდგომში „ჭკვიანი საათი") ჩაწერილი (ინსტალირებული) პროგრამული მოდულის/აპლიკაციის (შემდგომში „პროგრამის") გამოყენებით ბანკის მიერ განსაზღვრული:

30.1.1.1 ბანკომატში / პოს ტერმინალში / სწრაფი გადახდის ტერმინალებში (რომელთაც გააჩნიათ უკონტაქტო ტრანზაქციების მხარდაჭერა) ბანკის მიერ წინასწარ დადგენილი ლიმიტების ფარგლებში სხვადასხვა საბანკო ოპერაციის განხორციელებას / თანხის განაღდებას (პლასტიკური ბარათის გამოყენების გარეშე);

30.1.1.2 პროგრამის მეშვეობით განხორციელებული საბანკო ოპერაციების შესახებ ინფორმაციის მიღებას.

30.1.2 Digital Wallet-ის მობილური ტელეფონის აპარატში და/ან ჭკვიან საათში გააქტიურების პროცედურა, პროგრამით სარგებლობისთვის დაწესებული აუცილებელი მოთხოვნები და პროგრამის მოხმარების წესები, დეტალურად არის აღწერილი ბანკის ინტერნეტ-გვერდზე - www.tbcbank.ge განთავსებულ საინფორმაციო მასალაში.

30.1.3 Digital Wallet-ით მომსახურებაზე ვრცელდება ამ ხელშეკრულების პირობები.

30.2 <u>კლიენტის იდენტიფიკაცია</u>

30.2.1 კლიენტი საბანკო მომსახურებით (პროგრამით) სარგებლობისთვის ავტორიზაციას ახორციელებს ამ ხელშეკრულების 30.1.2 ქვეპუნქტში მითითებულ ვებგვერდზე განთავსებულ საინფორმაციო მასალაში მოხსენებული პას კოდის ან თითის ანაბეჭდის ან პინ კოდის გამოყენებით.

30.2.2 პას კოდის / თითის ანაბეჭდის / პინ კოდის გამოყენება სავალდებულოა როგორც პროგრამაში ავტორიზაციისათვის, ასევე რიგ შემთხვევებში, პროგრამის საშუალებით განხორციელებული საბანკო ოპერაციების დასადასტურებლად.

30.2.3 კლიენტი ვალდებულია დაიცვას მის მიერ შექმნილი პას კოდის / პინ კოდის კონფიდენციალობა და არ დაუშვას მისი მოხვედრა მესამე პირის განკარგულებაში.

30.2.4 მისი კუთვნილი მობილური ტელეფონის აპარატის / ჭკვიანი საათის სხვა პირისთვის გადაცემის წინ, კლიენტი ვალდებულია წაშალოს მობილური ტელეფონის აპარატის / ჭკვიანი საათის მეხსიერებაში ჩაწერილი პროგრამა ან განახორციელოს მისი ანგარიშ(ებ)ის დეაქტივაცია ამავე პროგრამის მეშვეობით.

30.2.5 პას კოდის / პინ კოდის გამჟღავნების ან მობილური ტელეფონის / ჭკვიანი საათის დაკარგვის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ ბანკს სატელეფონო სერვის ცენტრში ნომერზე: +995 32 227 27 27 დარეკვით ან ბანკის ფილიალში ვიზიტით.

30.2.6 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მიზეზით პას კოდი / პინ კოდი ან მობილური ტელეფონი / ჭკვიანი საათი ხელმისაწვდომი გახდა მესამე პირისთვის, ბანკი თავისუფლდება ყოველგვარი პასუხიმგებლობისაგან ამით გამოწვეულ შედეგებზე.

30.2.7 ბანკი ვალდებულია კლიენტის მიერ პას კოდის / პინ კოდის გამჟღავნების ან ტელეფონის / ჭკვიანი საათის დაკარგვის თაობაზე ზეპირი (ტელეფონით) ან წერილობითი შეტყობინების საფუძველზე უზრუნველყოს კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე Digital Wallet-ით მომსახურების შეჩერება (დაბლოკვა) კლიენტის მხრიდან ახალი დავალების მიღებამდე. ზეპირი შეტყობინების შემთხვევაში, კლიენტის იდენტიფიკაცია მოხდება ბანკის მიერ დადგენილი წესების, მოთხოვნებისა და პირობების შესაბამისად.

## 31. მომსახურება - Space

31.1 <u>მომსახურების აღწერა</u>

31.1.1 Space-ით მომსახურება გულისხმობს კლიენტის მიერ ბანკში გამოუცხადებლად (დისტანციურად) მის კუთვნილ მობილური ტელეფონის აპარატში ჩაწერილი (ინსტალირებული) პროგრამული მოდულის/აპლიკაციის (შემდგომში „პროგრამის“) გამოყენებით და/ან ბანკის ვებგვერდის - www.space.ge საშუალებით, ბანკის მიერ განსაზღვრული:

31.1.1.1 საბანკო ინფორმაციის მიღებას;

31.1.1.2 ბანკის მიერ დადგენილი ლიმიტების ფარგლებში სხვადასხვა საბანკო ოპერაციის განხორციელებას;

31.1.1.3 სხვადასხვა საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პრუდუქტის მიღების სურვილის დაფიქსირებას (ბანკისთვის განაცხადის წარდგენას) და ბანკის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მათ მიღებას (დადასტურებას);

31.1.1.4 როგორც სს „თიბისი ბანკის“, ასევე საქართველოში რეგისტრირებული ნებისმიერი კომერციული ბანკის მიერ გამოშვებული (ემიტირებული) პლასტიკური ბარათის, როგორც საგადახდო საშუალების, აპლიკაციაში / ვებგვერდზე დამატება და/ან დამატებული ბარათის გაუქმებას;

31.1.1.5 საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიშ(ებ)ის გახსნას ან/და ამავე არხის საშუალებით გახსნილი ანგარიშის დახურვას;

31.1.1.6 სხვადასხვა საბანკო მომსახურებით (სერვისით) სარგებლობისთვის რეგისტრაციას და რეგისტრირებულ მომსახურებაში ცვლილებების შეტანის ან/და გაუქმების მოთხოვნის (სურვილის) დაფიქსირებას;

31.1.1.7 ბანკის მიერ კლიენტისთვის შეთავაზებებული სხვადასხვა საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტის შესახებ ინფორმაციის მიღებას და სურვილისამებრ, შეთავაზებული საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტის მიღებას (დადასტურებას).

31.1.2 Space-ით მომსახურებაზე ვრცელდება ამ ხელშეკრულების პირობები ამ მუხლით დადგენილი გამონაკლისების გათვალისწინებით (მათი არსებობის შემთხვევაში).

31.1.3 Space-ის საშუალებით კლიენტს შეუძლია განახორციელოს სხვადასხვა საბანკო ოპერაცია ან/და ქმედება (მათ შორის საკრედიტო პროდუქტის მიღების სურვილის დაფიქსირება (ბანკისთვის განაცხადის წარდგენა) და ბანკის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მიღება (დადასტურება)) ამ ხელშეკრულებაში მოცემული და/ან ოპერაციის/ქმედების განხორციელების დროისთვის (მომენტისთვის), ბანკის მიერ დადგენილი წესების, მოთხოვნებისა და პირობების (პროცედურების და პოლიტიკის) შესაბამისად / სრულყოფილი დაცვით.

31.1.4 Space-ის საშუალებით კლიენტის მიერ მოთხოვნილი და/ან ბანკის მიერ შეთავაზებული საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტის მისაღებად (დასადასტურებლად), ბანკი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ, კლიენტის იდენტიფიკაციის მიზნით, დააწესოს დამატებითი მექანიზმები (მოთხოვნები), რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაში კლიენტი ვერ მოახდენს მის მიერ მოთხოვნილი და/ან ბანკის მიერ შეთავაზებული საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტის მიღებას (დადასტურებას).

31.1.5 Space-ის რეგისტრაციის პროცედურა, მომსახურებით სარგებლობისთვის დაწესებული აუცილებელი მოთხოვნები (კრიტერიუმები), მომსახურების ტარიფები და მოხმარების წესები (მომსახურების აღწერა), დეტალურად არის აღწერილივებგვერდზე - www.space.ge განთავსებულ საინფორმაციო მასალაში.

31.1.6 კლიენტისგან მიღებული დავალების შესრულება/შეუსრულებლობის საკითხზე ბანკი გადაწყვეტილებას იღებს წინამდებარე ხელშეკრულებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

31.1.7 Space-ის აპლიკაციის / ვებგვერდის საშუალებით გახსნილი ანგარიშ(ებ)ის გამოყენების შესაძლებლობა (მისი საშუალებით საბანკო ოპერაციების განხორციელება, ანგარიშების მეშვეობით განხორციელებული ოპერაციების შესახებ ინფორმაციის მიღება, ანგარიშზე განთავსებული ნაშთის შესახებ ინფორმაციის მიღება და სხვ.), შესაძლებელი იქნება მხოლოდ Space-ის აპლიკაციაში / ვებგვერდზე და მისი ბანკის სხვა არხებით (მათ შორის ბანკის ფილიალსა და სერვისცენტრში) გამოყენების შესაძლებლობა შეზღუდული იქნება.

**31.2 კლიენტის იდენტიფიკაცია**

31.2.1 კლიენტი Space-ის მომსახურებით (მათ შორის პროგრამით) სარგებლობისთვის რეგისტრაციას და/ან ავტორიზაციას ახორციელებს ამ ხელშეკრულების 31.1.5 ქვეპუნქტში მითითებულ ვებგვერდზე განთავსებულ საინფორმაციო მასალაში ბანკის მიერ დადგენილი (გათვალისწინებული) პროცედურის შესაბამისად.

31.2.2 კლიენტი ვალდებულია დაიცვას მომსახურების (მათ შორის პროგრამის) რეგისტრაციის / ავტორიზაციის დროს მის მიერ შექმნილი პაროლ(ებ)ის კონფიდენციალობა და არ დაუშვას მისი მოხვედრა მესამე პირის განკარგულებაში.

31.2.3 მისი კუთვნილი მობილური ტელეფონის აპარატის სხვა პირისთვის გადაცემის წინ კლიენტი ვალდებულია წაშალოს მობილური ტელეფონის აპარატის მეხსიერებაში ჩაწერილი პროგრამა.

31.2.4 პაროლ(ებ)ის გამჟღავნების ან მობილური ტელეფონის დაკარგვის შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ ბანკს სატელეფონო სერვის ცენტრში ნომერზე: +995 32 2711 711 დარეკვით.

31.2.5 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მიზეზით პაროლ(ებ)ი ან მობილური ტელეფონი ხელმისაწვდომი გახდა მესამე პირისთვის, ბანკი თავისუფლდება ყოველგვარი პასუხიმგებლობისაგან ამით გამოწვეულ შედეგებზე.

31.2.6 კლიენტის მიერ პაროლის გამჟღავნების (თუ პაროლი ხელმისაწვდომი გახდა მესამე პირისთვის) ან ტელეფონის დაკარგვის თაობაზე შეტყობინების საფუძველზე, ბანკი უზრუნველყოფს Space-ის მომსახურების შეჩერებას (დაბლოკვას) კლიენტის მხრიდან ახალი დავალების მიღებამდე.

**31.3 კლიენტის განცხადებები, დავალებები და თანხმობები**

31.3.1 ამ ხელშეკრულებით კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ მისი ნებისმიერი მოთხოვნა (დავალება) საბანკო ინფორმაციის მიღების, სერვისით სარგებლობისთვის რეგისტრაციის, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების შეტანის ან ოპერაციის განხორციელების შესახებ, დაფიქსირდეს ბანკის მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში და დავის შემთხვევაში ასეთ ჩანაწერს ექნება მტკიცებულებითი ძალა (გამოყენებული იქნეს მტკიცებულებად). ამავდროულად, კლიენტის ნებისმიერ შეტყობინებას / დავალებას / მოთხოვნას / განაცხადს / დასტურს აქვს კლიენტის მიერ დადასტურებული (წერილობითი ფორმით შესრულებული და ხელმოწერილი) ქაღალდზე დაბეჭდილი საბუთის ტოლფასი იურიდიული ძალა.

31.3.2 Space-ით განხორციელებული კომუნალური გადახდებისას, კლიენტი ვალდებულია დაიცვას აბონენტის ნომრის ჩაწერის ფორმატი, წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია გააუქმოს ტრანზაქცია და დააბრუნოს გადახდილი თანხა კლიენტის ანგარიშზე.

## 32. MASTERCARD AIRPORT EXPERIENCE პროგრამა

32.1. MASTERCARD AIRPORT EXPERIENCE წარმოადგენს საერთაშორისო პროგრამას (შემდგომში „პროგრამა“ ან „მომსახურება“), რომელიც MC World Elite Premium Main სადებეტო და საკრედიტო ბარათის (შემდგომში „ბარათი“) მფლობელ თიბისი კონცეპტ კლიენტებს (ფიზიკურ პირებს) ანიჭებს ადგილობრივ და საერთაშორისო აეროპორტებში სპეციალურ Lounge key მოსაცდელებში/დასვენების ზონაში („ლაუნჯებში“) შესვლის უფლებას. პროგრამა ორგანიზებულია LoungeKey Ltd-ს (შემდგომში „LKL“) მიერ და ახორციელებს მასტერქარდი. თიბისი კონცეპტ კლიენტი გულისხმობს ბანკის მომხმარებელს, რომელთანაც გაფორმებულია თიბისი კონცეპტ მომსახურების შესახებ ხელშეკრულება.

32.2. ბარათზე მომსახურების გააქტიურებისთვის და პროგრამით სარგებლობისთვის ბარათის მფლობელი ბანკის ფილიალში ან/და დისტანციური არხების საშუალებით აფიქსირებს შესაბამის განაცხადს. კლიენტი აცნობიერებს, რომ ბანკი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ დააკმაყოფილოს კლიენტის მოთხოვნა ან/და უარი უთხრას მომსახურებით სარგებლობაზე.

32.3. კლიენტი აცნობიერებს, რომ პროგრამაში გაწევრიანების შემდეგ ენიჭება მხოლოდ Lounge key მოსაცდელებში შესვლის უფლება, ამასთან, შესვლის საფასურს და Lounge key მოსაცდელებში არსებული სხვადასხვა მომსახურებით სარგებლობის ან/და პროდუქტ(ებ)ის შეძენის ღირებულებას ბარათის მფლობელი გაიღებს საკუთარი ხარჯით.

32.4. Lounge key მოსაცდელში შესვლის მიზნით კლიენტი წარადგენს ბარათს და აცხადებს, რომ სარგებლობს LKL-ს მიერ ორგანიზებული პროგრამით. ამასთან, ბარათის მფლობელი აცნობიერებს, რომ მისი იდენტიფიკაციის მიზნით შესაძლოა მოთხოვნილ იქნას პირადობის დამადასტურებელი საბუთი, ბილეთი ან სხვა საიდენტიფიკაციო დოკუმენტი.

32.5. თიბისი კონცეპტ მომსახურებით სარგებლობის საფასურისგან დამოუკიდებლად პროგრამით სარგებლობისთვის ბანკის მიერ შესაძლოა განსაზღვრული იყოს გარკვეული საფასური, რაც წარმოდგენილი იქნება ბანკის ვებგვერდზე, წინამდებარე ხელშეკრულებაში ან სპეციალურ განაცხადში, რომელსაც კლიენტი ავსებს პროგრამაში გაწევრიანებისთვის. კლიენტი აცნობიერებს, რომ პროგრამაში გაწევრიანების შემთხვევაში ავტომატურად გავრცელდება მასზე ბანკის ვებგვერდზე განთავსებული, ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ან/და განაცხადში მითითებული ტარიფები (ასეთის არსებობისას). მომსახურების საფასურის გადახდა განხორციელდება ბანკის ვებგვერდზე არსებული ინფორმაციის, კლიენტის განაცხადის ან/და ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. კლიენტი აცნობიერებს, რომ პროგრამით სარგებლობის საფასური და შესაბამისი ტარიფები შესაძლოა ბანკის მიერ ნებისმიერ დროს შეიცვალოს ცალმხრივად.

32.6. კლიენტი აცნობიერებს, რომ პროგრამით სარგებლობასთან დაკავშირებით (მათ შორის ნებისმიერი შეკითხვის, პრეტენზიის, თხოვნის შესახებ) შესაბამისი კომუნიკაცია უნდა განახორციელოს მხოლოდ LKL-სთან შემდეგი ელექტრონული ფოსტის მისამართის მეშვეობით operations@loungekey.com. ბარათის მფლობელს ეკრძალება პირდაპირი კომუნიკაციის დამყარება Lounge key მოსაცდელის/დასვენების ზონის წარმომადგენელთან.

32.7. კლიენტი აცხადებს, რომ გაეცნო და შესაბამისობაშია პროგრამის წესებთან და პირობებთან, რომელიც წარმოდგენილია ვებგვერდზე www.airport.mastercard.com და მობილურ აპლიკაციაში Lounge key. კლიენტი აცნობიერებს, რომ აღნიშნულ ვებგვერდებზე და მობილურ აპლიკაციაში წარმოდგენილი წესები და პირობები შესაძლოა ცალმხრივად შეიცვალოს LKL-ს ან მასტერქარდის მიერ, შესაბამისად, პერიოდულად უზრუნველყოფს ვებგვერდებზე ინფორმაციის გაცნობას. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ვეღარ დააკმაყოფილებს პროგრამის პირობებს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს აღნიშნულის შესახებ ბანკს, ასევე LKL-ს და მასტერქარდს ამ ხელშეკრულების 32.6 პუნქტში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე ან/და ვებგვერდზე - www.airport.mastercard.com ან მობილურ აპლიკაციაში Lounge key მითითებულ სხვა საკონტაქტო საშუალების მეშვეობით.

32.8. კლიენტისთვის ცნობილია, რომ:

32.8.1. Lounge key მოსაცდელებში/დასვენების ზონაში შესვლის საფასურის გადახდა კლიენტის ვალდებულებაა, ისევე, როგორც ამავე ზონაში არსებული ხვადასხვა მომსახურებით სარგებლობის საფასურის გადახდა;

32.8.2. პროგრამის შესახებ სრული ინფორმაცია, მათ შორის მონაწილე Lounge key მოსაცდელების ჩამონათვალი, ადგილმდებარეობა, მომსახურების პირობები და სხვა დეტალები წარმოდგენილია ვებგვერდზე www.airport.mastercard.com და მობილურ აპლიკაციაში Lounge key. კლიენტს აქვს შესაძლებლობა პროგრამის შესახებ ინფორმაცია მიიღოს ასევე მომხმარებელთა სატელეფონო მომსახურების ცენტრში, რომლის საკონტაქტო მონაცემები განთავსებულია ვებგვერდზე www.airport.mastercard.com;

32.8.3. ბანკს კლიენტის მიმართ არ აქვს და არ წარმოეშობა რაიმე სახის ვალდებულება, გარდა კლიენტის პროგრამაში გაწევრიანების შემთხვევაში ბარათზე წინამდებარე მუხლით განსაზღვრული მომსახურების გააქტიურებისა. კლიენტისთვის ცნობილია აგრეთვე, რომ გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა, ბანკი არ არის ვალდებული ჩაერიოს კლიენტსა და LKL-ს, მასტერქარდს და/ან Lounge key-ის წარმომადგენელთან არსებულ ურთიერთობაში. შესაბამისად, ამ პირების მიერ კლიენტის მიმართ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე/არაჯეროვან შესრულებაზე არ არის პასუხისმგებელი ბანკი.

32.9. კლიენტი ვალდებულია ბანკის შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან ბანკის მიერ მითითებულ ვადაში ან ამგვარი ვადის არარსებობისას 5 (ხუთი) საბანკო დღეში, ბანკს წარუდგინოს ნებისმიერი მოთხოვნილი ინფორმაცია და დოკუმენტი წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული პროგრამით სარგებლობასთან დაკავშირებით, მათ შორის ინფორმაცია Lounge key დასვენების ზონაში კლიენტის (მისი თანმხლები პირ(ებ)ის) შესვლის შესახებ, LKL-ს ან მასტერქარდის მიმართ წარდგენილი პრეტენზიების და მათი შედეგების შესახებ.

32.10. პროგრამა მოქმედებს კლიენტის მიერ შესაბამისი განაცხადის ხელმოწერიდან ბარათის მოქმედების ვადით. ამასთან, ბანკი ბარათზე მომსახურებას გააქტიურებს არაუგვიანეს კლიენტის მიერ განაცხადის ხელმოწერიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღისა.

32.11. პროგრამის მოქმედება ბანკის მიერ შესაძლებელია ნებისმიერ დროს შეწყდეს, ცალმხრივად, რასთან დაკავშირებითაც შესაძლებლობის ფარგლებში კლიენტს ეცნობება გონივრული ვადით ადრე. ხელშეკრულება შესაძლებელია ბანკის მიერ ცალმხრივად შეწყდეს მათ შორის იმ შემთხვევაში, თუ LKL ან/და მასტერქარდი შეწყვეტს პროგრამის მოქმედებას ან/და ბანკი გააუქმებს შესაბამის ხელშეკრულებას მასტერქარდთან.

32.12. კლიენტი ბანკს ანიჭებს უფლებამოსილებას დაამუშავოს კლიენტის პერსონალური და კონფიდენციალური ინფორმაცია წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის მიზნებისთვის საჭირო მოცულობით, მათ შორის უფლებას, კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე გადასცეს LKL-ს ან/და მასტერქარდს, შემდგომი დამუშავების მიზნებისთვის, კლიენტის პერსონალური/კონფიდენციალური ინფორმაცია შეუზღუდავად და ნებისმიერი მოცულობით (კონკრეტული საჭიროების შესაბამისად), ამავე მუხლით გათვალისწინებული მომსახურების გასაწევად. ამასთან, LKL და მასტერქარდი კისრულობს ვალდებულებას დაიცვან ბანკსა და მასტერქარდს და მასტერქარდსა და LKL-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებით ( ასეთის არსებობისას) განსაზღვრული და შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები პერსონალური/კონფიდენციალური ინფორმაციის დამუშავებისას.